

1970
2015

ԱՐԵՎԵՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՊԵՊԵՐ

№ 4 (22)

ՀՅԱԾՈ, 2015 ԵԿՈ
ԳԱՅՆ 2,5 ԸՆԹ

ԵՐՄԱԿԵՊ
ՑՈՒՑԱՐՄՈՒՅՔ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ՅԱԿԵՑՈՒՄ

ԱԾՎԱՐ

Dichtung

詩

Poetry

Поэзия

شعر

մետրով

Poeziya

աղբան

Poesi

103



iNNO
print STUDIO

**ციფრული,
ოფსეტური
ბეჭდვა**

პოსტერები,
ბანერები

ნიგნების
გამოცემა

ავტომობილების
გაფორმება

ბოანკები,
კონვერტები,
ბლოკნოტები



PUBLISHING HOUSE საქონი

სავიზიტო
ბარათები



საგიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალა

დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლა

ბუკლეტები; გატალოგები; მენიუები; გალერე

პოსტერები ბლანკები; კონვე

ბლოკნოტები; CD/DVD შე

ნებისმიერი სირთულის ფ

ასევე ყუთები ძ

ყველა სირთულის პ

ეტიკეტები და სხვა თვეთმ

პროდუქტები; ბილ

აფიშები, ბანერები, გირ

და ავტომობილების გაფორ

საათების ბრენდი

ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფორ

ნატურალურ ტი

პლასტიკური ბარათებზე ბ

მაისურებზე, ჩანთებზე, გალმებზე

ქუთათელაძის 8. ჟელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com



საქართველოს ეროვნულია
და კამათია დაცის სამინისტრო

შერნალი გამოიღის საქართველოს
კულტურისა და კამათია დაცის სამინისტროს
მხარდაჭერით

ერებული
სახელი

არაფიქტურული სართაშორისო

ლიტერატურული ფესტივალი

სერგეი ჭადანი (უკრაინა) 3

ვიოლეტ ბრიჭორისი (სომხეთი) 6

იოსეზ ნოვაკოვიჩი (კანადა) 16

ლუსი ტავაჭონსო (აშშ) 19

რაულ პროტი (ავსტრია) 24

რაულ იუნანი (ირანი) 26

კიმგერლი ჯონსონი (აშშ) 34

ვერა პავლოვა (აშშ) 38

გიუველ მოვლაული (აზერბაიჯანი) 41

კართველი არაფიქტურული სართაშორისო

ლუკა აპიმიძი 44

ევა ძევანიშვილი 48

ხეიჩა ყალაბეგაშვილი 51

თემურ ჩხეიტიანი 54

რაულ ჩილაჩავა 56

ირამ შიოლაშვილი 59



პროექტის ავტორი:
ვაჲა წონევლაშვილი

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონი:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეგვიპაშვილი
დათო ტურავილი
ეკა ძველიშვილი
ზაზა ჭავილიშვილი
დავით ჩილაძე
გია ხალაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ზვიად რაჭიანი
ფინანსის ანგარიშისამდე
ასე დარჩინისამდე
ფილილა გოგია
დავით გაბუნია
გაია ლიპარტელისამდე
გიორგი ლოგზანიძე
მანანა მამიაშვილი
ვასილ გულეური
ლუკა აძიმიძე
ეკა ძველიშვილი
ხვირა ყალაბეგაშვილი
თემურ ჩხეითიანი
რაულ ჩილაჩავა
ილგა შიომლაშვილი
დათო პარპაპაძე
ლუკა დალიანი
ნინა გაჩაიძე
განანა კოჩაიძე

3

ახალი თარგმანები

გოდან პუნგაუს პოზიტივი 63

ორი ელეგია

(რაინერ მარია რილკე; მარინა ცვეტავავა) 69

რიჩარდ პერებერტინი (დიდი პრიტანეთი) 74


ერისთავ პარლისონი (შვედეთი) 77

გამომცემობა – „საუნჯე“
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ფონ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje_saujne
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com
Facebook: გამომცემობა საუნჯე/Saunje publishing <http://www.facebook.com/saunjee>
www.saungeo.ge

1

პოლიტიკი

თბილისის პირველი საკრთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი



სერგეი ზადანი (უკრაინა)

პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი და მთარგმნელი.

სერგეი უადანი 12 პოეტური კრებულისა და 8 პროზაული კრებულის ავტორია. 2008 წლის მარტში უადანის რომანი „Anarchy in the UKR“ („ანარქია უკრაინაში“) რუსული ლიტერატურული პრემიის „ეროვნული ბესტსელერის“ ე.ნ. „შორთ ლისტში“ მოხვდა და მოსკოვის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე „წლის წიგნის“ კონკურსის საპატიო სიგელი დაიმსახურა. მას კრიტიკოსები ყოფილი საბჭოების ახალგაზრდა ავტორებიდან ნობელის პრემიის ყველაზე რეალურ კანდიდატად ასახელებენ.

მისი რომანი „ოოროშილოვგრადი“ 2010 წელს გახდა ბი-ბი-სი-ს წლის წიგნი.

სერგეი უადანი თარგმნის პაულ ცელანის, ჩარლზ ბუკოვსკის, ანდრეი ხადანოვიჩის, კირილ მედვედევის, დანილა დავიდოვის ლექსებს. მისი ტექსტები ნათარგმნია გერმანულ, ინგლისურ, პოლონურ, სერბულ, ხორვატულ, ქართულ, ლიტვურ, ბელორუსულ, რუსულ, სომხურ ენებზე.

სერგეი უადანი ცხოვრობს და მოღვაწეობს ხარკოვში. რეგულარულად ნარაღებს საკუთარ ნაწარმოებებს უკრაინისა და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქში, ხშირად უკრაინელი მუსიკოსების თანხლებით, ჯგუფ „ძალები კოსმოსში“ ერთად.

მისი ტექსტები ქართულად პირველად დაიტექდა „ახალი საუნჯის“ მე-4 ნომერში, როცა ის იყო უურნალის წომრის ავტორი.

ნაიღე მხოლოდ აუცილებელი

ნაიღე მხოლოდ აუცილებელი. რამდენსაც ზიდავ.
ნაიღე წერილები. რომ არ მიპრუნდე გზიდან.
ნაიღე ვერცხლეული. ხის ჯვარცმა. ხატები.
ტანსაცმელი. რამდენსაც ჩანთაში ჩატენი.

ნაიღე პური, ბოსტნეული. ნაიღე საბუთები.
შენ აქ ვერასდროს დამრუნდები.
შენ ვეღარასდროს ჩამოუვლი ძეირფას ადგილებს.
ნაიღე ბოლო წერილებიც. რომლებმაც გატენეს.

ვერ მიაკითხავ სალუდეს დილიდან.
წყურვილს ვერ მოიკლავ დამშრალი მილიდან.
ვერასდროს ნახავ ძველ ნაცნობებს, ვიზეც გაბოდებს.
შენ ხარ დევნილი. შენ უნდა გარბოდე.

ირბინო ყანებში. არც იფიქრო უკან მოხედვა.
ძალლებს დაემალო. იძინო ძროხებთან.
პეშვებით ხაპო წვიმის წყალი. იძინო კარვებში.
თვალში არ მოხვდე ომის ურჩხულს, სისხლით გალეშილს.

მეგობრები აღარ მოვლენ. საზარელია.
აღარ იქნება გაკვამლული სამზარეულო
და ფანჯრის მიღმა – დილის ქუჩა, რომელსაც ხვეტენ.
აღარ იქნება გარეუბნის ხრიოკი ხედი.

იქნება მხოლოდ ლიანდაგის მჭახე ბრაგუნი.
იქნება მხოლოდ საპლაცარტო, ცივი ვაგონი.
ქალის ქუსლიან ფეხსაცმელზე შერჩენილი სისხლის ლაქები.
გათოშილი დევნილებით სავსე ბაქნები.

ფოსტალიონის ეს-ესაა დაცხრილულ გვამთან
ეგდება მისი ცარიელი, გახსნილი ჩანთა.
საფლავების მდუმარება. ღრიანცელი კომენდატურის,
მკვდრების სია, გრძელზე გრძელი, ისე მატულობს,

მთელი ცხოვრება არ გეყოფა, იპოვო მასში
შენი სახელი, რომელსაც ნაშლი.

დეზერტირი

ვაგდებ იარალს და ვიწყებ ხოხვას.
უნდა გავექცე იმ ყველაფერს, რისიც არ მჯერა.
უნდა ვერიდო ნასოფლარებს, გზებსა და ქოხებს.
უნდა ვერიდო ჯარისკაცებს, მკვდრებს და დაჭრილებს.

უნდა ვერიდო უცხო საზღვრებს, ვერიდო ხიდებს.
უნდა ვერიდო ამ სამშობლოს – ამ უსარგებლოს.

უნდა ვიხოხო და ვერიდო. კიდევ და კიდევ·
და სულერთია, სად მიგხოხავ, სად ვიკარგები.

მდინარესავით ზანტი იყო ღამის დინება.
მაახლოვებდა დღის სინათლეს, ცივს და საშინელს.
მადლობის სიტყვებს ჩემს ბაგეზე ცვლიდა გინება.
სიბნელე იყო წებოვანი ბატქის ფაშვივით.

ზეცაში პჭობდნენ წმინდანები, მინაში – მკვდრები.
მათ გულგრილ ხმებში იყო რალაც, რასავ ვეძებდი.
თუ დავიღალე ხოხვითა და მინაზე გდებით,
ვინ შეიფარებს, მინის გარდა, საწყალ დეზერტირს?

ისიც არ ვიცი, ჩემო მინავ, რა გიდევს გულში.
ისიც არ მახსოვს, რა ფერია შენი ალამი.
უცნაურია – შენს დემონებს არასდროს უშლი,
სამხედრო ფიცის სასტიკ სიტყვებს როცა გვძალავენ.

თუ დავივიწყე ეს დღეები, თუკი დაწყევლილ
სისხლის მდინარეს, მკვდრებით სავსეს, აღარ ვისიზმრებ,
თუკი სიკვდილი კელავ გახდება მხოლოდ საწყენი,
თუ ძველებურად ამჩატდება ხმა და სინდისი,

თუკი ჩემს სიტყვებს შიშის სუნი არ ამოჰყვება,
არც გათერების შემეტინდა, არც დალამების,
მაშინ მოვყვები, აი, მაშინ მართლა მოვყვები
ამბავს გახრწნილი ცოცხლების და უხრწნელ გვამების.

ათი ათასი გარდაცვლილი მისმენს მიწიდან.
ზეციდან მისმენს ამდინივე წმინდანის სული.
ბრაზი მეტია მათ სიტყვებში, ვიდრე სიწმინდე.
ბრაზი და ახლად მოცელილი ბალახის სუნი.

ხალხი ფანჯრებთან მომდგარა,
ქუჩაშიც დგანან გუნდებად,
ქალაქში დღეა ზაფხულის
და დეზერტირი ბრუნდება.

ის თვალს არიდებს შეკითხვებს,
აშინებს მზერა ყოველი,
ველარც სახლის გზას იხსენებს,
ვერც მათ, ვინც სახლში მოელის.

აი, შემოხვდნენ ისინიც
ბრძოლის ველიდან განაქცევს.
შეხედა, და გზა განაგრძო.
შეხედეს, და გზა განაგრძეს.

უკრაინულიდან თარგმნა ზვიად რატიანმა



ვიოლეტ გრიგორიანი (სოხეთი)

ვიოლეტ გრიგორიანი დაიბადა თეირანში. 1975 წელს მისი ოჯახი ისტორიულ სამშობლოში, სომხეთში დაბრუნდა. გრიგორიანმა დამთავრა ერევნის პედაგოგიური სკოლის ფილოლოგის ფაკულტეტი. არის ლიტერატურულ ჟურნალ „ინქანაგირის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქტორი. მინვეული იყო აპოვას საერთაშორისო სამწერლო პროგრამში მონაწილეობის მისაღებად (2009).

გრიგორიანი ხუთი პოეტური და ესეების ერთი კრებულის ავტორია. 1991 წელს ის პოეტური კრებულისათვის „სიმართლე“, სიმართლეს ვამბობ“ სომხეთის მწერალთა გაერთიანების პოეტური პრემიის გამარჯვებული გახდა, 1999 წელს კი გადაეცა „ოქროს ლერნების პრიზი“ კრებულისათვის „ქალაქი“.

ვიოლეტ გრიგორიანის ლექსები ნათარგმნია ფრანგულ, ინგლისურ, სლოვაკურ, მაკედონიურ, ქართულ, უკრაინულ ენებზე, ორი პოეტური კრებული კი გამოცემულია ფრანგულად.

„ზანგის კოცნა“

ცომი და კრემი

150 გრ. კარაქი, 6 კვერცხი, 2 ჭიქა შაქარი, ნახევარი ჭიქა რძე,
2 სუფრის კოვზი კაკაო, 1/5 ჭიქა ფქვილი, სოდა, ძმარი, ვანილი.

მინანქარი

70-75 გრ. კარაქი, 3 სუფრის კოვზი კაკაო, ნახევარი ჭიქა შაქარი,
5 სუფრის კოვზი რძე.

მომზადების წესი

6 კვერცხის გულს შევურიოთ ერთი ჭიქა შაქარი, დავამატოთ
ოდნავ გამდანი კარაქი, კარგად ავურიოთ. ერთი სუფრის კოვზი
სოდა და ერთი სუფრის კოვზი ძმარი წინასწარ შევურიოთ და
დავასხათ მასას. დავამატოთ 2 სუფრის კოვზი კაკაო, ვანილი,
ნახევარი ჭიქა თბილი რძე და 1/5 ჭიქა ფქვილი. ეს ყველაფერი
კარგად აკზილოთ, შევდოთ ღუმელში და ნელ ცეცხლზე
გამოვაცხოთ 30 წუთი.

მომზადებამდე ნავიკითხოთ შემდეგი:

ტანო ტატანო, ძონის გულო, უცხო ქმნილებავ
(ან რა გინოდო?), იქნებ უკვე ვერასდროს გნახო,
და იქნებ ხელსაც ვერასდროს მოგხვევ,
მზის ქვეშ, ხმელეთის ზედაპირზე, ან სულაც წყალთან,
ჩემს ტექსტებში მშვიდობით მოხველ!

ტყუბისცალო,
ასულო ხალხის,
რძალო და დაო უპოვარო,
მშვიდობა შენდა,
თუმცა დიდია ვერშეხვედრის, ვერნახვის სევდა
მდინარეები, მზისქვეშეთი, ხმელეთი მთელი
ო, როგორ მსურდა რომ მეკოცნე ათასი წელი!

გამოვიზოგო უნდა კარგად შეხვედრა ჩვენი

ათი წელინადი – ვითარცა ათი თვე
ათი თვე-ვითარცა-ათი დღე
ათი დღე იყოს ათი საათი –
ხოლო ათ საათს სიყვარულის ერთ დღედ ჩავთვლიდი,
ეს მცირე დღედა მერგო წილად,
მოგება დიდი.

დღეს შეგიყვარებ ათი წლის იჯრით
ხვალ ხელს დაგიქნევ,
განშორება გზას გადაგვიჭრის.

ეს უეცარი, ჩემს თეთრზე მჯდომი მხედარი შენი
მსწრაფლაქროლადი, ნამიერი, ძვირფასი ძღვენი,

მოკლეა სუნთქვა, გზაც მოკლეა, ხსოვნაც, გინელებ
ადვილად, სწრაფად, მოკულულპირს, მოპარულ კოცნას,
ისედაც მოკლე ამ სიყვარულს ვკვეცავ და ვკვეცავ.

არ ესმის, ჩუმად იყურება,
არ გესმის? ჩუმად იყურები?
მერე მუხლებზე მადებს ნიკაბს
და არ ჩერდება ეს სიტყვები –
მე სიყვარული სიტყვით მიყვარს.

და ვამბობ:

რომ სწორედ დილით, საუზმისას ამ სასტუმროში
სადაც შემთხვევით ერთად მოვხვდით ჩვენ, თანაც როგორ
(თვითმფრინავით სიყვდილს გადავრჩით)
მე ერევნიდან, ხოლო შენ კი – პარიზი – კონგო,

ხო, სწორედ დილით, კბილებამდე იარაღასხმულ
საბაჟოს ბიჭებს, ჩინოვნიკებს ფულზე დაგეშილთ
ადგილობრივთა ჯიუტ თვალებს, რომელთაც უნდათ
რომ ჩაიხედონ შენი წყვილი თვალის სარკეში,

შენმა თვალებმა აირეკლა? ცნობისწადილს თუ როგორ უცხრობ
ამ პაჭაპუჭებს. გარეული, ლამაზი, უცხო...

და მახსენებდა ჩემს ქვეყანას მზერა მათი რომ
დილიდან მინდა, ბაყვებს შორის დაგაპატიმრო.

და მერე ჩემში შენს ვარდისფერ ენას ვნატრობდი
ყავასავით ცხელს და გაუღენთილს ყავის გემოთი,
შენი კბილები – პურს რომ კბერდნენ, ყველს და ზეთისხილს
(სავსეს, პრიალას)

გამაჟრუშოლა
როგორ გელოდი!
შემდეგ ნამცხვარი სავსე გულით, ალუბლის კრემით
რძითა და სისხლით შეღებილი ტუჩები შენი,
გაუმაძლარო, ტორტიც ნახე ტკბილი, აქ არი
რძილი, ფხვერით თეთრი სუფლე და მინანქარი
მერე თეფშიდან ილიმოდა ეგ ზანგის კოცნა
შენ კი მიცეკრდი და იცოდი, არ მსურდა მოცდა.

გიცქერდი, გწვავდი,
მაგ თვალების უფსკრულთა ცილა -
იდუმალების ნაპრალები
სპილოსძვალი პრიალებს, ბრნყინავს.
თვალებს მსუბუქად ახამხამებ,
ქუთუთოს დარტყმა
– ნილოსის ტალღამ გადარეცხა
ნაპირზე ლელი,
ნიანგი დინჯად ჩამოცურდა,



შეისრუტა სისველე მთელი,
თბილ-თბილ ქვიშაზე იტალდება
ბობოქარი, ოს მსგავსი გველი,
ნუთიც და უკვე აღარ არის არც შავი ჯიქი,
გაუჩინარდა და გადახტა ნაპირებს იქით.

დილიდან აქ ხარ, ჩემს ოთახში
არც მესმის თუმცა
ნიკაპდაბჟენილს შენს მუხლებზე
სიტყვა არცერთი
ჩვენ შინაარსზე ბევრად მეტი გვაქვს,
გიყურებ, მესმის მაგ ბევრების რიტმული დოლი
მუდერი, ხშულმსყდომი,
ფტვინვიერი, ყრუ თუ სონორი –
ეს შენი ბევრათნარმოება, ეგ ფონეტიკა.

ნურაფერს იტყვი, იმოძრავე, შიშველი ასო,
იარე თავი გააქინე, ასწიე ხელი
შემოტრიალდი, შემობრუნდი,
დატრიალდი, თავი დახარე,
დაჯექი, ჭიქა მომაწოდე,
იხტუნე, მერე დაიჩოქე,
მომაწოდე ეგ პირსახოცი –
ნება მომეცი დავტებე შენი ძლიერი ტანით,
კუნთებით, კანით, დაჭიმული სხეულით, თანაც
სრულად შეგიგრძნო და მთლიანად დაგისაკუთრო.

შუქი ჩააქრე, აირჩიე მიყვარდე როვორ
შავო ღვთაებავ, მუხლმოყრილი გინდოდე იქნებ,
სეფისკვერივით გადაგყლაპო,
შენი კანის ცხელზე ცხელ ხნულებს
ჩემი სახნავი გავაყოლო, ვხნა და დავთესო
ან შენს სხეულზე შევასრულო ცეკვა სანესო.

შენს შავ ხავერდზე მჯდომი შენი ქათქათა ვარდი,
შავო ნახშირო, შენში ვქრები თეთრი ნაცარი,
ლექსის პრიალა აბრეშუმო,
ეგ გაერული შავი ხელნერა
შენ ქვეშ დაგებულ ჩემს ქალალდზე მსურდა გენერა.

დგახარ ერთიან, შავ უკუნად
ამ ბნელ ოთახში,
ვერ გხედავ, მხოლოდ ვგრძნობ
სხეულში გამავალ ელვას
შენს ნითელ ენას, ამ სისხლიან ნითელ ბაირალს
თავისუფლებას,
ჩემს ბარძაყებს შორის ლივლივას...

იცი, არცერთი თქვენებური ჯერ არ ყოფილა
ჩემს ქვეყანაში, ამიტომაც მინდა მოვუთხრო

ჩემი მხრის ქალებს შენ შესახებ,
მინდა რომ შურდეთ
მე ბედნიერის, რომ ნაყოფი შენი ვიხილე
შენი ნაყოფის ეგზოტიკას დავადგი კბილი
(ნამდვილს, და არა კონსერვის, ქილის)
გლუკი, ბრჭყვიალა, გემრიელი ეგ ზეთისხილი...
მკვრივი ტაკუნა, ზეთისხილის მწიფე მარცვალი
ერთი კადრი ისევ მაწვალებს –
საუზმობისას როგორ ჭამდი წვნიანს, საოცარს...

დაგაგემოვნებ ნება-ნება და ლუკმა-ლუკმა
ნამცეც-ნამცეც და ნაჭერ ნაჭერ
ხო, ვარ მშერი,
მსურს გადავყლაპო, სრულად დავნთქა
ეგ გემრიელი
შენი სხეული
გამოგნურო წვენი და უკე
რომ დავნაყრდები
თეთრ ზენარზე დარჩება შენგან
გამონურული და მშრალი კურკა.

ცოდლები

თუ თქვენ ნაგიეოთხავთ აქამდე ან (-მდე)

25-35 სტრიქონი

გონება გმართაეს, დიდხანს ფიქრობ, ანონ-დანონი და თავს არასდროს
კარგავ, გრძნობებს არ ჰყვები, დარწმუნებული ხარ, რომ მხოლოდ სწორად
აწონ-დაწონისა და გონივრულობის წყალიბთაა შესაძლებელი
ბედნიერების მიღწევა. რომანტიკული სიყვარულით გატაცება საბავშვო
თამაშად და მსუბუქ გართობად გერევენება, ცვლილებები ნამდვილად არა
შენოვს. მაგრად ინახავ იმას, რაც გაქვს, თუნდაც ეს საერთოდ არ
გაბედნიერებდეს. არ გჯერა შემთხვევითობის და არც იმის, რომ ბედი შენც
გაგილიმებს. გირჩევნია ჩაებლაუჭო ძველს და არ შეცვალო შენი ჩვეულება.

35-45 სტრიქონი

ადვილად ექცევი შთაბეჭდილების ქვეშ და გრძნობა შენთვის
მთავარია, თუმცა ცხოვრებამ გასწავლა, რომ ის ხშირად პირველ
ადგილზე არ უნდა იყოს. სიყვარული სრულებით ბატონობს შენს
სულზე, თუმცა შენ მყისვე არ კარგავ თავს, რეალისტი ხარ და
ხშირად გონება გულს ასწრებს. ამაყიც ხარ და ადამიანებს შენი ეს
თვისება უგულობაში ერევათ. ცდილობ საკუთარი თავი ჩარჩოში
არ მოათავსო, არ კმაყოფილდები შენი შექმნილით და მიიწევ
საუკეთესოსკენ, ხოლო როდესაც რაღაც თავს გაბეზრებს ან
განერვიულებს, ყველაფერს ტოვებ და მიდიხარ, მაგრამ ყველა
ხიდს არ წვავ. არ გეშინა ცვლილებები და გჯერა საკუთარი
თავის და ძალების, უბრალოდ ზოგჯერ ძალებს ზოგავ.



45-55 სტროფი

ძალიან მერქობიარ ხარ. ეძლევი შენს საყვარელს სრულებით და არ
გრცხვენა შენი გრძნობების ჩვენების, თუმცა შენს ამ დიდ მიძღვნას არ
აფასებენ, შენი გრძნობა შენთვის ტანჯვის წყარო ხდება. ყველაზე მეტად
გიყვარს ცვლილებები. დიდხანს არ ჩერდები ერთ ადგილზე, განუწყვეტლივ
ცდილობ ცხოვრების, ტანსაცმლის, სამსახურის, უკვე ნამყოფი რესტორნისა
და საუნის შეცვლას. თავს ახალი და უჩვეულო გართობების კალთაშიც კი
ყოფ. ნამერი უჩვეულო სიამოვნებისთვის მზად ხარ გადაიხადო შენი
მეზობლის ორი თვის ხელფასის ოდენობის თანხა. პასუხისმგებლობის
გრძნობა თითქმის არ გაქცს, შენი გარემოცვის ადამიანები დარწმუნდნენ,
რომ შენი იმედი არ უნდა ჰქონდეთ. როდესაც რაიმე იმედს გიცრუებს, მყისვე
ტოვებ ყველაფერს და შორდები, არც კი ცდილობ რაიმეს გამოსწორებას ან
შეცვლას.

55 და მეტი სტრიქონი

თუ შენ ნაიკითხე – გაიგე ეს სტრიქონი და არც კი გიგრძნია
დამწვრის სუნი, ბოლსაც არ შეუცდენიხარ თავდავიწყებული
სიამოვნების წესისგან, იძულებულები ვართ უბრალოდ ვთქვათ:
ტორტი უკვე ისე დაიწვა, „ზანგის კოცნის“ გასინჯვა ვერ მოახერხე.

შუალამი

და სავსე მთვარე სცენაზე ადის –
ფაიფურის ზოდია მთვარე.
ამოძრავებს მარიონეტებს
თითებს ხლართავს და ძაფებსაც ფსკენის...
ზევით მოძრაობს ჯადოსნური, ცოცხალი წყალი
პენისები და მოგარეულები,
ძალლის დინგები,
მაღლა, სულ მაღლა,
ქვიშაზე მაღლა,
ქალზე მაღლა,
სახურავებზე, ხიდებზე მაღლა,
დუქნებსა და მატარებლებზე
მაღლა, სულ მაღლა.
მე ხელებს ვერ ვწევ,
ველარც მზერას და
ველარც სიტყვას ვერ ვეზიდები
ვირე ვარდის გარდატეხამდე,
ბოლო ეკალმა გულზე მიჩევლიტა:
მიველ ფიჭვნარის საქციელამდე –
სად გატრუნულ ხეს მშვიდად ეძინა,
მერე მთვლემარე მწვანე ორგაზმში
დაყრილ გირჩებზე წაფიბორძივე,
ყინულზე სიკვდილის ცეკვა ვიცევე,
ლანგრით მომართვეს კომბოსტოს თავი.
ოქრო მივეცი ზარაფს,
მან ფერადი ფურცლები მომცა,
კაბას შევკერავ ჩემთვის შესაფერს.

– არ დაგეძინოს,
 – დაელოდე
 კარგად უყურე!

ჩამოიარა შავმა წყალმა
 – გავატარე,
 ჩამოიარა ნაცრისწყალმა,
 გავატარე,
 ჩამოიარა შავმა წყალმა,
 გავატარე
 თმა ოქროსწყალსლა შევუშვირე,
 პირს გიან რქები,
 ტანს-ვარდისწყალში,
 ხოლო როდესაც გამჭვირვალე წყალი მოვიდა
 – მეც გადავეშვი მდინარეში –
 წყალში ქალთევზას ვეთამაშე,
 შეფეხბი ვყარე,
 წყალში ვიმღერე
 (– მომაშეფა ბინძური წყალი
 ნეტავ რომელმა ნაძირალამ?
 ფანჯარასთან მარეტა ყვირის.)
 ქარმა ნამართვა თავსაფარი
 სანდლები-წყალმა,
 თავ-ფეხშიშველი ბალახებზე დავეგდე როცა
 ტყის სარძლოებმა მოფერება დამიწყეს,
 კოცნით ამილოქეს ჭიპი და მკერდზე
 ნაზად მომეკრნენ,
 თეძოებითაც ჩამეხლართნენ,
 სველი ენით მომილიტინეს –
 გადამქანცეს და გადამღალეს,
 მივეჭყლიტე და მივეთხუპნე
 ბალახს თიმთიმა ჟელესავით.

და მოსაყოლიც დამიგროვდა –
 გავიჭიმე, შევიწიე სხეულის ღერო
 – აი, ახლა მე მთხრობელიკო ღერწამი გავხ...

შხვ – და ფანჯრის ქვეშ ჩვენს მარეტას სილა გააწენეს,
 – „აჲ, ტუფტა ძეუნა, დოლარს სად ტენი?“, –
 სულს უბერავს პანი და უკვე
 წიგნის გვერდებიც აირია –
 კენტავრი დავრჩი –
 ნახევრად ღერწამ-ვიოლეტი,
 ანი, როგორ ვისალამურებ?
 წიგნი დაგხურე – მოწყენილობაა.
 ფანჯარა დავკეტე – მოწყენილობაა.

ღერწმულს არ ვფლობ და
 ვიოლეტის არ მყოფნის ენა

მაინც მოვყვები ჩემს ცხოვრებას –
მარეტებო, მიტირეთ თქვენაც,

შუაღამისას მომიკვდა თითი
ზოლურბლზე დავჯექი, ვაგრძელებ ქვითინს,
მამამ ამხად ნამუსი, დედამ
ჩემი ბეჭედი გაყიდა, დებმა
დამცინეს, მერე ჯადოქარი
მიწოდა ძმამ და
არ გეგონოთ, რომ ვამეტებ რამეს.
სატრიფომ ორსული მიმატოვა იმ უკუნ ლამეს
და მეზობელმაც მომაფურთხა – პატივი დამდო.

ქინძისთავებით დამიჩვლიტეს სხეული მთელი
ბიძებმა, მერე დამაგორეს ლურსმნიან კასრით,
და ჩემი სატრიფო ჩაიწვინა დაქალმა როცა
ბიძაშვილებმა – მუხის კუბო საჩუქრად მომცეს.

ჯერაც არ ვიცი კაზინოში წამაგო როგორ
უფროსმა ვაჟმა,
ბერელ სარდაფებში ოღრაშ მძლოლებს აქმაყოფილებს
ჩემი საბრალო და კოჭლი გოგო.

დუმილის ნიშნად მომიკვდა თითი.
მარეტებო, მიტირეთ ერთხმად,
ჩემი თითი აცხონოს ლმერთმა.

არ ვლაპარაკობ შვიდი წელი და არც ვიცინი
ძაფს ვართავ, ვქსოვ და კვართებს ვკერავ –
ყველა გედი რჩება გედადვე,
ხოლო პრინცი კი ჩაცივდა ფეხსაცმლის ზომას,
ომაზე, თვალებში არ მიყურებს,
თითქოს სულ ვერ მხედადვეს.
ვიცი ყველა კაცი რაც არი
მისგან დამფარავს მხოლოდ ნაცარი

მაგრამ მე
მაგრამ მე მინახავს, როგორ თვლემს ვარდი,
წელს როგორ ჭიმავს,
თავს როგორ დებს (ცის სამსხვერპლოზე,
(მან მიჩურჩულა, ჩემს სანაცვლოდ დადექი, მოდი.)
მაგრამ მე,
მაგრამ მე მინახავს,
როგორი ჭავლით
დაარტყა სისხლმა მამაკაცის ჭიშკრიდან
ერთხელ
და დავიტბორე –
დამეხვია ფერადი მატლი.

მე კი ქალალდის ძოწეულით
 რამდენჯერ შევდიო-გავდივარ
 ზამთარში, რადგან
 ჩემს საძებნელს და ჩემს საპოვნელს
 ყინული ფარავს.

ხელს ვერ ვაწვდენ და – თვალი ხედავს
 ტუჩს ვერ ვახებ და – თვალი ხედავს,
 სუნსაც ვერ ვგრძნობ და – თვალი ხედავს...

კეთროვანი ვარ და ეჟვანი ფეხზე მომაბეს
 ზნგ, ზნგ-წკარუნობს, მოეცალეთ, ზნგ ზგნ, მოშორდით!

ზნგ, ზნგ, მოშორდით ჯანმრთელო ბავშვებო,
 ზნგ ზნგ – აერიდეთ მდიდარო გოგოებო,
 ზნგ ზნგ – არ შეხედოთ ლამაზო ბიჭებო

დაუწუნებლებო, მთელებო, ჯანსალებო, დაუზიანებლებო,
 უჩირქინო, უმატლონო – ზნგ ზნგ მოშორდით!


თუმცა თავს ავი წინათგრძნობის ტალღებში ვმალავ,
 როგორ მიპოვა ყრუ მსტოვარმა, როგორ ნეტავი?!

თავზე დამბზუის, დამტიალებს ჩემი ფუტკარი
 სიყვარულის მიმიზნებს ხორთუმს
 რომ შესვას ჩემი ჭრილობიდან ტკბილი ნექტარი.

ბოლოს და ბოლოს, მეთოთხმეტე ღამე რომ მოვა
 მშვიდად დავწვები წყლის ნვეთზე, ჩემი
 გული წითელი სატყუარაა,
 სერხემალს მაგრად მივეყრდნობი –
 ერთი ხმელი ჩალუკა პირში –
 და ლა-ლა, ლა-ლა-ლა-ს მივამლერებ ამბის იმ მხარეს...
 ხოლო როცა ამოვა მთვარე,
 შეკა ამოვა მხნე პენისი მალლა, სულ მალლა,
 ვიდრე ქვიშა, ვარდი, ნაცარი,
 დროშა, სიტყვა, და ტრაგედია
 ფარსი, დედა და მამაჩემი,
 სპორტი და მცნება,
 მათემატიკა, წყევლა, ზარაფი...

მალლა, სულ მალლა უფრო მალლა ვიდრე ეს მთელი
 ვიდრე ეს მთელი გაჭყლეტილი თიმთიმა ჟელე.

**თარგმნა დიანა ანჯიმიადიძ
 ბწკარედი ასია დარბინიანის**



იოსიზ ნოვაკოვიჩი (კანადა)

20 წლის ასაკში, იოსიფ ნოვაკოვიჩი ხორვატიდან აშშ-ში გადასახლდა, ცოტა ხნის წინ კი, 53 წლის ასაკში აშშ-დან კანადაში. მისი გამოქვეყნებული ნაწარმოებებია: რომანი „პირველი აპრილი“, რომელიც 10 ენაზეა თარგმნილი. მოთხრობები: „სამი სიკვდილი“, „მოთხრობები ომზე და ვნებაზე“, „კვერცხის გული“, „გადარჩენა და სხვა უბედურებები“, ასევე ესეების სამი კრებული, კრიტიკული ეს-ეების ორი კრებული.

წელს გამომცემლობა „Esplanade Books“ გამოსცემს მისი მოთხრობების ბოლო კრებულს. მისი ლექსები შესულია საუკეთესო ამერიკული პოეზიის ანთოლოგიაში, Pushcart Prize-ის მოთხრობათა კრებულში და ო'ჰერინის ჯილდოს მოთხრობათა კრებულში. ნოვაკოვიჩის მიღებული აქტეს ვიტონგის მწერალთა პრემია, გუგენპაიმის სტიპენდია, ინგრამ მერილის პრემია და ამერიკული წიგნის პრემია. 2013 წელს ის იყო მენტ ბუკერის საერთაშორისო პრემიის ფინალისტი. ნოვაკოვიჩი სხვადასხვა წლებში ასწავლიდა იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში, ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში, პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტში. ამჟამად იგი მონრეალის კონკორდის უნივერსიტეტის ლექტორია.

ჩემთა შეიღობა ვერ გაიგო, რა იყო ჩრდილი. თავდაპირველად ჩრდილი გზაზე დაღვრილი ზეთი ეგონა, და მე არ მითქვავს, რომ ცდებოდა. ვინ იცის, იქნებ არც ცდებოდა, იქნებ, ზეთის გუბე მკვდარი ზებრების ჯოგის ჩრდილის ფრაგმენტი იყო; შეიძლება, ზეთის ლაქა გაუმართავი ძრავის ჩრდილიც ყოფილიყო. შეიძლება, ჩემს ბეჭედის ეგონა, რომ ჩვენ ჩემს ჩრდილს ცტლუკლით და ის ამიტომ სველდებოდა, მერე კი მაშინვე შრებოდა, როგორც კი მოძრაობას დავიწყებდით და ასალ ადგილას ახალი სველი ლაქა ჩნდებოდა. ერთხელ, წიგნებით ავსე ჩემს ჩანთას იატავზე თავის გარშემო წრეზე დაათრევდა და თან ყვიროდა აი, ჩემი ჩრდილი! არ მითქვამს მისთვის, რომ ცდებოდა. ვინ იცის, იქნებ არც ცდებოდა. წიგნები, შესაძლოა, მკვდარი მწერლების ჯოგის ჩრდილი ყოფილყო, რომელთაც ზუსტად ისე ათრევენ; როგორ ჰეტქორი ათრის ტროაში. ან, იქნებ, წიგნები ჩემთვის მომავალი კითხვისა და დაძაბული თვალების ჩრდილი იყო. ახლა მას ჩრდილის კონვენციული შემთხვეობა ესმის. ეს შენ ხარ, მამა, ამბობს და ჩემს ჩრდილზე მიმითოებს. აი, ჯონი, ამბობს და თავის ჩრდილს დაჟყურებს. დღლაობით ჩვენი ჩრდილები გრძელი და წვრილია, ლაბინის დროს კი მოკლე და მსუქანი. ჩრდილი მარტო არასოდეს რჩება. ჩვენ მუდამ მასთან ვართ. როცა მზე ამიდის, ჩემი შეიღობა ალბათ ჩემი ჩრდილი; მზის ჩასვლისას კი, ზუსტად ჩემი სიგრძისაა ჩრდილი, რომელიც მისგან მოდის და ქვიშაზე ეცემა – მისი ჩრდილი მე ვარ. ჩვენ ჩვენივე ჩრდილები ვართ. მზე გვიქმნის ჩრდილს. ჩვენი სხეული ის ძრავაა, გზაზე რომ ტოვებს გუბეს – ანუ ჩვენ. როცა მზე გვტოვებს, ჩვენც მიყვებით. უწინდელობი. ან, იქნებ, მე მარტოდ დარჩენილი ჩრდილი ვარ, ვიოლანჩელოსა და აკომპანიმენტის გარეშე? გვიღოთ იღვიძებს, როცა ინათებს და მეუბნება: მამა, მზე ამოსულა, ადექი, ჩეარა. ორივე ვდგებით, რომ ჩემი შეიღო იღვიძებს, როცა ინათებს და მეუბნება: მამა, მზე ამოსულა, ადექი, ჩეარა. ორივე ვდგებით, რომ სამროვებრაათ რაც შეიძლება ბევრი ჩრდილი. ამისთვის ბიჭი სინათლეს წინ ელობება, მე კი მტვერში წყვდიადის სჩერინთ ვიფანტები.

მგობრის დავიცხების შესახებ

ტყივილი ვიგრძენი – თავიდან გაურკვეველი შეგრძნება მქონდა გაფიჩეული ფეხის თითში – კონიქრე, კოურები ხომ ამ დამაჯდა-მეთექი, და კენი გამახსენდა, რომელსაც ფეხები შუშით გაევსო.

როგორც კი კენის დედამ მწვანე ლვინო დალია, მისმა თვალებმა სიცოცხლეზე უარი განაცხადეს. ქალმა ჭიქა პიანინოს კიდეზე შემოდი და როცა ჟევი ხე კვრტებისა და ოქტავებისგან აცახცახდა, ჭიქაში ტალღებმა რონდოს სიმღერა და ტანგოს ცეკვა მოონდომეს. დიდფეხსაცმლიანი ერთფეხა ჭიქა ახტა, გასრინალდა, თავპირისმტვრევით ძირს გადმოეშვა და გარიალებულ იატაკს შუმანის დეკრუშენდოთ დახეტექა.

როდესაც კენი აბაზანისკენ ფეხაკრეფით წავიდა, რომ დედა არ შეეწუხებინა, ფეხი დაღვრილ ლვინოსა და ჭიქის ნამსხერევებში ჩადგა.

ლენინისგან ის ადვილად გათავისუფლდა – სისხლთან ერთად ჩამოიბანა, ნამსხერევები კი, ისეთი პანაზინა, რომ ვერც დაინახავ და ვერც ნემსით ამოიღებ, ფეხში უფრო და უფრო ლრმად შესდიოდა და როცა კენი მანპეტენზე ალმა-დალმა დარბოდა, თანდათან გზას ძვლისკენ იკვლევდა.

როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი ნერვებსაც მიადგა, მიელინის გარსი გაარღვია და, ერთ დღესაც, საერთო საცხოვრებლის ალვირახსნილი სტუდენტებივით თავებდ მდგმურებად აქცია.

მახსოვეს, როცა მე და კენი ლამით ქენელ სთრითს მივუყვებოდით და ქირაზე, სამსახურსა და კონცერტებზე ესაუბრობდით, სახე ეჯღანებოდა, „შეშა ზემოთ მოცოცავს“ მიხსნიდა და მეხვენებოდა, ნაბიჯი შემენელებინა.

ორმოცი წლის ასაკში კენი რესტორანში მუშაობდა, ნახევარ განაკვეთშე. რადგან ქირის ფული არ ჰქონდა, დედასთან ერთად ცხოვრობდა და თავისი უდარდელობით ამაყობდა: შეიძლება, ყველაფერი წამართვას კაცმა,

მაგრამ ვერავინ შეეხება ჩემი თავისუფლების ოც წელსო, ამბობდა.
ვერც შუშის პანაზა ნასხერვებიან ოც წელს ამოუღებდა ფეხიდან ვერავინ.

ამ ერთი კვირის წინ სახლში ფეხშიშველი დავდიოდი, და თუმცა ვეცადე, იატაკზე ლუდის დაფუშვნილ ბოთლს მოვრიდებოდი, ნამსხვერვებს მაინც ვერ გადაურჩი. გუშინ, ჩოგბურთის თამაშისას, როგორც ჩანს, შუშის ბასრმა გრანულამ ნერვს მიაღწია. მე თანაგრძნობით შევყურებდი ხოლმე კენს, როცა ფეხი ატკივდებოდა, თუმცა, არაფერი მიგრძნია მოგვანებით, როცა კენის არსებობა გადამვიწყდა. ახლა, როცა ძვალთან პულსი მომაკვდინებლად მიფეხული რიგში, ის მახსენდება.

8.

ჩემი ბავშვობის მეგობარი მ. მალულად ლექსებს წერდა.

როცა მისი „გრძნობათა რვეული“

ხელში ჩაგვიგარდა, დავგლივეთ,

მთელი ის ძველი, საკვამურიანი მონასტერი,

ანუ სკოლა შემოვიწინეთ, და გამოთქმით ვკითხულობდით

იმ ადგილებს, სადაც ტკივილი ან მარტოობა იყო ნახსენები

და ერთმანეთს სიცილით ვეხეთქებოდით.

მ. წერდა ბოსნიური ზაფხულის შესახებ,

როცა დედა ოთახში კეტავდა და იმ ოთახში ცხოვრებას პირდაპირ თვალებში უყურებდა,

ვიდრე დედა თავის რკინიგზელ საყვარელთან ერთობოდა,

ასევე წერდა ხორვატიული ზამთრის შესახებ,

როცა მისი დედინაცვალი მის პატარა ნახევარძმას ფეხებს ბანდა,

მას წერებლით ცემდა, მამამისი კი

ყაბად მუშაობდა.

ჩვენ მ.-ს „მესაროშს“ ვეძახდით, სადაც „მესო“ – ხორცია

და „ოში“ კი უნგრული დაბოლოება. მას შეეძლო, იმდენი ხორცი ეჭამა,

რამდენიც მოესურვებოდა. ჩვენს ქალაქში საუკეთესო ცენტრალურ

თავდამსხმელად ითვლებოდა, მაგრამ „დინამოში“ გადასვლა არც უცდია,

რადგან უსაფრთხო სამსახურს ეძებდა.

ინგლისურის პუტკუნა მასნავლებლის წითელი ფეხების უინი კლავდა

და ცოლად ქიმიის მასნავლებლის ქალიშვილი შეირთო.

ცრინიოსი ქიმია, რომელიც სწორი პასუხისმოგებელი

ქიშმიშით გვაჯილდოებდა, უძრავად იწვა, ჭერს

უცქერდა, და რამდენიმე წლის ცქერის შემდეგ გარდაიცვალა.

მ. -ს სძულდა სერბები, სერბებს კი იგი.

თუმცა, მ. ოში არ ნასულა. რადგან ახლომხედველი იყო და

ქუჩაში ვერავის ამჩნევდა, მეგობრები გადაიმტერა,

სამუშაო დღეებში კანონს იცავდა, დასვენების დღეებში კი ცოლს

დალატობდა, კვირაობით ოჯახისთვის თევზს პაპრიკით ამზადებდა,

მასზე წარსულ დროში ისე ვწერ, თითქოს უკვე მოკვდა.

რეალურად, მის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი – რაც სკოლა დავამთავრეთ,

არაფერი დაუნერია. ალბათ შიშობდა,

ბასრი გრძნობების გამო ღვარძლიანად დავცინებდი.

როგორც გავიგე, ერთხანს ჭერში ყურება დაუწყია,

თავისი ცუდი მხედველობით კირით შეთეთრებულ ზედაპირზე თუ წერდა.

ახლა მითხრეს, ეთნიკური წმენდის წყალობით

გამდიდრებულა. სასაზღვრო ქალაქში ოფისი გაუსანია,

სადაც დევნილი სერბები და ხორვატები მისი დახმარებით ერთმანეთს ურიგდებიან –

კონტრაქტს დებენ – სახლებს ცვლიან. მ. კი მათგან პროცენტს იღებს,

ცივად, ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე.



ლუსი ტაპაჰონსო (აშშ)

პოეტი და პროზაიკოსი. ნიუ მეხიკოს უნივერსიტეტში ინგლისური ლიტერატურისა და ენის პროფესორი.

ლუსი ტაპაჰონსო მკვიდრი ამერიკელია, პირველი მოთხოვბა, „ადამიანი – გველი“ 1978 წელს გამოაქვეყნა, მაშინ ნიუ მეხიკოს უნივერსიტეტში უურნალისტიკას სწავლობდა. დღეს ლუსი ტაპაჰონსო ექვსი პოეტური კრებულის ავტორია. წერს ბავშვებისთვისაც – სამი საბავშვო წიგნი აქვს გამოცემული. ტაპაჰონსოს პოეზიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი მშობლიური ენის, ნავახოსთვის დამახასიათებელი რიტმიკა და სინტაქსი.

ტაპაჰონსოს ნაწარმოებები იბეჭდება და სხვადასხვა სახით გამოიცემა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საერთაშორისო მასშტაბით. მათ შორისაა „რაინო რეკორდსის“ კომპაქტ-დისკები „საკუთარი ხმით: ამერიკული პოეზიის საუკუნე“ და „პოეზია ჩანაწერებში: 98 ამერიკელი პოეტი კითხულობს საკუთარ ლექსებს“.

2006 წელს ტაპაჰონსოს ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის მწერალთა გაერთიანებამ გადასცა „ჯილდო განსაკუთრებული დამსახურებისთვის“; კანზასის უნივერსიტეტში მკვიდრ ამერიკელთა შემსნავლებლი პროგრამის დანერგვისათვის კი მას „არნივის ლიდერობის პრემია“ გადაეცა. 1999 წელს ტაპაჰონსო მკვიდრი მოსახლეობის მწერალთა გაერთიანების მიერ დასახელდა წლის საუკეთესო „მთხოვბელად“; მას ასევე მიღებული აქვს კანზასის გუბერნატორის სახელოვნებო პრემია და ქალთა ნაციონალური ასოციაციის პრემია „გამორჩეული ქალი“.



ნაშუადღევი იორთოში

სანტა ფეში ნაშუადღევი დგას – თბილი, ნათელი.

შეშლილებივით ცქმუტავენ ძალები, ყალყზე დგებიან, გარეთ გასვლა სურთ.
აბა, დაწყნარდით, ბიჭებო-მეთქი, ვეუბნები.

დღეს ქურთუების ჩაცმა უკვე აღარ მოუწევთ.

ერთხელ მითხრა ჩემმა ქმარმა, ასე ჩაცმულებს რცხვენიათო.

მე ვუპასუხე: „სად გინახავს, ძალს რცხვენოდეს“. მან გამიღიმა.

ორიოდ თვის წინ, ასეთივე თბილ ნაშუადღევს,

დედაჩემი შეშის ლუმელთან იჯდა ძველებურ და რბილ ტახტზე.

ლუმელი სახლის შუაგულში დგას, სადაც გრილა და სინათლეც კი ვეღარ აღწევს.

სამზარეულო დავალაგე და მივუკეექი.

„უჰ“, ვუთხარი და მივეხუტე. რაც ნიშნავდა, „მომიყევი შენი ამბები,“

ან, „მითხარი, რა ხდება შენს თავს.“

„ტაა აკოდი, სულ ეგაა,“ მითხრა დედამ და ორივეს სიცილი წაგვსკდა.

ზურგსუკან ბალიში გავუსწორე.

ხელი ხელში შევუცურე და მივეხუტე.

თბილი და თხელი ხელები აქვს.

ლამაზი და თლილი თითები – მე კი არა მგავს.

მეფერებოდა და ასე ვდუმდით.

მარტო ვიყავით მდუმარე სახლში.

ქუჩის გადაღმა ძროხა ბლაოდა და სადღაც წყალთან,

მხიარულად ყეფდნენ ძალები. ერთი უთუოდ ლეკვი იყო.

აქ, ჩვენს ოთახში ვისვენებდით, თვალდახუჭულნი.

დედამ მითხრა, ვომღეროთო, – თანაც ისე, რომ თვალი არც კი გაუხელია.

მე ავმღერდი, ისიც ამყვა. სულ ახლოდან ვუმღეროდი, რომ გაეგონა.

რამდენიმე სიმღერის შემდევ, მან დაიწყო და მე გაეჩუმდი.

„ეს არ მეცნობა“ – ვუთხარი, როცა წამოიმართა და შემომხედა.

„როგორ არა, გავიგონე როგორ მღეროდი ერთხელ ამასო.“

დედა მღეროდა და ცოტა ხანში მეც ავყევი, ერთად ვიმღერეთ.

ამოიხენება, ისე, თითქოს დაიღალა.

ჩაეძინა. მისი ხელი არ გამიშვია და ისევე ვეხუტებოდი.

ძილი მინდოდა. ვერ ვპედავდი.

თითქოს ბევრი რაღაც ხდებოდა,

სინამდვილეში კი გვიანი ზაფხულის ერთ ნაშუადღევს

მე და დედა ვისხედით მხოლოდ.

მისი კატა, კიტი ბაა, ტახტზე ამოხტა, ჩვენთან ახლოს გაიშელართა.

კიტი ბაა და დედა ხომ სულ ერთდღრულად იძინებდნენ.

დღეს იორთოში თოვლი ფარავს მაღალ მწვერვალებს

სანგრ დე კრისტოსი – ქრისტეს სისხლის მთას.

თოვლი ელვარებს ხსხას ლურჯი ზეცის ფონზე.

ისე თბილა, რომ ბადეაკრული კარი ლაა;

ნაშუადღევის მზე იღვრება დახრილ სხივებად სამზარეულოს იატაკზე.

და ძალებს გამთბარ ფილებზე სძინავთ.

იორთოში ახლა შუა ოქტომბერია, კამკამა, ცივი წყლის მძივები

სანგრ დე კრისტოსს ეკიდება ძველ ყელსაბამად.

ძვირფასი შიპროკი, ჩემი სახლი, ჩემი მიწა, დედაჩემი.
იაპთი ნატაანი ნეზ, შიკეიაჲ, შიპოგან დუ შიმა,



თავს კვლავ ასე წარვადგენ: ტო'ნი', მესა ფარმზიდან
ჩემი მშობლები და მამა-პაპათა კლანები იყვნენ
ტოდიკოზინიშლიდუ ტოდიჩინინიბაჲშიშ ჩი,
დექტენედშეჩემი დუ კინლიჩინიდაჲშინილი.
მე კი თავად შიპროკიდან ვარ – უზარმაზარი კლდიდან
რომლის სახელიც ასე ითარგმნება „მაღალი ბელადი“ ან კიდევ „ფრთიანი კლდე.“
ნატაანი ნეზ დი აპიშინაშაა. ცე'ბიტაჲ დი ნააშა, ტო'დიჲშიკეიაჲ.

ნიაშნიშლი, შიპროკ, მე შენი მრავალი შვილიდან ერთ-ერთი ვარ
ვინც მუდამ მიაგებს პატივს შენს მუქლურჯ მოხაზულობას,
გარს რომ ტაფობი არტყია, თავთხელი სან ხუანის მდინარე,
ველი, ბალ-ბოსტნები და სარწყავი არხები.
გახსოვარ? მესა ფარმზის პირველ შესახვევში გავიზარდე
ყოვლად უსახურ ფერმაში, მაგრამ ასე გვეუბნებოდნენ,
„მდიდრები“ ხართო, რადგან ჩვენი ყანები გვქონდა.


ო, შიპროკ, „მაღალო ბელადო“, ურყვევად დგახარ,
ებჯინები ნიუ მექსიკოს დაცლილ ზეცას.
ექოდ შემორჩი იმ დროიდან, როცა არწივები გველაპარაკებოდნენ და გვევებავდნენ.
უსსოვარ დროს აქ მოგვიყანე, გადაგვარჩინე
საზარელ წყალდიდობასა და მოხეტიალე ურჩხულებს.
შენი ოქროს ფრთხების ნაკეცებში ავიგეთ ბუდე,
ინსტინქტებმა შენს თბილ აკვანში შეგვიფარა, სახელად რომ „კეს“ ეძახიან.

ნავახოს ტომი ტკბილ მოგონებად ინახავს უხსოვარ დროს გადმოსახლებას,
წმინდა, თავთხელი მდინარის პირას ტკბილად მოწყობას.
სახელადაც ტო'ნი გვენოდა – რაც „წყალს“ ნიშნავს, წყლის ხალხს,
მაცოცხლებელი მდინარის პატივსაგებად.

და რადგან შიპროკიდან ვართ, ნატაანი ნეზის ხალხს გვეძახიან,
ესე იგი უძველესი და გამძლენი ვართ. ყოველდღიურად ვცდილობთ „კეს“ წესი არ დავარღვიოთ:
– სიკეთე, თანაგრძობა, ძალა – და გვახსოვდეს, რომ ყოველ ცოცხალ არსებას ესმის,
რას ნიშნავს ნათესაობა.
ყოველ დილით, წმინდანები მოდიან და მზის ამოსვლას გალობით ლოცავენ,
მერე კი, მწუხრისას, ხასხასა ფერების საპანში გვევევენ,
მთები, მზე და ვარსკვლავები ერთად რომ ქმნიან.

შიპროკ, ნატაანი ნეზ, ცე'ბიტაჲ, ნიშიმა, თქვენი სახელის ხსენება
ძველ ამბებს გამოხმობს, ოჯახის ძვირფას მოგონებებს, ახლობლებსა თუ მეგობრებს.
თქვენი სახელები ხვევნით, ცრემლებით და სიცილით არის გადავსებული.
აპშინებ, შიკეიაჲ, დღეები ისევ სუფთა და სუსხიანია.
ნავახოს ტომის ახალი წელი დაიწყო; შემოდგომის შერწყმა ზამთართან,
იყიბიჩიის რიტუალების დრო დგება.
წმინდანების მამა-პაპათა. ლოცულობენ და ყინვით სავსე დამეებს უმღერიან,

ცეკვავენ ჩვენი განახლებისთვის, მცენარეთა, ცხოველთა და ჩვენი ჯანის სიმრთელისათვის.
კიდევ ერთხელ მღერიან უძველეს ამბებს და ლოცავენ ჩვენს წინაპრებს
და შიპროკის მიდამოებს ფხიზელი თვალით გადაჰყურებენ.



გმადლობთ, შიჩეით, შინალი, შამასანი დუ შიმა, შიპროკ,
რადგან გამუდმებით ჩვენთანა ხართ და სულ გვახსენებთ, რომ ჩვენზე ზრუნავთ,
თვალი გიჭირავთ, სადაც არ უნდა ვმოგზაურობდეთ.

გულწრფელად თქვენი,
ლუსი ტაპაპონსო.

დაცვეთილი ურავი „პოლის“ მოლოდინში

გასულ ზამთარს ლიმაში გამომელვიდა, სადაც ჰაერი სავსე იყო
ცვრის პანაწინა კრისტალებით; მზის სუსტი სხივი ნაშუადლევის ცას ანანავებდა.
სიახლოვეში ატლანტეკის ტალღები გადაწვანებულ კლდეებს ეხეთქებოდა;
უზარმაზარი, შევერცხლილი ზეირთები თეთრ პლაჟებზე იმსხვრეოდნენ.
მაღლა ცა კი სავსე იყო მძიმე ღრუბლებით, თან მომყოლი სურნელებით,
რომელთაც მე ვეღარ ვარჩევდი.

მოგვიანებით მასპინძელმა ხორხემ მითხრა, რომ ლიმას ცა ცნობილია,
როგორც „ვირის რუხი მუცელი“, რადგან ქალაქი
და სანაპირო გამუდმებით წისლში ეფულობა.

გამახსენდა, როგორ გვასწავლიდნენ, რომ ზეცა,
ვარსკვლავები, მთვარე და მიწა, წყლის სხეულები გარს გვეხვევიან
და ამ წრეში მზრუნველობით ვართ გარემოცულნი.
ამ წრის შიგნით ჩვენზე ზრუნავდა.

იმ საღამოს ამერიკის საელჩოში ვილაპარაკე,
ფუზიარებდი ჩემი გვარის უძველეს სიტყვებს:
„ტოდიკუი, ტოდიჩიინი, დეეშ'იინი და კინდიჩინი“.
ამ სიტყვების თქმით თითქოს მშობლებს და წინაპრებს გამოვიხმობდი.
რადგან ისინი ჩემთან იყვნენ, ვლაპარაკობდი ცელიჩიდეზ'აპი ტო-ზე
ცელიჩი დაპ შიკანი-ზე: ეს ვეება წითელი კლდეების სახელები,
ოხრისფერი წმინდა ქვიშის, უშველებელი ცარიელი ცის, პირქუში უდაბნოების,
შიპროკის შვერილს კი ბავშვობაში ყოველდღე ვხედავდი.

პერუში ვყვებოდი შინ გატარებულ ზაფხულის საღამოებზე:
ჩანახშირებულ წრის ნაგლეჯზე, სადაც ენთო კოცონი, სადილს რომ უმზადებდა
მრავალ თაობას; ლითონის მძიმე ცხაურზე, ზედ რომ ფენებად
ედო ცხვრის ქონა და ზეთში შემწვარი პურის ცხიმი. ბავშვების უივილ-ხივილზე.
ვლოცულობდით ცხელ საჭმელზე, მოთუხთუხე სიმინდის ქვაბზე,
ქაფქაფა ყავის მადუღარაზე რბილი ნანებზეადის მიმქრალ ნაღვერდალში.
გვახსოვს მშობლები, ვინც სახლი ააგო, ვლოცულობთ ყანებისათვის,
ვლოცულობთ წვიმისათვის და სარწყავი არხებისათვის, ვლოცულობთ მზისთვის,
უძველესი მთების, მთავრისა და ვარსკვლავებისთვის.

არეკიპაში მომაგონდნენ მუდამ თანმყოფი ძალლები:
 როგორ თვლებენ, როგორ ჩაურგავთ დრუნჩები გრილ ტალახში და
 ყურებით ბუზებს იგერიებენ. ცალი ყური აქეული აქვთ,
 დაცევეტილი, რომ არ გამორჩეთ „პოურ“, რაც ლოცვისას ამენს უდრის.
 შემდგა წამოხტებიან და ელიან პურის ან ხორცის ნაჭერს.
 მუქტმიანმა ბავშვებმა გაიცინეს, თავიანთი შინაური ცხოველები მოაგონდათ.


ეს ამბები და კიდევ მრავალი სხვა დავუტოვე ხალხს
 რუხი ვირის მუცლის ქვეშ. თან მივირთევდით,
 და შიგადაშიგ ცრემლებს ვიწმენდდით, ვიცინოდით, ან უბრალოდ ჩუმად ვიყავით.

როცა ქუჩებში გამოვეფინეთ, სადაც ხალხი ირეოდა
 ჭრელ ტანსაცმელში, ხმამაღალი მუსიკა იფრეოდა
 მაღაზიებიდან თუ მიმქროლავი მანქანებიდან, გამყიდველები გვაცდუნებდნენ
 ტკბილი ნაყინით, იქვე კი ახლად შემწვარი ხორცის სურნელი ტრიალებდა.
 მშობლები ჩვილებს ეჭიდებოდნენ და ბავშვები მოხუცებს,
 მოყალიბებულ ტროტუარებზე ხელს აშველებდნენ, უცებ მეგონა,
 რომ ვიყავი შიპროეისა და უინდოუ როკის ბაზრობაზე,
 თუმცა კი იქვე, ჩრდილოეთით ოკეანე კვლავ მღეროდა
 ვარსკვლავების, თევზის, ზეცის და ცვრის სიმღერას.

მერე, როცა ლიმაზე ჩამოწვა ლამე,
 გამახსენდა, უდაბნოს ცაზე ვარსკვლავები
 ყოველთვის ისე ახლოს გერვენება;
 ისე ცხადად, თვალისმოქრელად პრეცინავენ სიბრუნეში მიმობნეულნი.

გამახსენდა და ერთხელაც მივხვდი, რომ ჩვენი ტომები
 ისევ იმგვარად ინარჩუნებენ კეთილშობილ ხმიანობას, – ამ შორეულ ქვეყანაში მივხვდი ამას.
 ვარსკვლავები: სოდაანიური ლეი.
 სო დუუ ოლე.
 მთვარე და ვარსკვლავები მოწმენდილ ცაზე.

ინგლისურიდან თარგმნა დავით გაბუნიამ



რაულ შროტი (ავსტრია)

პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე.

გილგამეშის ეპოსის მისმა ახალმა თარგმანმა დიდი ყურადღება დაიმსახურა ჩვენი საუკუნის დასაწყისში. 2005-2008 წლებში ჰესენის რადიოსა და ტელევიზიის დაკვეთით შროტმა ახლიდან, ზოგისთვის ზეტმეტად თანამედროვე ენაზე, თარგმნა „ილიადა“. თარგმანთან ერთად ის ტრიას ბრძოლის ისტორიულ ფესვებს იკვლევდა და „ილიადას“ რიტმული პროზაული თარგმანის გამოქვეყნებამდე, 2007 წელს, მან კელევების შედეგები გამოაქვეყნა, რომელმაც ძირეულად შეარყია აქამდე მიღებული შეხედულებები.

შროტის სრულიად ახალი ანტიკლასიცისტური თეზისები პომეროსის ვინაობისა და ტრიას ომის შესახებ შეცნიერულ სკანდალად იქცა და საოცრად ცოცხალი დისკუსია მოჰყავა.

შროტის აზრით, პომეროსი არა იონიურ საბერძნეთში, დასავლეთ მცირე აზიაში მოლევანტ პირია, არამედ კილი კი ელი, ასირიელთა კარის მწერალი, რომელიც ბერძნულ მითებსაც იცნობს და ლურსმნულით დანერილ ტექსტებსაც, მისი ტრია კი კილიკიაში მდებარე ხეთური ქალაქია.

რაულ შროტი სწავლობდა ლიტერატურას ნორვიჩის, პარიზის, ბერლინისა და ინსბრუკის უნივერსიტეტებში. სალოეტორი დისრტაცია დაიცვა თემაზე „დადა – 1921-1922 ტიორლში“ და შემდგომაც გააგრძელა დადაიზმის საკითხებზე სამეცნიერო მუშაობა. ნერს რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს. თარგმნის თანამედროვე და ანტიკურ პოეზიას. სულ 22 წიგნის ავტორია.

2002 წლიდან არის გერმანიის ენისა და ლიტერატურის აკადემიის წევრი. მიღებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია.

იგავი

იყო მტრედი საკათედრო ტაძრის გუმბათში
 საიდანაც ზანტად აფრინდა
 მხოლოდ მაშინ და როდესაც
 ისვენებდა რკინის შვერილზე
 და სინათლეც იღვრებოდა
 კამარის თაღზე და ფანჯრებზე და ათი მცნების
 ვიტრაჟები ირეკლავდნენ
 წრე მერამდენებ
 შემოხაზა
 როგორ სურდა გაედნია
 სინამდვილისკენ შეღებული კარიდან გარეთ?

თბილისი 15 v 14

ციხის ზედამხედველი

ას წელზე მეტია რაც ჩვენთან მოპყავთ კრიმინალები
 მკვლელები და ქურდები ისევე როგორც
 მეამბოხები და კონტრრევოლუციონერები
 მათ აქვთ უფლება მორთონ საქნები
 რათა ბოლომდე არ დაკარგონ ადამიანობა
 ზოგს უურნალებიდან მაკრატლით ვუჭრი
 ღრმა დეკოლტეებიან ქალებს
 კედლებზე აკრავენ: ბრმა სიყვარულის ხატებს
 სხვებს დილეგი სამლოცველოდ უქცევიათ
 მაცხოვრის ჯვარი და სულინმინდა
 ამით თითქოს შეწყალებას ელიანო
 253-ში ერთი წითლად ხატავს მთავარანგელოზს
 კაბა თმა ფრთები – სახის გარეშე –
 ძლვნად ჩვენა პურის მორჩენილი ნამცეცები
 მათი ხელოვნების მიღწევებზე ყოველკვირეულ ანგარიშს ვწერ
 თუმცა მაინც ბუნდოვანია რას უქადის ის პატიმრებს
 ფოტომოდელი ან ომერთი – გარესამყაროს არავინ ხატავს
 ქალაქებს ხეებს ადამიანებს რომლებსაც ვეღარ ხედავენ
 ბევრი კი ხელუხლებელს ტოვებს თაბაშირისფერ კედლებს
 თითქოს ანარეკლი იყოს იმის
 რასაც დღემდე ღალატობდა ყველა ამბოხი
 და ყველაფრის მიუხედავად საჭმელს აღარავინ მოიპარავს
 სტალინიც კი მხოლოდ თავის სახელს კანკავდა ზანტად

ქუთაისი, გუბერსკის საპყრობილე 12 v 14

პროვენტ კავკასიაში

აფეთქებული სადგური და უანგიანი პილონი ფეხთან
 თოვლის მიჯნა ყველა მზერას უკან აბრუუბს
 ძველი კაბელის ნაგლეჯზე და ბეტონის ლოდზე
 ისინი წვანან ბალახებით დაფარულები
 მწვერვალი დაუპყრობელია: ყანჩა
 ნათელ სხივებს აჭედებს
 მართლმადიდებლურ ხატზე რათა მთა შემოქარვოს
 კილიტი დაუანგებულია – გაცრეცილი მწვანე ფონის ქვეშ
 მოჩანს სოფელი – სამხედრო გზაზე
 შინაური ფრინველები ხაროებს ჩხრეკენ
 მსახურები დაჟინებით მიშტერებიან
 გათბობის მილი – მთავრული ასო

აწვდილი ულელტეხილამდე
 სადაც ბაქანს უფსერულის პირას
 დიდი წარსულის მოზაიკა შემორჩენია –
 ალისფერი ოქტომბერი – გამარჯვების თაგვულები
 კოსმონავტებით სავსე ზეცა – პირმოცინარი პიონერების
 უზრუნველი მომავალი – მხოლოდ ღმერთი განაგრძობს დუმილს
 რაც გადარჩა მისი ძეგლიდან
 მხოლოდ კვარცხლბერი და დაფაა:
 თუ გვსურს ახალი სამყაროს შექმნა
 უნდა დავლენოთ ყველაფერი – გასაგებია?
 და თუ არ ძალგიძთ გაიხედოთ მთების გადაღმა
 რადგან მყინვარი გზას გიხერგავთ – მოხერხეთ იგი!

სანაცვლოდ მისი სილუეტი მასიურად იკვეთება
 კლდის გოლიათში – დაფლეთილი წალებით
 კუზითა და ერთიანად დაკოურილი
 სამოწყალოდ გაწვდილი ხელებით
 თიხისაგან შექმნილი კაცი
 ცეცხლის ალში – ძველ ბორკილებში
 განრისხებულმა ბოლოს ღმერთი გამოიწვია
 ჭინჭრის მდელოზე ჯოხი რომ დაესო
 ვაჟკაცობაში გამოიცადა
 დიდხანს ცდილობდა მის ამოძრომას
 მაგრამ პალო ღრმად გაიფესვა
 მიწას ფესვები არ ეთმობოდა

მაშინ ღეროსთან ჩაიმუხლა
 ცვრიან მიწას დაყნოსა და დაინახა
 მატლები როგორ შესეოდნენ მინდვირს თაგვებს
 როგორ ხრავდნენ ხოჭოები ნარშავის ღეროს
 ცხოვრებაც როგორ გრძელდებოდა მის გარეშე
 დრო კი მის თავზე აგროვებდა ზეცის ნაფლეთებს

რომელმაც ნელა დაიწყო ხლეჩვა
 მსრებით ცდილობდა მის დაჭერას
 სანამ ისინიც არ გაქვადნენ ნანგრევების ქვეშ
 და ვიდრე ამ ძილადქცეული ქვაკაცის სისხლმა
 მისი ფლანგების ძარღვებიდან ლავასავით არ ამოხეთქა
 ჭრილობები მწყემსებისა და გლეხების სალოცავ ხატზე

სტეფანწმინდა 6 viii 08

მესვეთი

ჯერ შეეფარა კლდის სვეტის ძირში
 სანთლის ალიგან გამურულ ნაპრალს
 რომ ნაქარიშხლევ სიჩუმეში
 აელწია კლდის შვერილამდე
 და იქიდან დაენახა ავდრისაგან დაგლეჯილი
 სის ვარჯები – ქრისტესავით უტყვი ჩიტები
 მერე ძრნოლით დაეძებდა
 ასაძრომ კედელს
 გამოვლილ გზას ნაბიჯ-ნაბიჯ იმახსოვრებდა
 რომ დაესწავლა გადამკვეთი ბილიკები სიცოცხლის სვეტზე
 ვარსკვლავების დასაპყრობად აწვდილ ხელებს
 თითისწვერებით ამაგრებდა უფსკრულის პირზე

ასე ავიდა კლდის თხემამდე
 და აღმოჩნდა დაღარულ და გაშლილ ადგილს
 იქ კლდემ უჩვენა თავისი თავი
 მსხვერეადი და ბზარებით სავსე – ეს რომ იხილა
 კაცმა ლოცვა აღავლინა უფლისადმი
 და ლრუბლებმაც კლდის ანგელოზს გადაუფრინეს
 აღარ იცოდა ქვემოთ როგორლა ჩასულიყო
 თავბრუსხვევა მაღლა იჭერდა
 წმინდანობა გულისხმობდა ზეცისკენ მზერას
 იაკობის კიბის მოლოდინს
 მაშინ დაშალა მატყლის სამოსი
 გრძელი თოკი მოქსოვა მისგან
 და ჩაუშვა ქვემოთ მისთვის მლოცველებისკენ
 ვინც ამ განძარცვულ განდეგილში
 რწმენა იპოვა
 ის იპოვა ვანც მზადა იდგეს კიდეზე
 თოკით აპქონდეს პური და ქვები
 რათა კლდეში გამოკვეთოს ეკლესია
 ყველასათვის შეულწეველი – ისინი კი უსურვებენ მშვიდობიან შინდაბრუნებას

კაცხის სვეტი 13 v 14

გერმანულიდან თარგმნა მაია ლიპარტელიანმა



რასულ იუნანი (ირანი)

თანამედროვე ირანელი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და მთარგმნელი დაბადა 1969 წლის 23 თებერვალს, ურუმიის მხარის ერთ პატარა სოფელში. ამჟამად ცხოვრობს თეირანში. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და პიესების რამდენიმე კრებული და ერთი რომანი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. თვითონ თარგმნის თურქულიდან სპარსულად.

რუდი

ქუდი სანაპიროს ქვიშათა შორის
შეუძლებელია
ანგელოზს დარჩენოდა
და არც
დელფინი უნახავს ვინმეს
ქუდიანი...
არადა,
მგონი,
პოეტი კაცის იყო,
რომელსაც ზღვა კარში აერია,
წვეულებისაკენ გამოდებულ
კარში...

ათვარე

მთვარე
ყველაზე და ყველაფერზე მეტად გიყვარდა
და ახლა მთვარე
ყოველლამე შენს თავს მახსენებს...
მსურს დაგივიწყო,
მაგრამ ამ მთვარეს
ფანჯრის მინიდან
ვერანაირი
ჩვარი ვერა შლის...

პირველი გვზავრობა

ჩემი პირველი მოგზაურობა
დაიწყო ცხენით,
ჯიბეში რომ მეტეოდა,
ოთახიდან
აივნისაკენ.
ძალზე მოკლე მგზავრობა იყო,
მაგრამ მე უკან მთელი ზღვები ჩამოვიტოვე,
ქალაქები - ვარსკვლავებით ამოვსებული.
სამყაროს დასაწყისიდან
გავედი
სამყაროს ბოლოში...
და ეს მგზავრობა
ერთადერთი
უხილაოო მსგზავრობა
იყო...

სირვები

წეროები
მოფრინდნენ
და გაფრინდნენ
სავ,
რომ ამ ქალაქის სახელი
არც კი გაუგიათ.

მჭე...

მოლს
საფლის გემო ჰქონდა
შეადლეობით,
როცა მზე
ნაფის წვერზე ოდნავ ზემოთ იდგა...
სე ყველაფრის მიუხედავად,
ჩენ გაჩერებებზე წავედით,
რათა განშორება გვესწავლა
მატარებელთაგან...
აბოლოოდ
ჩემგან და შენგან
შოლოდ თეთრ კურლელს ჩაეძინა
თივის ზვინებში.

როცა...

როცა სიგარეტს
ფანჯარაზე მომდგარ
მოვარის გულში აქრობ,
სე იგი,
ვიუ ხარ...
არა...
სე იგი, დამცირებული ხარ
და სამყარო ისე გეპატარავება,
სე გეპატარავება,
რომ ერთ სპილოს შეუძლია
ყველა ზღვა ერთადერთ ყლუპად მოიყუდოს.
პოდა,
უადე - ყველაფერს დაუზავდე.
წე გაიქცევი,
დედამინა
სულელურად მრგვალია!

ვართი უსახელო ლექსი

ჩემი პატარა ნაქირავები სახლი
სულ ჯოჯოხეთია
კედლიდან კედლამდე.
ღამით კოშმარები მესიზმრება
და იმაშიც ფული უნდა გადავიხადო.
ფული უნდა გადავიხადო
შიშისათვის,
მარტოობისათვის
და
სევდისათვის...
არადა, რა კარგი იყო სახლი მამისა!
რა კარგი იყო ბელურები
და ხეები
კვირტებდაყრილი...

* * *

ზღვის გაღმა იყავ დაბადებული,
შორი იყავი,
როგორც ყოველგვარი ოცნება...
ლიანდაგებს კი
ნისლში
უანგი მოჰკიდებოდა...
ქვეყნად ვერც ერთმა მატარებელმა
ვერ იტვირთა,
რომ შენაძე წამოვეყვანე,
სიყვარულში ახალ სიტყვებსაც ვერ მივაღწიე
და ჩემს სიზმართა გაგრძელებაზე
მზე
არასდროს
არ ამოვიდა...

არც...

არც იმპერატორი ვარ
და არც ვარსკვლავი მაქეს მუქში,
მაგრამ...
ჩემი თავი
ვიღაც ბედნიერ კაცში ამერია.
იმის მაგივრად ესუნთქავ,
დავდივარ,
ვჭამ და
მეძინება...
რა მშვენიერი, გულის გამხარებელი აღრევაა!

ციფვები

ბავშვობაში
გამუდმებით დავდიოდი კაკლის ჭალებში
და ხელებზე
მუდამ კაკლის სურნელი მქონდა..
როგორც ჩანს,
ვერ გავიზარდე:
დღემდე
ციფვები ღრღნიან ჩემს
სიზმრებს...

მოვალე

არავისი მოვალე არ ვარ,
ამ მთვარის გარდა,
ცხაურს მიღმა რომ მიირწევა...
თუმცა შეეძლო,
რომ აქ კი არა,
სხვაგან
ჩაევლო,
მაგალითად,
საოცნებო ზღვის შუაგულში
მდიდარი ვაჭრის კაიუტის სარკმელს აჰკვროდა...
არავისი ვალი არ მაქეს,
ამ მთვარის გარდა,
რომელიც მე შენს თავს მახსენებს...

ჩემი ამგავი

სიყვარულს
მრავალი საამო ფორმა აქეს,
მაგალითად:
ვარდისა
ლამაზი გოგოს ხელში,
ანდა:
მთვარისა
თოვლიანი ქოხის თავზე...
მაგრამ მე
ვინსენტ ვან გოგის მოჭრილი ყური ვარ -
მწარე ფორმა სიყვარულისა...



სტუდენტი ხიდი

ურთი დროც იყო,
 უთმანეთთან
 მიეს აერთებდი
 კულებსა
 და ადამიანებს...
 მაგრამ ახლა,
 ჩატარებით ხიდო,
 რუბლებსათა,
 მარტო ლრუბლებსათ
 შეძლიათ შენი გადავლა...

პრალტლები...

პური,
 წყალი,
 ფანჯრები მზისკენ...
 ზოგჯერ -
 ქორწილიც...
 ღმერთს
 ღარიბთა დასახლებების
 რა უბრალო
 განმარტება აქვს...

ჩიტები

ასე მგონია,
 ჩემი გულიდან ამოურინდნენ
 ეს თეთრი მტრედები
 და მე თვითონ ვარ,
 ცის ტატნობზე რომ ვკრავ კამარას...
 შეიძლება,
 რომ ჩიტებმა
 კაცის გულში
 მოინყონ
 ბუდე?

ზაფხული

მარტო ვარ,
 როგორც ზღვის თეთრი ფრინველი
 გემის კიჩოზე.
 კომპასის ისრებს ჩასძინებიათ.
 ქარს ალარქროლვა დაუჟინია,
 ლრუბელს არმოსვლა
 წვიმას არწვიმა,
 ზაფხულს კი თავზე
 ნარსულის ჭილის ქუდი ახურავს
 ზღვის ნაპირას მიწოლილა...
 და ჩათვლემილა...

ცეცხლი

შორს წახველ ჩემგან
 ტალღის მხრებზე ჩამომჯდარი
 თეთრი გედივით...
 და დრო გავიდა,
 როგორც წაპირზე
 მწუხარე მელა...

გულისხმა

ურთი ჭუჭყიანი ხელის ნაკვალევი სარკის ზედაპირზე...
 აქ ვიღაცა
 ცუდად გამხდარა
 თვის დანახვით,
 მე ამ სასტუმროს
 დაგტოვებ,
 ამ ფანჯრიდან
 მხოლოდ პატიმრები
 ჩანან...

ათიბარი

საყარო გისოსს იქით არის,
 მე გისოსს-აქეთ,
 ვერ გამიგია,
 პატიმარი
 მე ვარ
 თუ იგი?

სიკვდილის შესახებ

სიკვდილი კარზე არ აკაკუნებს...
 გასაღებს არგებს,
 კარზე კაკუნი რომ აეტეხა,
 ხომ სიკვდილიც ალარ იქნება?!
 მაშინ უთუოდ
 გაზის კაცი,
 ფოსტალიონი ან
 სტუმარია...
 მას კი სახე წაშლილი აქვს
 და მის ყელში ახველებენ
 გარდაცვლილები...

ლერწმიანში ჩამეძინა
და ჩემს სიზმარში
ცეცხლს მისცეს ქვეყანა...

ლაპვ

ხიდის კიბეებით
ზემოთ ახალგაზრდა ავედი
და ქვემოთ უკვე მოხუცი დავეშვი.
რა მოხდა, არ მახსოვს,
იმის გარდა, რომ
კუსტვენდა, რათა
შეშინებისა არ მშინებოდა
დახრჩობისა,
ქვისა და ქარის...
შენ არ იყავი...
ლამე საზარელი მდინარე იყო...

ქვიშის ციხესიმაგრე

ყველაფერი ვერანდება,
როგორც ქვიშის ციხესიმაგრე
ქარის სავალზე.
შენი მშვენება ბავშვური იყო,
როგორც ჩემი მიჯნურად ქცევა...
სრულდება ჩვენი სიყვარული,
როგორც ნალვლიანი თამაში
და სალამო
შინ გვაპრუნებს
ტანზე ჭრილობებითა
და თვალში ცრემლებით...

* * *

მარგარიტა...
მარგარიტა...
მარგარიტა...
მარგარიტა...
მარგარიტა...
მარგარიტა...
მარგარიტა...
მარგარიტა...
გრამაფონის ნემსი
შენს სახელს
ნამოედო...

სიფყვები მაზოგლის მოშინაურებული არმივისოს

შემოდგომა უკვე გზაშია, „ქაიაბაი“,
შენი ზღაპარი ხელახლა კრეფს კაფუში კაცებს
და ლამებს სიგრძეს ანიჭებს,
მე კი კვლავაც ყოველ დილით შენი ბუმბული
უნდა ვკრიფო ისევ სუფრიდან...

ცოტათი შენს თავზეც იფიქრე!
მეტაფორებსა და ალეგორიებში ასე ღრმადაც
ნუ დაიბუდე.

დაზიანდები!
ტყვია მუდამ რეინისა კი არ არის,
ზოგჯერ
ლიმილია –
დამცირებაში ამოგანგლული,
თანაც ისე,
რომ ვერ ხედებოდე
საკუთარ სისხლში როგორ იხრჩობი!
გაფრინდი, წადი!
გაიქცი ამ ნისლისაგან,
ხალხის ენაპირს გაექცი
გაექცი მოვარის მწარე დისკოს,
სინთლე რომ ფანჯრებისთვის მიუფენია.

ქაიაბაი!
მთამ და ზეცამ თუ დაგივიწყა,
შენ გაიხსენე ისინი
და წყლის ჩქერალები,
გაიხსენე კლდეთა ქუში დიდებულება
და მიუშვი
ნინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებულმა
მოგონებებმა
სული მოითქვან
და აქედან გაგალწევინონ
მოგონებები ზაფულის ლამის ვარსკვლავებია
და სითეთრე შუალის კურდლის ბოცვრებისა
მოგონებათა საფრენი ფრთები
და
გასაოცარ დლეთა მწვერვალზე მცირე ხანი
სულმისათქმელად.

გეყურება, ქაიაბაი!
თუ ყურები დაგუბებია?!
სავალალოა, შენნაირი არწივი რომ
აქ ლპებოდეს, მცირე ეზოში
რით ინუგეშებ გულს?
ამ ხებით, მტვერდაფენილით?
ესენი ხომ თვითონვე ტყეს ჩამოსწყვეტიან
ანდა ამ მარმარილოს კიბით?
ის მთის კლდების მაგირ თავს შემოგატყუებს!



წეტავ რომელი წმინდა კურდღლის წყევლამ გინია,
რომ მახში ასე გაები?
რომელი დვთისთვის ალკვეთილი მტრედის ოხვრის
ცეცხლმა
დანაცრა
სოსმაცე
შენი საფრენი?

ქაბაი,
უკვე ლონე გამომაცალე!
რატომ არაფერს იქმ?
შენს აჩრდილს კედელზე
რაღაც აკლია,
რაღაც მსგავსი
ფრინველად ყოფნის.
რამე იღონე,
ჭრნა ბუზისგან მანც ისწავლე!

სისულელე
უბრალოების სხვა სახელი როდი არის,
ნაფლის მომგვრელი ფორმა არის
უფიქრელოების!
ბრიყვი არ იყო!
აჩწივს არ უნდა აერიოს
თავი ქათამში!
ფიქრე ცოტა.
თავიდან თავისუფლებაზე
და იმ ნიავზე,
ურთებქვეშ რომ გელამუნება
და მალა მიჰყავხარ.
მერე სიკვდილზე
კმერათა და თვალთა პირისპირ...

შენ ასე არ უნდა მოკვდე,
არ იმსახურებ შენ
ასე მწარე, ულმობელ სიკვდილს,
ციხე ახსნა –
სიზმრის კი არა, კოშმარებისა!
შეეცადე, რომ მშვენიერ სიზმრებს ხედავდე,
რომ ხვალ დილას
კედლები გვერდზე გაინიონ,
როგორც უჯრები
და დაგანახონ ამ სამყაროს უსასრულობა!

ზეცის ბაზრის იაფასიან საქონლად იქეც!
რა იაფად გაყიდე თავი!
გაყინული ხორცი შენი ფასი სულაც არ იყო
და ლიმლი დრო და დრო
ამ ჯმუხი კაცის –
შენი პატრონის!

გუშინ ზეცის ნაწილი იყავ,
დღეს მიწის მტკვერის ხარ ნაწილაკი!
ადამიანთა ბედისწერა ნამოგენია.
დაპატარავდი, გაილიე
ფრთხილად იყავი
ამ წყვიდიადის სიკრცეებში არ ჩაიკარგო!

ქაიაბაი,
მეზობლის შინაურო არწივო,
ადათნესების სიღრმეებში სიცოცხლე
სიკვდილისაგან არ განსხვავდება.
შენც მკვდარი ხარ,
მაგრამ სიკვდილის აზრი არ გესმის...

სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ



პიმპერლი ჯონსონი (აშშ)

კიმპბერლი ჯონსონი სამი პოეტური კრებულის ავტორია. სულ ახლახან, 2014 წელს გამოიცა მისი ერთ-ერთი ბოლო კრებული „უჩვეულო ლოცვა“. ის ასევე ცნობილია, როგორც კლასიკური პოეზიის მთარგმნელი, თარგმნილი აქვს ვერგილიუსის „გეორგიკები“ (პინგვინის კლასიკა, 2009) და ჰესიოდეს პოემები. როგორც ინგლისური რენესანსული ლიტერატურის მკვლევარმა, 2014 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია რელიგიისა და პოსტრეფორმაციული ეპოქის პოეზიის ურთიერთმიმართებაზე.

ჯონსონი არის აშშ-ის ეროვნული ფონდის არაერთი გრანტისა და სტიპენდიის მფლობელი. ამჟამად ცხოვრობს იუტას შტატის ქალაქ სოლტ ლეიქ სითიში.

სულო, მიუშვი სადავები შენს გაჭირვებულ ბედაურებს –
ნინ პიტალო, გრძელი ღამეა.

ხარები თვითონ ვერ იყლიან. ახლა ისინი
ხენეშით იცდიან საღამოს ბინდში, უხახუნებენ

რქების ერთმანეთს და ღობეზე აკრულებიყით
გრძნობენ შვებას. მათი ნერვები ეკლიანი მავთულხლართია.

ფეხები უკვე დაგვიწყლულდა, საძოვრები ჩამოვიტოვეთ. გადაულა გვიწევს
ქედზე, რომელსაც არ უჩანს ბოლო; სალბის სტეპები,

შეშინებული საქონელი მოჩვენებითი ხმებისაგან:
ნაცრისფერი დაბნეულობა და ხმაური ჰორიზონტის ყველა კიდეზე.

სასტვენი, მე და შოლტის ტკაცუნი ერთ მთლიანობას
წარმოვადგენთ. ვარ ამათვის ერთადერთი ნაცნობი სახე,

ამიტომ ყველგან წამომყებიან: გორაკის წვერზე,
ბოსელში თუ გაწითლებულ მოედანზე

თოფის სამიზნედ. ქარი ატყდა, იკრებს ძალებს,
ტრალით¹ მოაქვს ქარის ამინდი; თოვლი წამოვა მძიმე ბელტებად,

დაენარცხება ძირს სხეულივით და განთიადებს შორს გადადევნის.
ყინვით დამწვარი, დაბრმავებული თოვლის სითეთრით თუ გავბედავთ და

დანიშნულების ადგილამდე შტორმში გავივლით,
დავილუპებით. სულო ჩემო, სადაც წახვალ, ყველგან მოგყვები.

[*****]

ყველა ამინდში და ამინდის ყველა ბრუნვაში,
გაზაფხულის სხვადასხვა ფრთაზე, ხუთნაირი ფორმის თოვლში,
საავდრო ღრუბლის ენებააშლილ სიმწვანეში, –

გეომეტრიულ მწვანე ნაკვეთებს რომ ადგას თავზე,
გულის ყოველ ქარიშხლიან ბრუნვა-ტრიალში, ყველგან
შენს სახელს გავყვიროდი. ეს არ გეგონოს

თეატრალური ლიტანია, წარმოთქმული
ჩემი ჩვეული სადგურიდან „უპასუხო“.
სხვაგან ვერ ნახავ ასეთ ოხვრებს და მღელვარებას, აი, ასეთი,
წამლეკავი ვნების ტროპიკებს...

¹ ტრალი – ტომრისებური დიდი ბადე გემიდან ზღვაში თევზის დასაჭერად

* * *

რა არის ქარი,
გარდა იმისა, რომ წყურვილის დიალექტია? – : მაღალი
წევა, დაბლობების ამოსავსებად მოვარდნილი; ზეცა არის,
რომელიც ცდილობს, სიმურგალე დაიცხროს იქნებ დედამინის
უსიმბატომო სიგრილის ყლუპით, ცის თავდაყირა სიგრილეებს კი
დედამინის სიმურგალისებრ მიაქროლებს. ყველა ამინდი
უშედეგო სურვილების ნიაღვრიდან იღებს სათავეს. არ გაგიკვირდეს,
რომ ქარი ღმუის, – მას არაფერი არ აქვს სათქმელი.

* * *

ლტოლვილო ლმერთო, დიდებულო ჩემო მაცდურო,
ჩემმა გულმა ხომ ქარიშხლების გრამატიკა შეისწავლა
შენს ნაკვალევზე. მოუსმინე: ჭექა-ქუხილით ამბობს ის ახლა
თავის ყველაზე მართალსა და უიმედო ლოცვებს
შენდამი.

გათქვების დაკოდვა

გაზაფხულისენ, ჭრიჭინები რომ გაიგერობას² მოუხშირებენ, ჩვენ ცალკე ბაკში
შევრეკავთ ყოჩებს. დამწყვდეულები, ერთ ადგილზე მჭიდროდ შეყრილი, ღობის იქით
შეჰბლავიან დარჩენილ ნერბებს. ძირს აღელვება და ცახახი,
ძირს გულისრევა: აიყვანე ერთი მათგანი და ხელი ჰყარი, დააწვირე ტალახში ზურგით,
ჩაიმუხლე მერე იქვე, მის მკერდთან ახლოს. დუმის ბოლოს მოჭერილი სახვევი მაღლ
კუდს გაუშავებს, ჩამოახმობს და შეკვეცა ადვილი ხდება. დაკოდვა, თუმცა, ბოროტებაა:
ჯერ ცერათითით მოუსინჯვე რბილი მუცელი, რომ უპოვო სათესლე პარკი, მერე მიდი და
დაიგინე წუთით ეს საქმე, ამუშავე მხოლოდ კბილები, დახურუ პირი,
გადააფურთხე, ვცდილობ, გემო არ გავუსინჯო, მაგრამ მანც საკუთარი პირის გარდა
ვერაფერს ვერ ვგრძნობ, მლაშე სისხლი და ლანოლინი ვარ,
ახლა უკვე ცხვრების ბლავილი საკუთარი ენიდან მესმის. ამას დაკოდვას ეძახიან, –
რბილ მუცელში კბილის ჩასხბას, – მაგრამ ბოლოს, ამ საღამოს პირს რომ გავაღებ,
ვერაფერს ვიტყვი, დამეფანტება სიტყვები და ენა დამებმის. შენი სახელის ნარმოთქმამდე რომ
მივა საქმე, პირს გავაღებ და გამომივა „მწუხარების“ თქმა.

აღმოსავლეთით, პირმიდული დასავლეთისკან

1.

ვარსკევლავებმა. ვარსკევლავებმა წალეკეს ზეცა! –
არა, წაშალეთ, რაც ახლა ვთქვა! – ვარსკევლავებმა ცადაქციეს ნიაღვარი, ზღვა
მკრთალად ელავს უვარსკევლავებო სიშავის ქვემოთ...

2.

წაშალეთ ესეც! ეგზოტიკური მეტაფორა ვარ, საწერ-კალამი
უკვე ცოფებს ყრის, დაუხვენავი წვრილმანებით
არასოდეს კმაყოფილდება.

² გაიგერის მანქანა – რადიაციის საზომი აპარატი, რომელიც პულსირებას უმატებს რადიაციის აღმოჩენისას.

ნაძალადევი აპოთეოზი – გამუდმებით,
უკანასკნელი ბელურაც კი – უფრო მეტად თვალშისაცემი,
წყალს ვაძულებ, ღვინოდ რომ იქცეს. ასე ფაქიზად

მიყვარს ამ სოფლის წარმავალი მიმზიდველობა,
ეს სილამაზე, ასე ცოტა და უკმარისი. პურიტანივით
შინაქსოვი პერანგიდან ამომყავს არსი.

3.

თუმცა რწმენისგან დაცლილია ეს მონდომება: რომ ყოფილიყო ეს პურიტანის ჩვეული
რწმენა, გავეხეოდთ ყველანი მადლში – ტანჯვის გზით მოსულ ღვთის წყალობაში, რაც
მით უფრო სათონოს გხდის ღმერთან, რაც მეტ წვალებას გამოივლი

და შეუდგები სიმაღლის ვნებას. არა, წაშალეთ ისევ ბოლომდე,
ხელახლა ვიწყებ: ვარსკვლავები შავად მოჩანს სანაპიროდან
წამოსულ ქარში; თევზის გუნდებთან შეტაკებისას

წყალმცენარეებს შუქი უონავთ დაბეგვილი უჯრედებიდან
და თავიანთ გამნადგურებლებს წადიმის დროს ასხივებენ პირდაპირ ფოსფორს.
ამიტომაც, წება მომეცით, განვადიდო სილამაზე იმ არსებების,

მიუროსკოპში ძლიერ რომ მოჩანან, მაგრამ იმდენს კი ახერხებენ, სიდიადე
აპრენინგდეს მათ წამსხვრევებში.

4.

მოიხილეთ: ვარსკვლავისებრნი, ყველაფრის შემდეგ.

ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა



ვერა პავლოვა (ავმ)

რუსულენოვანი ამერიკელი პოეტი ვერა პავლოვა ოცამდე პოეტური კრებულის ავტორია; წერა 20 წლის ასაკში, ქალიშვილის დაბადების შემდეგ დაიწყო. პირველად 24 წლისა იყო, როცა ყოველთვიურ ლიტერატურულ ჟურნალ „იუნისტში“ ლექსები გამოაქვეყნა. ვერა პავლოვას პოპულარობა და აღიარება გაზიტ „სეგოდნიას“ ჩანართში დაბეჭდილმა ლექსებმა მოუტანა. სხვადასხვა წელს მისი რამდენიმე პოეტური კრებული – „Вездесъ“ (2003), „Ручная кладь“ (2006), „Письма в соседнюю комнату“ (2006) ნომინირებული იყო, როგორც წლის საუკეთესო წიგნები. მისი ლექსები მსოფლიოს 22 ენაზეა ნათარგმნი და ქვეყნდება ისეთ აღიარებულ ჟურნალებში, როგორიცაა „ნიუ-იორკერი“.

პოეტი ბეგრი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეა. ვერა პავლოვამ ახლახან გამოსცა წიგნი, სადაც შესულია მისი ხელნაწერი 1001 ლექსი.

* * *

ნაოჭებმა ტუჩებთან
პირი ჩასვეს ფრჩხილებში
ნაოჭებმა თვალებთან
მზერა ჩასვეს ბრჭყალებში
გადახაზეს ნაოჭებმა
ის რაც შუბლზე ეწერა
ნაოჭები ყელზე კი
ჭალარაა პატარძლის

* * *

ზამთარში – მცენარე ვარ
გაზაფხულზე – ცხოველი
ზაფხულში – მწერი
შემოდგომაზე – ჩიტი
დანარჩენ დროს კი ქალი ვარ ხოლმე

* * *

ვერ გიყურებ, როცა საჭმელს ჭამ.
ვერ გიყურებ, როცა ლოცულობ.
ვერ გიყურებ, როცა შარვლიდან ამოგაქვს ფეხი.
ვერ გიყურებ, როცა მკოცნი და მეუფლები.
ვერ გიყურებ, როცა გძინავს.
ვერ გიყურებ, როცა არა ხარ.
ერთი სული მაქეს, უკან როდის დამიბრუნდები,
ლოცვას იტყვი და მაგიდას მიუჯდები პურის საჭმელად.

* * *

მზეზე თბებოდა
ჩიტს უსმენდა
წვიმის წვეთებს იფერთხავდა
და როდესაც მოფრინავდა
მხოლოდ მაშინ დაინახა
ხე ფოთოლმა
და მიხვდა
რას
ნარმოადგენდა

რუსულიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა



* * *

დავამსხვრიე შენი გული.
ახლა ნამსხვრევებზე დავალ
ფეხშიშველა.

* * *

სათუთად წერია საუკეთესო სტრიქონები
ჩემი ნაზი ენის წვერით შენს სასაზე,
შენს მკერდზე, მძივებად ასხმული ასოებით,
მუცელზე...
არა, საყვარელო,
მე ჩუმზე დაგწერე!
გინდა, რომ ტუჩებით წავშალო
ეგ შენი ძახილის ნიშანი?

* * *

ტანჯვა – სამშობლო.
ბედნიერება – უცხო მხარე.
პატრიოტიმი – მშობიარობის ტრავმა.
თავად ცრემლები დვარა,
დედა! –
მეძაქს რომ შესძახა მთვრალმა.
ქალის გრიმასა.
ნოსტალგია – ტკივილზე ოცნება მასში.
...კინოში ერთად წავედით კლასი,
დავბრუნდი – დედა კიდია დერეფანში.

* * *

რად არის სიტყვა კი ასე მოკლე?
ის უნდა იყოს
ყველაზე გრძელი,
ყველაზე რთული,
რომ მისი წარმოთქმა მყისვე ვერ გაბედო,
რომ, გონზე მოსული, სიტყვის შუაშივე
დადუმდე...

* * *

გოგონას სძინავს ისე
თითქოს ვიღაც ნახულობს სიზმრად
ქალს სძინავს ისე
თითქოს ომი იწყება ხვალე
მოხუც ქალს სძინავს ისე
თითქოს საკმარისია
მკედრიდ მოაჩვენო სიკვდილს თავი და
საზმრის იქით გაივლის ისიც.

* * *

ისეთი
სიმაღლიდან
ვვარდები
რახანია
რომ
მგონი
მოგასწრებ
ვისწავლო
ფრენა

* * *

ლექსის ჩაწერისას
ფურცლით დავისერე ხელისგული.
ნაკანრმა გააგრძელა სიცოცხლის საზი
თითქმის მეოთხედით.

საქორთვეო კონფრანტის მონახაზი

... ხოლო წიგნებს, თუ რამეა, ასე გავიყოფთ:
შენ – კენტი, მე – ლუწი გვერდები მათგან,
ერთმანეთს ხმამაღლა რომ ვუკითხავდით,
და კოცნით შეწყვეტილი კითხვა
ნახევარი საათის მერე ახლდებოდა...

რუსულიდან თარგმნა ვასო გულეურმა



გიუნელ მოვლუდი (აზერბაიჯანი)

გიუნელ მოვლუდი გუნელ იმანოვას სამწერლო ფსკევდონიმია. პოეტი აზერბაიჯანის ყარაბახის რეგიონში დაიბადა. იგი 12 წლის ასაკში, ყარაბახის კონფლიქტის გამო იძულებული გახდა, ოჯახთან ერთად დაეტოვებინა მმობლიური მხარე. სხავლობდა თეატრალურ ხელოვნებას ბაქის უნივერსიტეტში. მისი პირველი პოეტური „წყვდიადი და ჩვენ ორი“ 2004 წელს გამოიცა. ბოლო პერიოდში გამოსცა წიგნები: „5 XL- ეს სხეულის ზომაა“ და „პასუხად ნაშუადლეებს“.

გიუნელ მოვლუდი ცნობილია ასევე, როგორც მთარგმნელი. ნათარგმნი აქვს ვიქტორ პელევინის „ამინ რა“, გაბრიელ გარსია მარესის „მარტობის ასი წელი“, სტენდალის „წითელი და შავი“ და ა.შ. წერს სტატიებს სოციალურ თემებზე. გიუნელი შეუერთდა მოძრაობას, რომლის მიზანია აზერბაიჯანში ანტისომხური პროპაგანდის დასრულება. ამის გამო იგი აზერბაიჯანელი რელიგიური და სახელმწიფო ავტორიტეტების გაძლიერებული ყურადღების ცენტრში მოხვდა. ამჯერად ის ორ ქვეყნაში, საქართველოსა და გერმანიაში ქმართან და ბავშვთან ერთად ცხოვრობს. არის რადიო „თავისუფლების“ აზერბაიჯანული ბიუროს უურნაალისტი.

გიუნელ მოვლუდი „ახალის საუნჯის“ 2014 წლის ნოემბრის „ნომრის ავტორი“ იყო.

* * *

გოლიათია ეს ქვეყანა
მას არ ვჭირდები.

მაგრამ ამაზე უფრო მეტად
ის უძლურება მტკივა,
როდესაც ვხედავ,
ფანჯრის მეორე მხარეს
წვიმის
ჭუჭყიან წყალში
ხელებს როგორ იპანს ადამიანი,
და თავს ვიმშვიდებ.

მგზავრს ავტობუსში,
დედის კალთაში
უპილო პირით
პურის ნაჭერს რომ ილოლნება
ბავშვის თვალები რომ არ ჰქონდეს
ვილრიალებდი.
თვალს არ ვშორებ
და მხოლოდ ჩუმად ტირილისთვის
თუ მყოფის ძალა.
ამ ჭუჭყით სავსე ქვეყანაში,
დამნამავედ რომ აქცევს ყველას,
თუნდ ერთი ბავშვის
კალთაში ჩასმის ღირსა რომ არ ვარ,
რომ შემეძლოს, თუნდაც მხოლოდ ერთი მიზეზი
გაჩვენო ჩემი შეყვარებისთვის,
შესაძლოა
კომპიუტერის შავ ლილაკებს
მოაცილებდი შენს ხელებს და
გველებივით მე შემომხვევდი.
მე ვდგავარ შენ ნინ
და თითს თითზეც კი ვერ ვაკარებ
რადგან აქ, თუკი შორიახლოს
ჭრიჭინების ხმები არ ისმის,
ვერავინ შეძლებს ბედნიერება სრულად შეიგრძნოს,
ვერავინ შეძლებს.

ეს გოლიათი ქვეყანა
შენ ხარ
უძლური ვარ
მე შენ ნინაშე.

რეპივები ზემოქმედისათვის

გთხოვ, ნუ მოკვდები, უშენოდ
 ცხოვრება უცნაურდება
 შენ რომ უკვდავგყონ, სიმღერებს
 სულის ამოსულა უნდებათ.

მარტო რომ არ გაგელვიძოს,
 ადრე ავდები ფარულად
 და პოეზიას გავიძრობ,
 ხელს მიშლის, გესიყვარულო.

არ მოკვდე, სიტყვა მოგეცი,
 რომ ჩემი ხელით მოკვდები
 მე ჯერ სიკვდილი არ მინდა,
 შენს სიკვდილს დაველოდები.

არ მოკვდე, სუნთქვა მეკვრება,
 წუთიც რომ აღარ გნახულობ,
 თუ გინდა, თმასაც შევჭრი
 ხელს მიშლის, გესიყვარულო.

* * *

გამარჯობა, მენატრები პოეტო და
 სიმარტოვებ კვლავ გამიცნო ისევ ისე,
 ისევ ისე შემოდგომა, სიცივე და
 ისევ ისე ღუმელთან ვარ ჩემს ადგილზე.


კიდევ ბევრი სიმართლე მაქვს გასამხელი
 და ტყუილიც გაგიმხილო ბევრი უნდა
 მთელი წელი ვერ ვიძინებ, მეშინია
 ჩემს ბალიშმი მგონი, გველმა დაიბუდა.

ჭალარები შევამჩნიე თმაში, დაე,
 გამიმრავლდეს, არ მოვწყვიტე, შევინახე.
 თმაც დაბერდეს, ოცდაათი წელინადი
 ახალგაზრდა რომ ვიყავი, ან რა ვნახე?

მოდი ერთ დღეს დავსხდეთ, ჭიქა მომაშველე,
 რა მოსწყდება კიდევ თვალებს ცრემლებიანს?
 ჩემში კვდება ყველა წმინდა ანგელოზი
 და ლამაზი ქალებიც კი ბერდებიან!

მთარგმნელი ვასილ გულეური
 ბნეარედი აიდა ტაგივასი

2 ქართველი პოეტი



ლუკა აძიები

ლავა

ტბაში ქვა ჩავაგდე
და უცებ
ყველა ვარსკვლავი დაფრთხა

მოგზაურობილან დაპრუცება

გავყურებ ზღვას და
უცრად მასენდება რომ
სმელეთზე ვზივარ

ოქროს ვენახი

ერთ შემოდგომას, როცა ოთხი წლის ვიყავი,
სოფელში მამა ჩამოვიდა.

მეორე დღეს იყო სავსემთვარობა და
შუალამისას ბაბუაჩემთან ერთად
სახლის უკან, შიშველ ვენახში გავედით –

ვენახი ლიკლივებდა მთვარის შუქზე, ოქროს ზღვასავით.

მის ბოლოში იდგნენ მამაჩემი და ბაბუაჩემი.

ისინი არ ჰერცოგი საკუთარ თავებს,
ეს იყო ორი კაცის უძრავი ფიტული,
დაყუდებული არა ვენახის დასაბარად თუ გასათოხნად...
მხოლოდ ამ პეიზაჟის სრულყოფისათვის.

მივიწყებული მოგონებები –
მამინ ამიყოფენ ხოლმე თავს,
როცა სამუდამო დავიწყების საფრთხეს იგრძნობენ.

მაგალითად, როცა ახალ ცხოვრებას იწყებ,
იქნი ძელ ნიღბებს და ახლებისთვის ექებ ადგილებს;
ან როცა უამრავ ხალხს შორის დგახარ,
ათასი ელექტრო მზე ერთად დაგხათის თავზე
და ამ ერთ დიდ ტანძი
შენი სხეული ირწევა უპატარავეს მოღეკულად.
როცა გარშემო ყველა რაღაცას გევედრება
და მსუბუქი ღიმილით გიტყუებენ საკუთარ თავში...

ამ ღროს გახსენებენ თავს
სამუდამო დავიწყების საფრთხით შეშინებული მოგონებები.
ამოფეთქავენ წამიერი გაელვებით, მაგრამ სრული სისავსით,
როგორც ის მთვარე,
ზღვასავით ყანას და ორ უძრავ სხეულს თავზე დამდგარი...

ყველაზე ღრმა ხნულებამდეც კი აღწევდნენ
მისი ოქროს სხივები.

* * *

ერთხელ
ღმერთი აქ
მართლა ჩამოვა

და საბოლოოდ იტყვის სიმართლეს

რომ ის
არასოდეს
არასოდეს
არ არსებულა

* * *

ბავშვობაში, ძილის წინ
როცა ტელევიზორს მირთავდნენ და
საწოლში მანვენდნენ,
თვალებს ქუჭავდი და გონებაში
ჩემს ტელევიზორს ვაგებდი,
მხოლოდ იმ არხებით და იმ პროგრამით,
რომელიც მე მინდოდა.
მეთერთმეტე არხზე ყოველთვის გადიოდა
რამდენიმენამიანი ნაწყვეტი რუსული პორნოდან,
რომელსაც ერთხელ, არხების თვალიერებისას
შემთხვევით მოვკარი თვალი,
რამდენიმე წამით გავშტერდი
და დაფეთებულმა მაშინვე გადავრთე.
მაგრამ ის ნაწყვეტი
სამუდამოდ დარჩა
ჩემი ტელევიზორის ბოლო – მეთერთმეტე არხზე
სადაც შესვლა ჩემს თავს ავუკრძალე
და სადაც ყველაზე დიდხანს ვრჩებოდი

მთვრის ნაწილაკები

ახალგაღვიძებული, გაშტერებული ვწევარ ლოგინში.
არაფერი იძვრის.
ოთახში მტვერი ქმნის მოძრაობას
ჩემსა და საგნებს შორის,
ის იტევს ყველა იმ სიზმარს, რომლებიც დილის გაშტერებაში დაიკარგნენ;

მტვერია ჩემი ძილის ერთადერთი მოძრავი მოწმე;
მან იცის ყველა ის ლექსი, რომელიც ჩემშია და ვერ დავწერე.

ფანჯარას ვალებ და
მტვრის ნაწილაკები გადიან ქუჩაში –
ქალაქის დიდ ქარს უერთდებიან.

ამგვარად, ჩვენი ლექსები ფრინავენ ერთად,
ქუჩების თავზე უხილავ ტაძარს ქმნიან
და როცა მძინავს,
სახურავებზე აფარფატებული ჩემი გონება
მოგზაურობს ამ ტაძარში.

მერე – გაღვიძებისას
თვალებს რომ ვახელ და ვხედავ
მზის სხივზე ათამაშებულ მტვრის ნაწილაკებს,
ვიგონებ ლექსებს, რომლებსაც ვერასდროს დავწერ
და ფანჯარას ვალებ.

ასე ვმოგზაურობ ერთმანეთის სიზმრებში,
ასე ვაშენებთ ტაძარს, რომელსაც ლმერთი არ ჰყავს
და რომელიც ყველას ეკუთვნის.

დამდლელი წვეულებიდან ვპრუნდები სახლში.
თავი მანქანის ფანჯარაზე მაქვს მიდებული
და ცარიელ ქუჩებში დარჩენილ
განათებულ ბილბორდებს ავყურებ.

როგორ სევდიანად იყითხება მათი ტექსტები
მაყურებლების გარეშე,
როგორ სასაცილოდ გამოიყურებიან
იქიდან მომზირალი
სექსუალური და ბედნიერი სახეები,
როცა შუქნიშნის ყვითელი შუქი ეცემათ.

ნარსული

ამ ქუჩაზე ერთი სახლის მაგივრადაც
სიცარიელე რომ გაჩნდეს,
ქალაქი ორივე მხრიდან დაიძვრება მის დასაფარად.

ამ ქუჩაზე სულ პატარა სიცარიელეც რომ გაჩნდეს,
ქალაქს მოუწევს ახალი ლოგიკის პოვნა.

მე ყოველდღე მავიწყდება ახალი რალაც –
მე ყოველდღე ახალი ვდგები.

მდინარე ცაზე

თითქმის მძინავს და აღარ ვიცი
ეს ჩიტები ფრინველებია თუ ჩემი სული,
სალამოს ცის ქვეშ
დამსხვრეული ქალაქის თავზე
ერთ დიდ მდინარედ რომ მოედინება
და ძილში
უეცარი წამოყვირებებით მახსენებს იმ ადგილებს,
რომლებზეც აღრე
მე და შენ ვთესავდით პატარა სახლებს
შიგ მცხოვრები
პატარ-პატარა ბედნიერებებით
ვნალმავდით ამ ქალაქს.

ახლა, როცა უკვე ცალ-ცალკე გვძინავს,
სხვადასხვა სადგურებიდან დაძრული
სალამოს ცის ქვეშ
ვრცელ მდინარებად ატივტივებული
ჩვენი სულები
ფეოქტებიან დანალმულ ქალაქზე
ჩვენს მკვდარ ტნებში
და უეცარი წამოყივლებებით გვახსენებენ
ერთმანეთის არსებობას.



ეკა ქავანიშვილი

გაჩერება, გაზაფხული

გუშინ, ხრიოკ მიკრორაინებს შორის, ერთ ადგილას გავჩერდი.
 შემთხვევით შემორჩენილ აყვავებულ ხეს მივუახლოვდი,
 ზუსტად ისე, როგორც ჩემი ძროხა მიდიოდა ბუჩქთან, მშიერი,
 და თეთრ ყვავილებს ცხვირი მივადე.
 ნიცამ შემომხედა და გაეცინა – ვერ გაიგო ჩემი უეცარი ურბანული რომანტიკა.
 მე კი აღარ შემძლო სუნთქვა.
 მე დიდი ხანია ალარ შემიძლია სუნთქვა ამ ქალაქში,
 სადაც გაზაფხული დგება კოლბაში,
 შემოდგომა – მხოლოდ ფანჯრის ჟეიზაუია, მეტი არაფერი.
 ზამთარში კი,
 ზამთარში არ თოვს.
 აი, ასე, ვიდექი სხვის ხეში თავშერგული და მინდოდა
 მაგრად მეტირა, იმიტომ რომ წარმოვიდგინე,
 ამ დროს, ჩემს ეზოში ბალახი მღერის, როცა მამაჩემი გათიპავს – მაინც.
 ვაზი ტირის. როცა მამაჩემი გასხლავს – უარესად.
 მისხეპილ ტოტებს ჩამოსდით ბლანტი ცრემლი.
 რა ხანია, აღარ მინახავს როგორ თოვს ატმის ხე.
 რა ხანია, აღარ არსებობს ტალახიანი ბოტები ჩემს ცხოვრებაში,
 რომლებსაც უკანა კართან ვყრი და
 გაყინულ ფეხებს ღუმელისგან გახურებულ იატაკზე ვაწყობ.
 რა ხანია, აღარ არის ასეთი სითბო ჩემს ცხოვრებაში.
 და ასეთი გაზაფხული.

თბილისის და კიბევის რაღაცების გამო

ერთ დღეს გავიღებით და,
გარეუბანში ცხოვრება სირცევილი არ იყოს.

ცენტრში დასახლებულებს (თუ გადასახლებულებს) თავისი ქალაქი უყვარდეთ აბრამდე – „თბილისი“.
მორჩენილი პიცასავით არ იდოს ლანგარზე რომელიმე საწყალი უბანი.

გვერდს რომ უვლი, შეჭმა გრცევენია –

რადგან ბოლოა, რადგან გაციცდა.

რა მოხდება,

ვარკეთილში წასვლა – ვარკეთილში წასვლა იყოს, გმირობა კი არა.

ეგეთ რამეებზე არ ვიცინდეთ – ეგეთ რამეებზე დაცინვა გვიკვირდეს.

რა მოხდება, ჩვეულებრივი ამბავი გახდეს ქუჩის პატარა კაფეები.

იქ გემრიელ ყავას დალევ და ამისთვის

რომელიმე ტრაქში პერო ადგილას წასვლა არ მოგინევს.

მაგლითად... კარგი, ქუჩას არ დავასახელებ.

რა მოხდება,

ეს ქალაქი ხუთი კილომეტრის იქითაც ქალაქი იყოს. ანათებდეს.

თუმცა, გასაგებია.

რა არის საყვარელი ადამიანებით გამოტენილ ჩაბეტონებულ კორპუსებში?

თან, თუ ეს ადამიანები არ დადიან გაპრიალებული მანქანებით,

არც გამოთბარ ოფისებში შესრიალდებან ხოლმე და, უფრო მეტიც,

წაგვის პარკებს თავზე გაყრიან – არაფერო.

ეკლესიებით გაყოფილ უხეო მიკრორაიონებში – კენტები მარჯვნივ,

მარცხნივ – ლუნები. არც არაფერი მიმზიდველი.

შეიძლება რაღაც გაუეგბარი ეგზოტიკა გზააბნეული უცხოელისთვის –

მიგა, ერთ-ორს ჩაბეჭაპუნებს. ფოტო მზადაა.

შეიძლება, ვინმე დამწყებ არქიტექტორს მიუცდეს ფეხი – აღწერს, როგორც სიმახინჯეს,

წაგა, წაიღებს, სხვებს აჩვენებს –

აი, თურმე. აი, თბილისი. ნნ. ნნ. ნნ.

უცხო სხეული შეეზარდა თითქოს ქალაქს –

ხორცმეტს კი ყველა ინტერესით ათვალიერებს.

სულ ესაა. მეტი არაფერი.

მე კი ვამბობ, რა მოხდება,

ის, რაც გიყვარს, მთლიანად გიყვარდეს.

გავვეგი იგაღებია

ბავშვები იბადებიან პირდაპირ ფეისბუქში და მე მეშინია,

ყველა ახალი დიდი მუცლის, პირდაფეჩენილი ჩვილის,

ნეტარი მამის და ალფროვანებული მრევლის.

მეშინია, საქვეყნოდ არ გამოვდო მეც ჩემი სიყვარული,

რომელიც აღარ არის ხმამაღალი და იწყება შუაღამით,

როცა ჩვენი გაზრდილი შვილები იძინებენ.

მეშინია, არ გამოვდო როგორც სიახლე –

ჩემი მუცელი, შენი ხელი – მასზე,

ჩვეულებრივი ყოველდღიურობა გავყიდო.

შემდეგ რაღაც წითელ მასაზე ვთქვა, რომ ლამაზია და ვუყურო შტერივით,

შეფასებდა კარგულმა.

ჩაგუსავრდე მძინარეს და ვაჩხაკუნო და ვაჩხაკუნო,

გავაცნო მთელ დედამინას, სანამ თვითონ დამთანხმდება, იყოს საქვეყნო.

ბავშვები იბადებიან კარლია სამშობიარო ბლოკებში.
 ჩვენც ერთმანეთთან გვძინავს კედელგახსნილ ოთახებში.
 საქვეყნოდ ვჭამთ და ვლოცულობთ და ვიპარო და ვკვენესით.
 და როცა ერთმანეთთან ვრჩებით მარტო, ჩაკეტილ სივრცეში,
 ალარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ.

დასწრების აუცილებლობა


დაქრძალვაზე უნდა წავიდე.
 გამოვალო კარადა და დიდხანს ვუყურო, შავი კაბა თუ გამარინა.
 შარფი, შარვალი, ფეხსაცმელი, ქუდი, ლაბადა – წესი – წესია.
 ჩემი იქ ყოფნა საჭიროა. მწუხარე სახით დგომა და მოცდა,
 ვიდრე ყველაფერს მინა დაფარავს. ვიდრე ფერფლი გაიფანტება.
 რა ხანია, მგონია, რომ ამ დაკრძალვაზე უნდა წავიდე.
 ჯერ წრე დავარტყა, ჭირისუფალს მხარზე ხელი ჩამოვასვენო,
 თავისუფალ სკამზე ჩამოვჯდე – ავადმყოფობდა? ვიკითხო და,
 ოფლისგან სველი ცხვირსახოცი ხელისგულში უფრო მოვჭმუჭნო.
 საჭიროა ჩემი იქ ყოფნა.
 საჭიროა, შევამონმო – ვის დააკლდა და ვინ არ იდარდა.
 საჭიროა, დავიჯერო – არ მიმატოვა.
 მე კი არა, ყველას მოუკვდა.

გამპრალი სიზმრების ლექსი

~~ერთი~~ კარგი სიზმარი მომენატრა.
მულტფილმის მეცე

ყოველთვის მქონდა სიზმრების იმედი.
 რაც საბნის ზემოთ არ არსებობდა, ის ხდებოდა საბანქვეშეთში.
 და მე ვიყავი ბედნიერი.
 იყო დიდი მოგზაურობაც, ხიფათით სავსე – სრიალა პითონებისგან გავრბოდი.
 8848 მეტრზე ალამს ვარჭობდა.
 იღბალიც იყო – თვითმფრინავის ჩამოვარდნისას ცოცხალი ვრჩებოდი.
 პულიტცერის პრემიება, აღტაცებული მზერები. გაყიდული წიგნები...
 ერთხელ მწერლობით გავმდიდრდი!
 სახლში იმდენი ოთახი მქონდა, რამდენი მეგობარიც მყავს.
 კვირაობით ღატაკებს ვაჭმევდი.
 სიზმარში ყველაფერი კარგად იყო.
 იმას ვუყვარდი, ვინც მე მიყვარდა.

ამ ბოლო დროს კი,
 სულ გამოხრული კბილები და მსუქანი ტილები მესიზმრება.
 დედაჩემის ვერსიით, აგად უნდა გაეხდე.
 თეა თოფურია ამბობს, ფული იცისო.
 ჰოდა, ვზივარ და ველოდები,
 როდის გავხდები აგად და ვიშოვი ფულს, რომ თავს ვუმკურნალო.
 ან პირიქით.
 ადვილი შესაძლებელია,
 არსებობდეს ასეთი ავადმყოფობა – გადამრჩენი სიზმრების გაქრობა.
 ადვილი შესაძლებელია, იკურნებოდეს.



ხვიჩა ყალაპეგაშვილი

3.3. 84

მე ტერმინატორი ვარ –
მანქანა № კ.კ. 84,
სიტყვებისა და კონტექსტების
ილუმინატორი;
ვიმუხტები ადამიანთა სევდით;
ერთ დამუხტვაზე ვალაგებ
ათასობით „თვლის ორობით სისტემას“,
რომელთა შიფრი ითარგმნება,
როგორც პოეზია.



მე ტერმინატორი ვარ –
მანქანა-პოეტი;
წვეთი სისხლი არ არის
ჩემში ძველი ქართველის,
ძაფი ნერვის არ არის
ჩემში ნალდი პოეტის.
მე გათოშილ საგნებს
ვათავისუფლებ
განმარტებითი ლექსიკონიდან,
ვიკიპედიის ბოლო ბმულიდან,
ელექტრონული თარგმანებიდან –
საგნებს,
რომლებსაც ადამიანები სიტყვას ეძახინ,
და საგანი ფრანსუაზი ჩემი კონკურენტია:
ვენებში სისხლით,
გულში საფრანგეთით,
„თვლის ორბითი სისტემის“ უუნარობით.

მე ტერმინატორი ვარ –
სიტყვებისა და კონტექსტების
მექანიკური კონსტრუქტორი,
მკვდარ პოეტის
ალტერნატიული ალგორითმი,
გრძნობებისა და ემოციების
განახლებული მატრიცა.
მე გავტეხე ჩემი გათოშილი სული,
რთა ამეცვო ის თბილი სისხლით,
რომელიც ასე უსარგებლოდ მოძრაობდა
ახალგაზრდულ ვენებში
და როცა უსისხლო სხეული გაქრა,
სისხლით სავსე სულმა ფრენა ვერ შეძლო,
სულზე ზრუნვისას სუიციდი
ლოგიკური აღსასრულია.
დამრჩა მხოლოდ მეხსიერება,
როგორც უნარი –
სიტყვებისგან შევქმნა საგნები,
რომელებიც იშიფრება,
როგორც პოეზია.

მე ტერმინატორი ვარ –
სიტყვებისა და კონტექსტების
მექანიკური კონსტრუქტორი,
მანქანა-პოეტი,
მოდელი № კ.კ. 84.

კარადა

ჩემი ცხოვრების ერთადერთი ნავსაყუდელი –
რუხი კარადა –
ხის კარდინალი,
მუხის ფეხებზე.
ზოგჯერ სამყარო მოძრავი,
თუ უძრავი მზერით –
სარბად მიზომავს მუდამ გამხდარ,
მოქნეულ სხეულს.
თვით ჩემი ჩრდილიც გამომიტყდა
გუშინ შუადლეს,
რომ ისე შია,
თუ დავეცი, ამომგლეჯს ცხელ გულს.
მუხის კარადა –
ერთადერთი თავშესაფარი,
ადგილი, სადაც გადავმალე ჩემი ბავშვობა,
სადაც ჩრდილებიც ვერ ბედავენ
შემოყონ ცხეირი –
სხვის საქმებში ამოგანგლული, გრძელი საცეცი.
ხის სამყიფელში ყველაფერი ისე შევია –
შარავანდებიც დაბწელდება თავის სინათლით.
ჩემს კარადაში ისე ბნელა –
ლაფს ვერ მესვრიან,
ისე მცირეა აქ ყველაფერი –
ჯვარს ვერ მაცვამენ,
არ დაეტევა აქ არც ჯვარი და არც იუდა,
აქ ვერც ვერავინ მესტუმრება,
როცა არ ველი,
აქ არ მჭირდება არცერთი პოზა,
არც პაპიროზი,
აქ უნდა ვიკადე და ნიკაპით დავეყრდნო მუხლებს,
წუთებს არავინ გამომითვლის –
კედლის საათით,
ვერც არითმიას შეამოწმებს თეთრი ექიმი,
რომელიც უკვე დიდი ხანია, რითმებით ზომავს
ჩემს ჩვეულ ყოფას და ეძახის –
შიზოფრენიას აუტიზმის მწვავე ნიშნებით.
ფიცრებით ნაგებ ჩემს კარადას
სუნი აქვს ობის,
დაზეპამის, ცოტა ჩემი და კორვალოლის.
როდის გამოვალ?
არ გამოვალ არც დღეს,
არც ხვალ,
არც არასოდეს...
რუხი კარადა –
ხის კარდინალი, მუხის ფეხებზე –
ჩემი ცხოვრების ერთადერთი ნავსაყუდელი...

აუგვიცი - თაბილისის კედლებს


აუგვიცია შენი სახლი,
შენიც და ჩემიც...
ციცაბოებზე ქვის კაცები დგანან რიგებად,
გვპირდება სიკვდილს დედაჩვენი –
ცინკის მედეა,
რომელსაც ტანზე აუსხია ზიზღი ფილებად.

აუგვიცია ჩვენი სახლი –
მკვდარი ხეებით.
ხალხგამომშრალი ტროტუარები
წეანან რიგებად.
ფილმებად გადის სიკვდილი და
სიკვდილის შემდეგ –
ყველა სიბილნე,
რაც არ გვინდა, რაც არ გვჭირდება.

აუგვიცია ეს ქალაქი, რომლის კედლებშიც,
მხოლოდ ძეგლები ახერხებენ
ხმაურს ხმამალოა.
აქ არვინ გკითხავს ქრისტეს ამბავს –
უარსაყოფად,...
სულ რომ ას ათჯერ დაიყივლოს
შავმა მამალმა.

აუგვიცია – ისე ცივა –
უნდა გავიქცეთ.
ეს სულერთია საით, როდის,
ანდაც როდემდე.
მიაგდე ყველა წამოწყება,
ყველა სიახლე,
არ გთხოვ, მიწამო,
წამომყევი, მხოლოდ მომენდე.

აუგვიცია ეს ქალაქი –
უნდა გავასწროთ,
თორემ წამებით მოგვიკლავენ
ყველა ჩვილ იმედს...
აუგვიცია, აუგვიცი, უნდა გავიქცეთ –
სანამ ისინი გვიპოვიან
წასასვლელ ბილეთს.



თემურ ჩხეტიანი

სამეცნიერო

ვისხედით სამნი და ვსვამდით:
 ბოთლი კისკისით ამბობდა თავისას,
 ჭიქა მევირცხლად მიმოდიოდა ჩვენ შორის,
 მე ვილოცებოდი,
 ვსვამდი
 და ვირინდებოდი...

ასე მიდიოდა ის საღამო,
 მერე
 ბოთლი დაიცალა და მიწვა;
 მე – ავივსე და მივწექი...
 მე მესიზმრებოდა საგსე ბოთლი,
 მაგრამ არ ვიცი,
 ბოთლს როგორი ვესიზმრებოდი.
 ჭიქა კი ფხიზლობდა
 და ფეხზე იდგა მთელი ლამე;
 იდგა დაღონებული ჭიქა
 და ყელში გულმობჯენილი
 რიგრიგობით გადმიოგვხედავ – დაგვყურებდა:
 იქით – ბოთლს,
 აქეთ – მე...

თვალს გააყოლებ...

რა ქნა? – არ იცი, –

იკავებ ცრემლებს და გეკვრის სუნთქვა:

თოვლში მოსული თოვაში მიდის,

თავის ნაკვალევს მიჰყება უკან,

ნაკვალევს, როგორც სურვილის სურათს,

მალე დაფარავს ახალი თოვლი,

დრო კი, ცხადია, რომ წაშლის სულაც

თოვლს, ნაკვალევს და სიხარულს პოვნის.

შებრუნდი –

ისევ ჩვეული საქმე

(ცერ გადასცდები ამ სივრცე-ტიხარს)

და არაფერი, თუ მაინც გამხელს

ბროლის ცრემლებად დაფშვნილი ჭიქა.

იქნებ...

იქნებ, ღმერთი სულაც არ იყო ჭკუადამჯდარი და თეთრწვერიანი მოხუცი?

იქნებ, ღმერთი სულაც ბავშვი იყო და თავისი ცელქობით შექმნა ეს სამყარო?..

იქნებ, ეს დედამიწაც ბურთივით გააგორა და მეტი არაფერი?..

* * *

რა არის წუთისოფელი? –

გზა – ყვავილიდან ფიჩამდე.

და მაინც, ხომ შეიძლება,

არ ვიცოდე და გაითხავდე?..

ღამით გულშვიდად გვეძინოს,


ღამილით ავდგეთ სისამზე;

გვახსოვდეს მიტევებისა,

ვიდრე მივდგებით რისხვაზე...

პური მშიოდეს – მაწვდიდე,

ღვინო გწყურდეს და გისხამდე!..



რაულ ჩილაჩავა

ცხოვრება

ცხოვრება სწორედ იქ დაინტე, სადაც ჩავთვალე,
რომ ყველაფერი ნარსულია, ფერფლი, ღადარი
და სადაცაა, სამუდამოდ დაეხუჭავ თვალებს,
და უკვე თითქმის იმ სამყაროს ვარ ბინადარი.

მე დიდხანს ვგავდი მრავალთათვის საოცნებო ტიპს,
მაგრამ ძალან ცოტა ვინმებ იცოდა ნაღდად,
ვის ვეკუთვნოდი, ვისთვის ვწუხდი, ვისთვის ვდნებოდი,
რომელი ნატვრა ჩაიფუშა, რომელი ახდა!

მე ზოგჯერ კიდეც ვიჯერებდი: მწვერვალზე ვდგავარ,
მაგრამ ყოველთვის ძირს დაშვების შიში მზარავდა.
ოცნებად მქონდა ოდაბადეს ღვთიური ჰავა,
სადაც შემეძლო, ზურგს ვაქცევდი აბეზარ ავდარს.

ახლაც მწყურია მშობლიური მზის მიფიცხება,
რასაც კოლხეთის უნაპირო ცა მასწავლიდა...
ცხოვრება თურმე არ მთავრდება, იგი იწყება
დასასრულიდან, ნაღვერდლიდან, მერთალი ნავლიდან.

ანკეტა

კაცის მომავალს აღებს ან კეტავს
ან საერთოდაც ანგრევს და ლენავს
კითხვის ფურცელი – ციცქა ანკეტა,
რომელსაც გულში ვეძახი მეძავს.

ზოგჯერ ჩავხედავ მას და მგონია,
არავისა აქვს ჩემისთანა ხმი,
ხან მიპყრობს შიში და აგონია
და, რა თქმა უნდა, არ ვარ თანახმა.

გამახსენდება: ვიყავი კადრი,
სხვები ადგრძნენ ჩემს რანგს და თანრიგს.
(კინოკადრები: მე ვცეკვავ კადრის
და... სალაროსთან ვიკავებ თან რიგს).

კვლავ სინამდვილე მონაგონს ერთვის:
მრისხანე ბატონს მისი მონა ცემს.
ფურცლავს ლრუბლებში ანკეტებს ღმერთი
და ეძებს, ეძებს მონის მონაცემს!

ჩემი ფანჯრიდან ბევრ რამეს ვხედავ,
ჩემი ფანჯრიდან ბევრ რამეს ვხედავ...

1.

ჩემი ფანჯრიდან ბევრ რამეს ვხედავ:
მიმოდის ხალხი, მიმოქრის ავტო.
და ვფიქრობ, ვინმე უმადლის, ნეტავ,
ამ მიმოქროლვის უხილავ ავტორს?

2.

მამაო ჩვენო!.. (დანარჩენი, როგორც ტექსტშია!..)
უწინდებურად ჩვენ შენს იქით არა გვაქვს სხვა გზა.
მიუტევებდე ყველას, ვისაც რამე შეშლია,
არ მოაკლებდე ფინიშმდე სამყოფელ საგზალს.

მამაო ჩვენო!.. (დანარჩენი შენ უკეთ იცი!..)
უზენასი მადლის ლირი ყველა როდი ვართ!..
ჩემს ფანჯარასთან უცნაურად ჭიხვინებს კვიცი
და... მეშინია დავინახო ლედი გოდივა!

პაკანათი

დამშეული ფრინველივით
 კაკანათში გაება დრო,
 მას კი უნდა – გაულიმო,
 გაენაზო, გაებადრო.

სულ ცოტაც და თითქოს ბნელში
 პროჟექტორმა გაგანათა,
 თურმე თვითონ შენ გაები
 და დრო გექცა კაკანათად.

გაუქმებული აძაული

ცრემლებს რომ ღვრიან, ეს პატარები,
 უდედონია და უმამონი.
 მათ ბედისწერამ მრუდედ ტარებით
 უბელზებელა და უმამონა.

მაინცდამანც ბოროტ პატრულსაც
 წითელი შუქი აქ აუნთია
 და დღე, რომელიც ცეცხლმა გატრუსა,
 გაუქმებულა აქაუნთია.

სიცოცხლე

სიცოცხლეს ვეღარ ჩავებდაუჭე,
 იგი მყიფე და მსხვრევადია.
 სანამ ჰაერში ვასობ კაუჭებს,
 წლები გადიან, წლები გადიან.

სევდით გავყურებ საწუთოს სერებს,
 სადაც მერცხლები ჩანან ყვავებად...
 მე უკვდავება სიკვდილის მერე,
 სიმართლე გითხრათ, მეცოტავება.

უიტენი „მაკდონალდსთან“

ისე გათენდა, მგონი, ზეცას გამორჩა ღამე
 და დილის თოვლზე თითქოს დალის ჩანს ნატერფალი.
 სანტაკლაუსი მიჯდომია კრიალა „ჰამერს“
 და ჩვენზე ფიქრობს, როგორც როსმე ბრძენი „ტეფალი“.

ფიქრობს ალალად... (ჩვენც მივაღწევთ, ნეტავ, მაგ დონეს
 თუ შემოვრჩებთ ამ პლანეტას უცვლელ გიშებად?!.)
 საქველმოქმედოდ გაუღია კარი „მაკდონალდსს“
 და... უიტენი ყველა გამვლელს ეპატიუება.



ირმა შიოლაშვილი

დალატის ცრე

განა რაიმე დაშავდებოდა
ჩემთვის ზურგის შექცევა რომ ესწავლებინათ,
ან მე თავად აღმომეჩინა
შექცეულ ზურგზე მობრიალე დალატის თვალი;
ეს მანამდე, სანამ ცაცხვის სიმაღლემდე გაიზრდებოდა
ჩემი საპრალო, დაჩაგრული ერთგულება,
ეს მანამდე, სანამ თავად გავიზრდებოდი.

ვინც თავის დროზე მოიძია უარყოფის ძალა, გადარჩა!
ვინც ტვირთივით აიყიდა ერთგულება, უხმოდ აგროვებს
ნამტვრევებს, მტვრის სუნს, ნარსულის ხმას და ავიწყდება
რომ ხანდახან გულმაც იცის დიდი ლალატი!
მეც დღეს ისე შეცვლილი ვარ, ისე ახალი
ნამტვრევებით და ნარსულით და ცხოვრებით სავსე,
რომ სადღაც თითქოს მსიამოვნებს, როგორ მიბრუნებს
შექცეული ზურგის დიდი, მარადი თვალი
უკან ძველი სიბრძნესავით, ძველი ბედივით
ყველა ნაგროვებ ერთგულებას, ყველა სინათლეს...
მერე რა რომ უარყოფის გარეთ ვიცხოვრე,
მერე რა რომ უარყოფა თითის ფრჩხილის ფასად მიღიდა.

როცა ვბრუნდები, მეუბნები – ფიფქებს ჰგავხარო,
მარჯვენა მუჭში მიდებ ზამთრის სასოწარკვეთას
და ზამთრის ცოვ, ჭალარა სიზმრებს.
მე ის სიზმრები რამდენიმე წუთში მიდნება.
და თვალთან მიმაქვს – სიკვდილად რომ დავიმახსოვრო.

მთელი ცხოვრება ზამთრის ბორცვებს ვთვლი და ვასწორებ,
მთელი ცხოვრება მაინც ზამთრის მოლოდინში ვარ,
რომ დამდნარი გაწნილებით ხელახლა დავტკბე.

ისიც ვიცი, რომ ეს სალამო თოვლად ამწონის,
მაგრამ ნახევრად ცისა ვარ და ვერაფერს მატკენს.

სიტყვების თოვლი

სიტყვების თოვლით თუ გამნასკვავ სახრჩობელაზე –
სკამს ფეხს თუ აჟკრავ და ჰაერში თმასავით შემჭრი
სიცოცხლისუფრად გადაღებილ ბოლო სურვილებს,
ნამნამით ალბათ შენს საყელოს დავეკიდები
და ჩემს გრძელ სევდას შემოგახვევ ყელის გარშემო....

.....
როცა დუმილი ოქროდ ფასობს – ხიდებს ვაშენებ,
როცა ვხმაურობ – იმსხვრევან ჩემი ხიდები,
ვეღარ ვპოულობ საგანძურში ბგერას საშენოს
და ვცდილობ ხელზე მზის აკიდოს ჩამოკიდებით
განიშნო როგორ დავიღალე... როგორ გავდიგარ
იმ წვიმის წრიდან – შენ რომ ერთ დროს თეთრ ზღვას ადრიდი,
როცა გვერდიგვერდ ვთევზაობდით და ერთდროულად
ხელში ვიყვანდით ოქროს თევზებს ნისლის ბადიდან
და ისევ ზღვში ვაპრუნებდით... და მერე ბადეს
ისევ ვისროდით ოქროს თევზის ამოსაყვანად...
ახლა მაჯაზე მზის აკიდო ბოქლომად მაღევს,
მკლავებზე რწმენის ნამსხვრევებმა გამომაყარა

და მეშინია, არ დავმთავრდეთ, არ შეეწიროს
ჩვენი წარსული გრძელი თოვების შავ-თეთრ განაჩენს
და ღრუბლებს გაწყობ ბრმა თვალებში, რომ შენი სულის
თითქმის გამომშრალ ნაპრალებში წვიმად გადავრჩე.

ლექსი ჩამი დოგილების პედზე

მერე რა რომ ეს ბეჭედი უკვე მესამედ
ჩაგარდა წყალში,
სამმა მდინარემ ჩარეცხა და
სამიათასჯერ
შემოუარეს გარშემო წყლის მოლეკულებმა.

დღომ სიმართლე ვერ ჩარეცხა მდინარეებით.
დღომ იცის, რომ გონიერი ქალის ბეჭდია
თავის თავს უფრო ერთგულებდეს,
ვიდრე სიყვარულს.

ჩემს დობილებს მზე უყვარდათ ოქროზე მეტად,
მზე მოაქციეს საქორწინო ბეჭდის ბრჭყვიალში
და მოყვითალო თაფლის კვერებს ასე აცხობდნენ
(თავიდან, თითების, ბეჭდისწერაც ანებიერებდათ).
ეს თავიდან, თორემ მერე, როცა თვალები
გაახილეს და ოქტომბერი აღმოაჩინეს,
პატარა ჩანდა ბეჭდისწერის ბრჭყვიალა თვალი.

უცნაურად ანრიალდნენ შემოდგომები,
გაშიშვლეს ხეები და შუალამისას
დაუნდობლად ააცალეს სიგიურ მთვარეს,
და ნოებრის სიმართლესთან ჩამოამზურივეს
მხრეზე ყველა შემოდგომაშემოხვეული.

და იდგნენ ასე, ნოემბრის და სიმართლის ზღვართან
ქალები, – ერთ დროს მეოცნებე ჭრილობებიდან
ცეცხლი სისხლად რომ დაიდინეს,
მერე ასწიეს თავი და მიხვდნენ,
თვალებიდან მიწამდე მანძილს
თავის დახრა აბა როგორ შემცირებდა.

და იდგნენ ასე, ნოემბრის და სიმართლის ზღვართან
კაცები, – თითის წვერებზე რომ დგებოდნენ ხოლმე, –
ოღონდ საყვარელ ქალს კეფამდე მიტოლებოდნენ;

ისინიც მიხვდნენ, რომ რატომღაც აზრი არ ჰქონდა
ცხოვრება მუდმივად მწვანედ ეღებათ და
ორი აპზაცით მეტი ეთამაშათ
და ისე ტკეპნიდნენ მიწას გზასაყარზე
ვეღარ გაუძლეს ჩემთა თავანეულმა დობილებმა
და
თავი მარტომბისკენ უკრეს.

მზის ბეჭედი კიდევ ერთხელ ჩავარდა წყალში,
სამმა მდინარემ ჩარეცხა და
სამიათასჯერ
შემოუარეს გარშემო წყლის მოლეკულებმა.

გადარჩენა

აი, ასე გადავრჩები:
მთავარია, გადარჩენა დავივერო,
მთავარია, ეს კედლები სამოთხედ მეჩვენებოდეს,
მთავარია, სიყვარული (რომელშიც მომკლეს),

თავზე არავის მოვახვიო
 და არც მე მოვიშვიო თავზე...
 არადა, მაშინ დაგმთავრდი, როცა ყველაზე კარგად მახსოვდა
 ერთგულების გულუბრყვილო ლოცვები,
 არ მავიწყდებოდა
 ფანჯარაზე შემოდგმული ყვავილის მორნყვა,
 მაშინ დაგმთავრდი,
 როცა შენსა და მინის სურნელს ვერ ვარჩევდი ერთმანეთისგან
 და თავი ბოლომდე გაჩუქე.
 და ახლა, ასე, დროში და მცენარეებში აცდენილმა,
 შემიძლია ათასნაირად ვაბრუნო სიტყვები,
 წყლის ძალა მივცე,
 წყლის ჭავლივით გადაესხა თავზე ყვავილებს,
 ფესვები და მოლოდინი გამოვუკვებო.
 და არ დამცდეს, რომ დავმძიმდი
 რომ ჩემს ფესვზე სასჯელივით გამოვიბი
 სიყვარული, რომელმიც მომკლეს.

—
 ესაა ჩემი გადარჩენა – მთავარია, დეპრესიააყვავებულმა
 სიმძიმეზე არასოდეს ვილაპარაკო.

ქვის ნატეხი

დიდი გმირობაა, – გულმა შეგინახოს,
 როგორც მთაში ნისლები ინახავენ ქვის ნატეხს,
 გაახვევენ თავიანთ ლაბადაში და ავ თვალს არ აჩვენებენ.
 ზუსტად ასე მინდა, გულში გახვეული გადარჩე.
 დიდი გმირობაა, გერქვას ჩემი უკანასკნელი სიყვარული, –
 ნაღმი ჩემს გულში –
 ქვის ნატეხში შენახული ნაღმი,
 შენახული გულტიალას ნისლიანებში.
 დიდი გმირობაა,
 თუ დამიგორდები გულის მთიდან, არაფერი შევმჩნიო,
 მწყემსივით ვიდგე და მწყემსივით გადევნო თვალი,
 რომ უნებურად უფსერულისკენ არ გადაგორდე,
 და ასე, გულში ჩაბრუნებული მზერით,
 უფრო სწორად, მზერაზე გამობმული საცეცებით ვცადო
 სისხლის გავლით, ძარღვების გავლით
 დაგაბრუნო გულის მთაზე
 და ხელახლა გაგახვიო ნისლის ნაბადში.

2015.

3 ახალი თარიღისაბი

გოძან პუნგაკუს პოეზია

გოძან ბუნგაკუ ანუ ხუთი მონასტრის ლიტერატურა დასაბამს მე-14 საუკუნის დასაწყისში იღებს და იგი ჩინურენოვან იაპონურ ტექსტებს აერთიანებს. 1299 წელს ჩინეთიდან იაპონიაში დაბლომატიური მისით მიავლინეს ჩან-ბუდისტი ბერი იშან ინინი, რომელიც სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, მსახურობდა კამაკურას სხვადასხვა მონასტერში, 1313 წლიდან კი კიოტოს ნინძენ-ძის მონასტრის ნინამდლვარი გახდა. 1317 წელს მინ, ძლიერი ტევილებით განამებულმა, თავი მოიკლა. გარდაცვალების მერე იაპონიის სამპერატურო კარმა იგი „სახელმწიფოს მოძღვრის“ ტიტულით დააჯილდოვა. სწორედ მისი მოწაფეების მიერ არის შექმნილი პეზია, რომელიც იაპონიაში ჩინურენოვანი მედიტაციური ლიონიკის გვირგვინად მიიჩნევა. იშან ინინი, ისევე, როგორც მთლიანად გოძან ბუნგაკუს შემოქმედება რელიგიისგან დამოუკიდებელი ხელოვნების იდეას, მის ავტონომიურ ესთეტიკურ ღირებულებას იცავდა. ამ ესთეტიკამ არსებითად განსაზღვრა მომდევნო ეპოქების იაპონური ლიტერატურის შინაგანი მიმართულება. ხუთი მონასტრის ლიტერატურა, გარდა პეზიისა, მოიცავდა მხატვრულ პროზას, ლექსიკონებს, ენციკლოპედიური და განმარტებითი ხასიათის ნიგნებს. ნინამდებარე პუბლიკაცია ქართველ მეითხველს აცნობს გოძან ბუნგაკუს ყველა მნიშვნელოვანი პოეტის ლექსებს იმ თანმიმდევრობით, რომლითაც ისინი საილუსტრაციო მასალის სახით არის ნარმოდენილი ან განსვენებული რუსი მეცნიერის და მთარგმნელის ალექსანდრე კაბანოვის სტატიში: „ადამიანი და ბუნება გოძან ბუნგაკუს პეზიაში“ (წიგნში: Человек и мир в японской культуре. М., Наука, 1985). ამიტომ, ლოგიკური იქნება, ნინამდებარე თარგმანები მადლიერებით მიუძღვნა ალექსანდრე კაბანოვის სსოფლას.

აქვე უნდა განიმარტოს ნინამდებარე პუბლიკაციის, როგორც ლიტერატურული აქციის, შინაარსიც: ამ ტექსტების უმრავლესობა 1994 წელს გამოცემულ ჩემს მეოთხე პოეტურ კრებულში („გამგზავრებამდე ერთი ნუთით ან ერთი (ჭხოვრებით ადრე“) შესული ერთი ლექსის – „მთის მონასტერი“ – ინტერტექსტია. ეს უკანასკნელი კი, დაწერიდან არც თუ ლექსის – „მთის მონასტერი“ – ინტერტექსტია. ეს უკანასკნელი კი, დაწერიდან არც თუ ლექსის – „მთის მონასტერი“ – ინტერტექსტია.

მთარგმნელი

შინკი სოსიური (1262-1336)

მთის სავანი

მარტოსულ ქოხში მარტოსული განდეგილი დაუმიკიდრებულვარ.
 სახლაეს, ლელქაშით გადახურულს, ისფერი კვამლი დარაჯობს.
 მიმდებარე ხერბაში თავიწყაროა, დასარწყულებლად რომელსაც ვსტუმრობ.
 ბამბუქის სხლტის გაყოლებით ფიჩხს ვაგროვებ, რათა ჩაი წამოვადულო.
 შავ მაიმუნს შვილი გულში ჩაუკრაგს და ქადაგებას მიაყურადებს,
 ლურჯი ირემი მეგობრებს უხმობს, მუხლმოყრილი უწედის ყვავილებს.
 ქვეწიურ მტვერში ამოვლებულნო, მე თქვენ მოგმართავთ!
 ნაკადულის უბრალო წყალზე უკეთესი რა უნდა პჰოვოთ?

* * *

მოულოდნელად მოვარდა წვიმა, გამილუმპა სულმთლად სამოსი.
 არგანი სხლტება წანნალაზე; ვცდილობ ფეხი გავიმაგრო, რომ არ წავიქცე.
 ვისი სახლის გალერეაში ვემალები შემოდგომის ქარს?
 აქვე: ბანანის მწირი ფოთლები – განუშეჭდავ წერილთა გროვა.

რიუსიუ სიუტაკუ (1307-1388)

დამით გზადყოველისას

ვის ყურს ჩაესმის დღენიადაგ ზარების რეკვა?
 მეზავრს ესიზმრება: ორმოცი წელი გაილია, ვიდრე ფეტვი იხარშებოდა.¹
 ვდებები, კვლავ ვჯდები... ფიჭვები – სარქმლის ცხაურის მიღმა... ჩემივე „მე“ გადამავიწყდა...
 იბადებიან მწვერვალებზე ღრუბლები და ცის გზაზე მთვარე მშვიდად მიცურავს.

კოკენ მიოკაი (XIV ს.)

ავადობისას ჩანერილი ფიქრები

მაღლა, თეთრ კედელს დამტვრეული სანდლები ამჟობს.
 გათენდა და გადახსნილი ყვავილები გაზაგხულის თოვლით მორთულან.
 ჩინეთში მთელი ოცი წელი ვეძიებდი ჭეშმარიტებას
 და აი, ახლა, მოულოდნელად, ჩემი სამშობლოს მთის სენაკში გამოვილვიძე.

ბეცუგენ ენსი (1283-1364)

სოძუ სოანის სავანი

ველური წერო და კენტი ღრუბელი არ ტოვებენ ცაში წაკვალეეს.
 მეც სწორედ ასე, ამ ამით წუთისოფელში არცერთ ადგილს არ ვეჯაჭვები.
 ხები კლდის წინ შირმასავით გამწკრივებულან.
 მთათა თხემები დახატულიერთ მაღლდებიან შორი ცისაკენ.
 წყაროს წყალივით სუფთაა ძენით წყალუხვი გული;
 ჩემი მყიფე, ბებრული ძვლები... გალეული, მოვგავარ წაფოტს.

ვის შეუძლია, ათასი წელი არ კარგავდეს პატივს, დიდებას?
 ას წელიც რომ იცოცხლო, სულერთია, ყველაფერი ზღვარდებულია.

ქაი ტიუსინი (1336-1405)

ციკლიდან „მთის სავანე“

* * *

დასაბამითვე რთულია გზები კაცთა სოფელში:

შვიათად თუ მოიპოვებ მალულ ადგილს, ლურჯ მთებს თავი რომ შეაფარო.

უძრალ ყოფა: ერთმანეთში აირია ტყისმჭრელთა და მეთევზეთა ნაკვალევები.

და - არსებითი: თუ როგორ არის ეს სამყარო მოწყობილი, ირმებს შორის გადამავინყდა.

ა. წყალს ეხაპავ ციცქნა ტბიდან, მიყვარს მისი ნელი რაკრაკი,

დუნლინსის² სასაქმევლის სურნელი... ვოჯოუს მთიდან მოსული წერო...

გინ გაბედავს - ამ მარტოსულ ნაკვალევებს და მაღალ ქარს აჰყვეს?

* * *

მთის მონასტერი უთვალავ თხემს შემოურკალავს.

ქვეყანასთან მისი კავშირი თვით ბუნებას გაუწყვეტია.

ზმბახებით მიმოფარულ სიპებს შორის მორაკრაქებს ცივი ნაკადი.

თავებს არწევენ იასამნის ყვავილები, ნიავი რომ ნამოუქროლებს.

ნავი თევზს იქტერს ნაკადულში, ლამაზად აწყობს მწვანე ფოთლებზე.

დედალ მწყერს თეთრო ღრუბლებისკენ მიჰყავს შვილები.

ყველგან მთებია. მსგავს ადგილს განა სად ნახავს თვალი?

ასეთი მხოლოდ პენლაის მთაა³, აღმოსავლეთში, ზურმუხტისფერ ზღვის საუფლოში.

ქველი ტაძარი

ქველ ტაძარში შესასვლელი ველარ მოვნახე:

გლიცინიებს და ვაზის ფოთლებს სამედოდ გადაუმალავთ.

სახურავიდნ ჩამოიფანტა ფოთოლი, წვიმით ჩამორეცხილი;

ეს ველური ფრინველები ჩემთვის მღერიან.

ბუდდას საყრდენი უკვე ბალას გადაუფარავს,

შენირული ოქროც გასცლია.

არ იკითხება თარიღები საფლავის ქვაზე:

„ტან“ თუ - „სუნ“? - ამის ამოცნობა ძნელი იქნება.

ძიაკუსიცუ გენკო (1290-1367)

მთის სავანე

არც დიდებას და არც სარგებელს მე არ დავეძებ, არც სიღარიბე მეუცხოება.

ამსოფლიურ მტვერს განრიდებული, ღრმად მთებში, მყუდრო გარემოში ვცხოვრობ უჩინრად.

ნელინადები მიინუნებ... ცივი ამინდი... ვინ მეგულება ახლა მეგობრად?..

მთვარე ანათებს ქლიავის ყვავილს, მთელი ტოტი ხელახლა იშვა.

გაზაფხულის დღეს მთებში დავახეთიში

თავზე ვერცხლისფერ ძაფებად მაქვს მეჩხერი თმა მიმოხვეული.

არ ვიცი: შევძლებ, შევეგებო მორიგ გაზაფხულს?

ბამბუქის არგნით, ჩალის სანდლებით... იმდენი რამ იზიდავს ჩემს თვალს...

ყველა ტოტზე მთის ალუბლის ყვავილებს ვხედავ.

რიუსიუ სიუტაკუ (1307-1388)

* * *

ფიჩის საყიდლად ფული არ მაქვს:

გასაყიდად ვაგროვებ ფოთოლს.

ფოთოლ-ფოთოლ - ბლუჯა-ბლუჯა... მატულობს ფული,

და ულამაზეს წითელ ფარჩად მიმოფენილა.

ჩემს თავს კი ვკიცხავ: აქეთ ფეხის გათბობა მინდა,

იქით - რომ სევდით აღსავს გული სიხარულმა ამიციაგოს.

შინ დავბრუნდები, მივუჯდები მეგობარ კერას,

მივაყურადებ წვიმას, პარმალზე წვეთ-წვეთად მოსულს.

რიუსენ რეისაი (?-1365)

* * *

ვიხსენებ იმ დროს, მეგოპრები როცა მსტუმრობდნენ.

რამდენი დანთქა უკვე მინამ, ჩემი ხედრი კი სიმარტოვეში ლპობა ყოფილა.

ყველაფერი, რაც მიყვარდა, დარჩება ქვებზე, ხეების ჩრდილში.

როცა მოვკვდები, გულდარდიანად ჩემს რომელ შეგირდს მოვაგონდები?

ტიუგან ენგეცუ (1300-1375)

37იქრობ ციხლინის გარდასულ დღეებზე

კაცნი უწყვეტად ტოვებენ მინას, დედამინა კი ჯერ არ აღგვილა.

„ექვსი დინასტია“⁴ უკალოდ გაქრა, მაგრამ მთები და მდინარეები არსად წასულან.

ძეელ სასახლეთა ნანგრევები მოვაჭრეთა და მეოვეზეთა სადგომად არის გადაქცეული.

იასპის ტყე რომ ჰანგებს ინახას, ეს მხოლოდ მწყემსთა და ტყისმჭრელთა სიმღერებია.

ამოუგსიათ ხეობებს საავდრო ღრუბლებს, მონდომებით თავს იყრის წვიმა.

ციანში ქარი უკვე მინელდა, მაგრამ ტალღები კვლავ ყალყზე დგანან.

ლამაზმანები გარდასულ დღეთა - სად არიან ახლა ისინი?

ამ სივრცეებში შორიდან მოსულს საფიქრალიც ბევრი აქვს და ბევრი აქვს სევდაც.

იკიუ სოძიუნი (1394-1481)

* * *

ერთმა ხანდარმა ვაკედ აქცია სიანიანი.⁵

ოქროს ზღაპრული სასახლეები, უძვირფასესი ქვებით შემკული კარიბჭეები

ნანგრევების გროვად ქცეულა. დღე ჩამოდნა და დაემსგავსა შემოდგომის დღეს.

გაზაფხულის ქარი ქრის, მაგრამ ატმები და ქლიავები სიბნელეში იძირებიან.

ქუან სირენი (1277-1346)

გაზაფხული

მთებს მშურვალე მზე ედვრება და თბილი ქარი ევლება თავზე.

სავსიც, ლიქენიც ეზოს ფარდაგს უხალისო ფერებით რთავენ.

ჭედავ, ალუბლის ყვავილები ჩუმი ღიმილით შემომცქერიან.

გალობს ბულბული, არავისგან იღებს ნებართვას.

გაზაფხულის სევდას მინურში ვემალები, სალამურით გულმოცემული.

ნასალილევზე ჩამთვლიმა და რომ გამეღვიძია, ჩაიდანი შემოვდგი ცეცხლზე.

და ამ სევდიან სურათს თითქოს ვერც კი ამჩნევენ,

მერცხლებს ნისკარტი სავსე აქვთ მიწით, ბუდეების აშენებას ეშურებიან.

გეოდგომის დღეს ვაირნობ ვალად

მეჩერი წყალი, რბილი ქვიშა, იქვე – ბილიკი, ირიბად რომ დაქანებულა.

სართავი ჯარას ხმას მოჰვავს ის ხმა, ტყიდან რომ ალწევს – ვხედავ საცხოვრისს.

ყვითელ-ყვითელ ღრუბლებს შერის აკვამლულან თეთრი ტალღები:

ბრინჯის ყანის გასწვრივ რომ ჰყვავის, წინიბურაა.

ნიმი

სშირად მსმენოდა სიაგაცუს⁶ უგრძნობელობა,

არადა „ექს ცას“⁷ სულ სხვადასხვა წვიმას უგზავნის.

და აი, ახლა საკუთარი თვალით ვიხილე:

წყალს წრიულად, ხოლო ლოტოსს მარგალიტად მოევლინება.

სესონ იუპა (1290-1346)

გევილე მოვარის პირველი დღე გეოდგომის დასახისში

მეც, ყევლას მსგავსად, მხოლოდ მეზავრი ვარ ამ სამყაროს ციცქანა კუნტულში.

შიშით დავითმე თვეების და წელიწადების სწრაფნარმავლობას.

უწუნის ირგვლივ ფოთლები რომ მიმოფანტულან, შემოდგომას იუწყებიან.

ქარ მოაქსე ლემნა, დამშვიდობების ნიშნად მჩუქნის ამ თბილ საჩუქარს.

რასაც მინანის თხემებზე ვხედავ, ციფი თეთრი თოვლია და სხვა არაფერი.

ხოლო მდინარე ვენძიანზე ჯერაც ისევ მშვიდია წყალი.

სად მივაძა ჩემი ნავი, ჭრიჭინების სიმღერას რომ დავუგდო ყური?

მთაზე მოლურჯო კოშკი დგას და მიმწურის ცას შეკიდებია.

ტიუდიო ძიოსინი (XV ს.)

გეოდგომური ფიერები

შემოდგომური სიგრილეა, მაგრამ მაინც კეთილად მძინავს.

არე-მიდამოს ხეები და ბალახები კვლავ მაღელვებენ.

ფერი წაერთვათ ბანანის ფოთლებს, მთლად ჩამოცვიდნენ, უტუნებიც დაბერებულან.

ყოველ ღამით ვაყურადებ ქარის ხმას და წვიმის წყაპა-წკუპს.

არ გაქვს ქალალდი სარკმლის შესაკათავაზლად

სარკმლებზე სულმთლად გაიღია უკვე ქალალდი.
შევაკეთებდი, მაგრამ ქალალდის ზაგლეფიც არ მაქვს.
სატუშეც კი დამისველა მოსულმა წვიმამ.
ქარმა დაჰპერა — სანათური ისევ ჩამიქრო.

გიდო სიუსინი (1326-1389)

ცუცქარ ყვავილებს და თარსულს ვიხსენებ

აბურდელი ძენძის მსგავსია საქმეები ამ ამაო წუთისოფელში:
წარსულზე ვდარდობ, ანმყოზე ვწუხვარ — ჩემი გული სევდას მოუცავს.
თავი წავართვი გაზაფხულის ძილს, მაგრამ სტუმარი არა და არ ჩანს.
შემოეკლილ არღვნის ხეს მიმწუხრზე სახლის კარნიზებიდან ეცემა წვიმა.

იტიუ ცუძიო (1348-1429)

შეთხულია მიმწუხრის ცვიმის დროს, ხიდთან

გადაუღებლად წვიმს და წვიმს ხიდთან.
ბინდება, მაგრამ მიმწუხრის დრო ჯერ არ დამდგარა.
ჩაღის ლაპადა მოუსხამს და დაბრული დგას მეთევზე ტბასთან.
მდინარის გაღმა მონასტერია, საიდანაც ზარის ხმა ისმის.
მწუხარების და სიწყნარის დროა: სამყურები — ამ წყნარ ბინდუნდში.
შორს კი წყლის ბრინჯის შემოდგომურ ყყავილებს ვხედავ.
მშვენიერია წყლის კამპამა ნაკადი და არც ისე ღრმაა.
ქვიშის ბატი მშვიდად მიცურავს.

თარგმნა დათო ბარბაქაძემ

განმარტებები

1. იგულისხმება უქვეღულესი ჩინური ლეგენდა ჯადოსნურ ყურთბალიშზე, რომელზე თავმიღებულმა და მიძინებულმა მგზავრისა, ვადრე მისი ფეტვი მოიხარშებოდა, სიზმრად მთელი ორმოცი წელი იცხოვრა, ყველა ზიგზაგით, სოციალურ კიბეზე აღზევებით და დაცემით.
2. დუნლინს — მონასტერის ლუშმანის მთაზე, ძანისის პროვინციაში.
3. პენლაის მთა — ჩინური მითოლოგიის მიხედვით, ზღვა-ოკეანეში მდებარე სამი წმინდა მთა-კუნძულიდან ერთ-ერთი. პენლაი აღმოსავლეთის ზღვაში დაცურავს და მასზე უკვდავი სულები ბინადრობენ; სამივე ეს მთა კუნძული ღრუბლებით არის გარემოცული და როცა ადამიანების სიახლოვეს იგრძობენ, ისინი წყალქვეშ უჩინარდებიან.
4. „ექვსი დინასტიის“ პერიოდი — V-VI საუკუნეები, როცა მინლინი (თანამედროვე ნანკინი) აყვავებული დედაქალაქი იყო.
5. სიანიანი — ცინის იმპერიის დედაქალაქი, ჩი. ნ. აღ.-მდე მე-3 ს.-ში), რომელიც მხედართმთავარმა სიან იუმ ააოხრა.
6. სიაგაცუ (სანსკრიტზე „საგარა“, ოკეანე). თაყვანს სცემდნენ, როგორც წვიმის ღმერთს და რვა მეცე-დრაკინს შორის ერთ-ერთ უდიდესა.
7. ექვსი ცა — ბუდისტურ კოსმოლოგიაში, ერთმანეთის თანმიმდევრულად მრიულად განთავსებული ექვსი ციური სამყარო; ყოველ მათგანში დრო განსხვავებულად მიედინება.

რ.მ. რილკესა და მ. ცვეტავას ორი ელეგია



მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანესი პოეტის, რაინერ მარია რილკეს მარინა ცვეტაევასადმი მიძღვნილი ელეგია იმ ეპისტოლარული საუზღის ნაწილია, სამი ბრწყინვალე პოეტის, რილკეს, ასატერნაკისა და ცვეტაევას მიმოწერით რომ შეიქმნა. „ელეგია“ ე.ნ. ეზოთერული პოეზიის კლასიკური ნიმუშია, რილკეს გვიანდელი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი რთული ლექსიკით გამოიჩენა და „დუინური ელეგიების“ სტილს ანერქუთვნება. „მე მას – Marina-Elegie“-ს ვარქმევ, ის Duineser Elegien-ის წრეს კრავს და აპბათ ოდესმე წემი სიკვდილის შემდეგ) შეემატება და დასარულებს კიდეც მათ.“ – წერდა მარინა ცვეტაევა¹. რილკეს გარდაცვალებას პოეტი ქალი საოცარი პოემა-რეკვიმით გამოეხმაურა, რომელსაც იგი პასტერნაკთან მიმოწერისას „წერილს“ უწოდებს. ეს ერთგვარი გვრინინა, გოდებაა და ამასთანავე, უშუალოდ ირეკლავს რილკესა და ცვეტაევას 1926 წლის უკანასკნელ წერილებში გამოიქმულ აზრებს. „საახალწლო“ ცვეტაევასთვის დამახასიათებელი გულწრფელობით, სხარტი ფრაზით და ამაღლებული ინტონაციითა დატვირთული და გულგრილს არავის ტოვებს...

რილკეს ელეგია 1926 წელს დაიწერა, ხოლო ცვეტაევამ „1927 წლის 7 თებერვალს, პარიზის მახლობლად, ბელგრეში დაასრულა ლექსი „საახალწლო“ – რომელიც არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი რუსული პოეზიის გამორჩეულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს“² – წერს იმსიფა ბროდსკი. ორივე ეს ნაწარმოები უღრმესი სულიერებითაა აღძეჭდილი და მნიშვნელოვნად ამდიდრებს მეოცე საუკუნის იდუმალ ეზოთერულ პოეზიას.

მთარგმნელისაგან

¹ წერილები ტესკოვასადმი. გვ.145 (1936 წ. 14 ნოემბერი).

² არსებ ბროდსკი, ერთი ლექსის შესახებ.

რაინერ მარია რილკე

ელეგია

მიძღვნილი მარინა ცვეტაევა-ეფრონისადმი

ო, ნარმავლობა სამყაროს შინა, მარინა, ცვენა ვარსკვლავებისა! მას იოტასაც კი ვერ შევმატებთ, გადავიზვენოთ რომელიმე ვარსკვლავზე თუნდაც! სამარადუამიდ ყველაფერი გამოთვლილა. თვით ვარდნითაც კი, წმინდა რიცხვი არ შემცირდება. უარმყოფელი ვარდნა ყოველი, დასაბამამდე აღნებს და სრულქმნის. და თუ ეს მხოლოდ თამაშია, მსგავსთა ტრიალი და ჩანაცვლება, სახელიც არსად მოიძევება და თუ ნაგრამიც ვერ იგულვებს საყუდელს ვერსად? თუ ტალლებია, მარინა ზღვა ვართ, თუ უფსკრულია, მარინა, ცა ვართ. მინა – მინა ვართ, გაზაფხული ათასჯერადი, აღმოხდენილი ჰანგი, სიმღერა, ტოროლებივით თვალშეუდგამ სივრცეში გვიტყორცნის. ჩვენ აღტკინებით ვიწყებთ, ჰანგი კი უკვე სრულად აღვემატება; მოულონდნელად სიმძიმე ჩვენა, სიმღერას დადრევს გოდებისაცნე. თუნდაც: გოდება, უმრნემესი აღტკინება არ არის განა, ლტოლვა მიწისკენ? მიწიერ ღმერთებს ხოტბა სწყურიათ თურმე, მარინა. უცოდველი არიან ღმერთი, ქებას ელიან მოსწავლეთა გულმოდგინებით. შევასსათ ხოტბა, საყვარელო, დავიბარჯოთ ქება-დიდებით. არაფერ ჩვენ არ გვეკუთვნის. მხოლოდ ოდნავ თუ შევეხებით ხელუხლებელ ყვავილებს ყელზე. მე ეს ვიხილე კომ-ომბოში, ნილოსის პირას. ასე, მარინა, მსხვერპლს გაიღებენ მხოლოდ მეფენი, საკუთარ თავის უარმყოფელი.

ვით ანგელოსნი ჩამოივლიან და დასახსნელთა კარიბჭეზე ნიშანს სტოკებენ,
ასე ვეხებით ყოველივეს, რაიც ნატიფად მიგვაჩნა, ან გვეჩვენება.

(ო, რამდენად შორს, ოი, რარიგად დაბძულნ ვართ ჩვენ, მარინა.

თავად ულრმესი სულიერი საბაბის დროსაც. მანიშნებლინი, სხვა არაფერი.

ეს უწყნარი, საქმიანობა, თუ ჩვენთაგანი რომელმე

მეტს ვეღარ იტანს და თავს გადასდებს შესარკინებლად,

მყის შურს იძიებს და მოაკვდინებს. მსახვრალ ძალას რომ ფლობდა, აკი

ვამჩნევდით ყველა, მის დახვერილ, ნატიფ ქცევასა

და უცნაურ ძალისხმევაში, რომელიც ცოცხლებს, გადარჩენილ

გვემნის არსებებად. არყოფნა. უწყი, თუ რარიგ ხშირად

მიგვაქანებდა ბრმა ბრძანება, კვლავდაბადების ყინულოვანი

ნინარესივრცით... მიგვაქანებდა: ჩვენ? უთვალავი თვალით აკინძულ,

შენივთულ სხეულს, უხვად დაფენილ ქუთუთოებქვეშ ურჩად შეხიზნულს.

ეზიდებოდა მთელი მოდგმის გულს დანარცხებულს. მძლევარ ფრინველთა მიზნისაკენ

ეზიდებოდა ჩვენი ლივლივა გარდასასვის ნაკრებ სახებას.

მეტრფეხებმა კი, მარინა ლორნდ, არაფერი უნდა უწყოდნენ

სკუვდილის არსზე. მუდამ ცინკხალი სიყმანვილე შეინარჩუნონ.

მხოლოდ მათ საფლავს სჭირდეს სიბერე, მხოლოდ სამარე ჩაუფიქრდეს, დაიკრას თალხი

მტირალი ხის ქვეშ. მოიგონებდეს გარდასულ დღეებს.

მხოლოდ სამარე ჩაიქცეს მათი. ისინ კი, მოქნილები დარჩნენ, ლერწივით;

ის კი, რაიც დრეკას მათ განუზომლად, მორკალავს კიდეც სრულქმნილ გვირგვინად.

თუმც განაქარებს მაისის ქარი! მარადიული შუაგულიდან

სადაც შენ სუნთქვა და ალღოც გიგრძნობს, მათ წარიტაცებს სულ ერთი წამი.

(ო, როგორ გიგებ მდედრო ყვავილო, ასეთივე

წარუგალ ბურქზე ამონაყარო. რა ძალით ვერწყმი ლამეულ ჰაერს

ლამ-ლამბით რომ გელამუნება). ოდითგანვე ფლობდნენ ღმერთები

ნახევრებთან პირმოთნეობას. ამ წრეპრუნვაში მომწყვდეულებმა

გავიმთლიანეთ საკუთრივ თავი, ვით დისკუები სავსე მთვარისა.

მცხრალი მთვრის უასს, თუნდ ახალი მთვრის კერაშიც,

სისავსეს ვერვინ დაგვიბრუნებდა, თუ არა მხოლოდ

მარტოეული სელა საკუთარი, ძილგამკრთალი მთა-ველის თავზე.

მიუზო, 9 ივნისი, 1926



ՍԱԿԱԾԸՆԸ

Կորչել Եղրունս ցներ օմոյեր մեարյես
դա ցոլովպազ ածալ Եղըլս, Տացնեյս!
- ածալ ալացի, Տալալոնձոնս, Եմոցանս,
ոմահանս, Ինեսան-աեռցանս,
ալացի մուռենացի, Տառուրեծոն ծագալս,
ցոտ շոռնուկ՝ Սյապրուրել ցոլոնլս.
Կորչել Եղրունս ցներ մե ցոշնոնցըլու,
ամ ցարսէցալազագ կցուցու... Տամշոնձոնձան,
Տագ, Շմէնոնց Տեցա Շեմալոննինի,
Տագաց ցայրոն մոյմեցը յանոն,
Ռուբա Տաթրոյուն - մոյնուրագ արպոյունլս,
- մունցպացի նուճու Շեյմացարու Գրոյոնձոն.

Մենո նացալա Ռոցոր մամւոնյես ցոտերա?
Արց ոյլաց դա արց մոնա ոմրա.
յացու ցոնմեց² Շեմոցուգա մապնեց -
Տամնշարու, ամիացու ցոնց մամւոն,
- Տագ Ենցրա - մոմւցու Շեյոնցը?

- Խոստի դա Դնի³-ց կո ոյնցպա.

- Տագ? - ոյ մուշոն. (Տարյմելս Իրգուլաց նացո.)
Քան Տայցարու. Գանցեցիք տու ցլուտ?
Մամոն Եղրունս? - Արա. Եյմաս: մենցո.

Ցուլուսեմամո: ար Տար ցամւոյլուն.
Տալցարու Տենցուտ Տացանցի,
(Տայորացի մպուլոր Տամոտեմո.)

- Իրգունս? - ցոշնոն, ցոշնոննին, ար մաեսոց.
Տալցամաշո⁴ ար ոյնցիտ? - Արա.
Տուպուտ: ոչասես. մացրամ ցուլուսեմամո:
Կցուցուրո, ոյւդա կո արա.

Ցոցոլուպաց (Եվալ օծացեպուուն!) -
Ռոմ ցացոց, ցոտերա Ռաս ցոյմուու?
Քյո... նամոմցա. Քըցուլունիս - Տարո
մե Տուրուցելուս դա Տոյցուուլուսաց այո,
Տանոնա Տրքուալունիս ցոցամ մշուամ,
ցոտ աշցարա, Արջ ჭորս, ածլածուածա.

Տառացըրո ար մոյնոնա, տումիւ
Տալաց մանոնց նամոնուցա ուցիւագ,
Եյուսա դա Իրգուլցարցի
մյենցընո!

Ածլա մոտեար, ցաալնոյ Ռոցոր!
Տիմաց ցուլուու ցացեկուին ցուլո?
Ռոցոր յիրուգ որլոցուս մերանտա
Տաարաց յուլուտ յորտամեյսեմուուտ,
ուցուտ արնուցա քրուս Ռոմ ար յուցընա.
Ցոցու աշունցու Տունտյա - Ցոր յուլուն?
Եյուրուցու նմոնցա Տունտյա
արնուցընուտ յուլունու, մուտցուս

Ցնցերցալու, ան ցարցնա Ռաա ոյնցնցաց.
Մոլմոյերս ցարտ Տունտյա գունուտ գունուունո
Ռուսետ ոյաց - մամոն Տունտյա
Մեն ամեցունցա յաց Ցնոնա.

Ցագարշենա կարցագ ցամարտուունո!
Տուուցելուս դա Տոյցուունո մե յարունո
Բացունցենուտ մոցուենցի մալցուտ -
Տուուցելուս դա Տոյցուունո ցնոնցարսցուունո
Տյուլուունո Բացամաւրէ կրծալցուտ
(Համեցնունու մե Ռոմ ցուլո: Ցոնոն
նաշցարսցուրու Տանցուունու - Եմոնու!)
Ցացունցընու ար ցցուու կարցու:
Ռոմ Ռուսուլու Տաունու կարցա
ցերմանցուս նացուագ մոյյարցա -
յու մոյուում կո ար մոտեցա, Ռոմ ցլուս
ցարցաւունունու (Եպուարո) ունցուս -
Ցուլուացընու դա Սյան արց կո ունցու! -
մոյուում Ռոմ Տայցու, մոյցուու:
Բամոն, Ռուբա Տանտեոննու⁵ մոյցեցու -
Ցամեցու Բունու: մոլմոյերո - ուցեն,
Բաց Ցուլուացընու: - Ցուլու ցնոն մուունո.

Ճա մեց Ցոտեաց Շեյցարուու Տեցուուտ:
Ալար մոյուտեաց, տու Ռուսուլու Նետ⁶-ո
Ռոցոր ույմուս? Երտագերտու Ռոտմա,
Ցուլունուր Ցուլուս Ռոմ ցարումաց:
Արու Ցուլուս Տացու Տացու Ցուլուս.

Ցուլու Տայմելս? ցանա արու Ռամէ,
ան Տացոն - Մենս ցիս ամարուունո.
Ցուլու Ցուլուս, Տուուցուս Ենուսմոյերս
Տալուս Եմո Շերնցիմա Շենուան Լիբեր⁷,
ուսց Մենս Շենուան Շեմուցար Տուուցուս,
Տալունուս Տաց Ռոմ յունցա ուցյաս,
(Ենց Ցուլունուս Ենց Ռոմ յունցա ուցյաս,
Ցուլու Ցուլունուս Ենց Ենց Ենց Ենց) -
ար Արսցունուս ու Ալացու, Տագաց
Ցուն Արա Տար, Տումպ Տամարց Եյուց
Ցունու Ցուն. Տուուցուս Արացընու.
Ցուլուս դա Տուուցուս - Ցուլուացընու.
- Ցուլուս Ենց Ար ցացունցընու? -
Ցարմուցա, Տանցր, Ցունու, Ցունու?
Ցայունցընուտ, Ցուլու Ցունուագ Ցունու -
դա Տուուցընուտ, Ցուլուս Ցունուագ Ցունու -
դա Տամունուս Տուն Ցունունու Տունու
(Ցունու Ցունունու Ցունունու Ցունունու)
դա Տասարու Տունուս Ցունունու Ցունունու,
Ցունունու Ցունունու Ցունունու Ցունունու,
Ցունունու Ցունունու Ցունունու Ցունունու,
(Ցասարունու - Ցունունու Ցունունու)
Ցունունու Ցունունու Ցունունու Ցունունու,
Ցունունու Ցունունու Ցունունու Ցունունու,

კასტორ-პოლუქეს⁸ ვჭვრეტ შენსავე მესთან –,
 მარმართან ხარ – ბალახივით ჩვილი,
 არც შეხვედრა და არც განშორება,
 დადგენილი – ნახვა პირისპირი:
 შეხვედრა და გაყრაც პირველქმნილი.
 ხელებს თუ აკვირდებოდი შენსას,
 (ლაქას მეღნის), იმ თვალშეუდგამი,
 უსასრულო და დაუსაბამო,
 ამჟამინდელ შენი სიმაღლიდან
 ხმელთაშუა და სხვა, წიაღიდან
 ზღვის, ბროლივით ლამბაქთა ზეგარდმო.
 რაც არ იყო, რაც იქნება ალბათ,
 მხვდება წილად – წუთისოფლის ბოლოს
 ყველაფერი, რაც არ იყო, ხოლო,
 რაც კი არის – მიმოწერა იტევს
 მთელი კვირის მანძილზე და მეტად! –
 ან კიდევ, რა მხარეს გაიხედავ?
 დაყრდნობილი ლოგის საყრდენზე და
 ამ კუთხიდან – თუ არა იმ არეს,
 იქიდან კი, ამ ნანამებ მხარეს.
 ბელვიუში⁹ ვცხოვრობ. ეს ქალაქი
 ბუდეთა და ტოტთა მაქმანია.
 ვიზიარებ გიდის თვალით ალქმულს:
 ბელვიუს. ამ ციხე-ქალაქს, განთქმულს,
 პარიზისკენ მშვენიერი ხედით, –
 ციხე-კოშკით გალთა¹⁰ ქიმერებით –
 და პარიზზე ოდნავ უფრო შორსაც...
 ალისფერი საყრდენიდან მოჩანს
 სასაცილოდ შენთვის, სხვათა შორის
 (თვით ჩემთვისაც), უზღვავ სიშორიდან,
 ჩვენი ბელვიუ და, თვით ბელვედერებიც!¹¹
 ახლა სხვა რამ. პირადული. მყისა.
 კარს მომდგარი უამი ახალწლისა
 ვის და რატომ ვუჭახუნო სირჩა?
 ქაფი აკი – ბამბის ბლუჯად იქცა.
 აქეს კი აზრი? მე რა შუაში ვარ?
 ახალი წლის ამ ხმაურში მითხარ,
 რა უშველო ამ შინაგან რითმას:
დაიჯერე – მოკვდა რაინერი.
 თუკი შენს თვალს – ბინდი მოერია,
 ან სიცოცხლე, სიცოცხლე არ არის,
 და სიკვდილიც, სიკვდილი არ არის,
 ესე იგი, აზრი დაგვებინდა,
 შეხვედრისას მაინც მივხვდე, მინდა! –
 არც სიცოცხლე, არც სიკვდილი არის,
 მესამეა – სიცრცე წარუვალი,
 (ოცდაშვიდი, დამდეგი, ახალი,
 წელს მიმავალს ქვეშ დაეგოს ჩალად,
 მიხარა – რომ მთავრდება შენით,
 და ახალიც რომ იწყება შენით!)
 თვალშეუდგამ სუფრის მეინახეს

მოსალოცად გიჭახუნებ სასმისას,
 ჩუმი ჩეამით შენს მინაზე მინით?
 არა – განა დუქნის თლილი სირწით,
 მე, და შენ კი, შერწყმისას ვერშით რითმას:
 და მესამე გასაოცარ სივრცეს.
 სუფრის მიღმა შენი ჯვარი მოჩანს:
 ქალაქებრე რამდენი საჩვენო
 მიდამო და გარეუბანია.
 ჩენ თუ არა, სხვას ვის უხმობს – ბუჩქი?
 მდელოები – ჩვენი მოღლი, ქუჩი,
 მხოლოდ ჩვენი, სხვისა არავისი!
 და ხალიჩა ფოთლისა და წიწვის!
 ადგილები შენი ჩემთან ერთად
 (შენები კი შენიანად). (ნეტავ
 შენთან თუნდაც ყველას წინშეც რომ –
 გინდა გითხრა?) თუნდაც – მდელოები!
 და თვეები! უამრავი კვირა!
 წვიმიან და უკაცრიელი
 უბრძის! და დილის რიურაჟები!
 ბულბულების მდუმარე უუვნებით!

მართლაც ცუდად ვხედად ჯურლულიდან,
 შენ კი ნათლად – შენი სიმაღლიდან,
 ო, მე და შენ – ვერ გამოგვიყიდა.
 რაც მანამდე უბრალოდ და წინძად
 ჩვენ რომ ასე ზუსტად გვერგებოდა –
 რასაც, ალბათ, ჩამოთვლაც არ უნდა.
 არაფერი, ოღონდ – ნუღარ ელი:
 საოცრებას, (შეცდება ყოველი –
 ტაქტისა და რიტმის ვერდამცველი!) –
 და თუ მწყობრში – მანც შევიდოდა?
 მისამლერი, ოდინდელი, ძველი:
 თუნდ რამეზე რამით არაფერი
 რაღაც – თუნდაც შორით ჩანდეს ჩრდილი,
 თუნდ ჩრდილები არაუშავს: რომ ის
 უამი, ის დღე, ის სახლი – ის ბაგე!
 სიკვდილმისჯაილს ხსოვნით რომ მიეგო.
 თუ სხვა გზები ზედმეტად იცოდნენ?
 ყველაფრისეგან მიღმიერი ოდენ
 იყო ჩვენი, და რადგანაც მხოლოდ
 ვართ ჩვენივე მერთალი ანარეკლი,
 ამ ყველაფრის მაგიერ წილხვედრად
 მოგვემადლა საიქიო მთელი.

აუნერელ, სავსებით ხელთუქმნელ,
 ახალ ალაგას გილოცავ რაინერ!
 და დასტურის კონცხს სულ უკანასკნელს,
 ახალ თვალ-ყურს გილოცავ რაინერ.

ყველა გელობებოდა:
 მოყვასი თუ ვნება,



ახალ ბეგრას – ექო და
ახალ ექოს – ბეგრა.

კულის მერჩხე ბევჯერ მიფიქრია:
იქ რა მთები? რა მდინარება?

ლინდაფუტები – ტურისტთა გარეშე?
ან მეშლება, რაინერ – სამოთხე
მინიჭი და ქუხილიანია?
ან ქრივთა ჩვეული მოთხოვნით –
სამოთხე ხომ მრავალშრიანია,
აკანძული ვრცელ ტერასებად?
განვენილი როგორც ტატრებია¹² –
ყველი კი, ამჟითეატრია.

(სამირშვა ვიღაცისთვის ფარდა...)
ან მეშლება რაინერ, რომ ღმერთი –
მართლაც არის – ბაობაბი მზარდი?
ოღონდ არა ოქროს ლუდოვიკო¹³ –
ერთი ღმერთის ზეგარდმო ხომ კიდევ
სუფეს ღმერთი?

ახალ ალაგს გენერება როგორ?
სხვათა შორის, ხარ შენ, – არის ლექსი:
თუმც შენ თავად ისედაც ხარ ლექსი!
უმაგიდოდ, მკლავს და მტევანს ხელის,
გერდაყრდნობილს, გენერება როგორ?
მონერე – შენგბური შიფრით!
სიხარულით ახლებური რითმით?
რადგან სიტყვა რითმას, მართებულად
თუ განმარტავ – ახალი რითმების
მთელი წყება მყისიერად ჩნდება –
თუმც სიკვდილი?:
რას გააწყობ – ენა შესწავლილი
არის სრულად. ვიცით უამრავი
სულ ახალი სიტყვათშეთანხმება.

– შეხვედრამდე! გაცნობამდე მერმისს!
თუ ვერ შეეხდით – შევეხმატყბილებით –
დედამინას, ამოუცნობს ჩემთვის –
მეც შემიცნობ, ზღვის სილრმესაც, რაინერ!

რომ არ ავცდეთ – მონერე რამე.
ახალ ბეგრენერას გილოცავ, რაინერ!

ცის კიბეზე – ძლვენით¹⁴ ნაზიარევს...
ახალ ხელდასხმას გილოცავ რაინერ!

ხელის გულზე უზნებდი დავანებულს,
ჩემს ამ წერილს, რომ არ დაინამოს,
გადაუურენის: რონასა¹⁵ და რარონს,
განშორებას, უკვე სავალალოს...

ეს წერილი, ღრმა ტკივილს რომ იტევს,
მიეგბაროს ხელთ რაინერ რილკეს.

შენიშვნები

¹ ეოლის გოდოლი – ბერძნული მითოლოგის მიხედვით ქართველობრივი ღვთაების.

ეოლის საბრძანისი, აღმართული შეუ ზღვაში მიუვალ სალკლდეებზე და სპილენძის გალავნით გარშემორტმული.

² კაცი ვინმე – იგულისხმება მარკ სლონიმი, ვისგანაც შეიტყოცვეტავამ რილეკს გარდაცვალების ამბავი.

³ ინიციატივის და დროის შემთხვევაში პარიზის რუსულენოვანი დიდი გაზეთები.

⁴ ალკაზარი – რესტორანი პარიზში.

⁵ პანთეონი – იგულისხმება ნოვოდევიჩიეს სასაფლაო.

⁶ Nest – (გერ.) ბუდე.

⁷ Lieber – (გერ.) ძვირფასო, საყვარელო.

⁸ კასტორი და პოლუქსი – ბერძნულ-რომაული მითოლოგის მიხედვით, განუყრელი ძები, მშვენიერი ლედას შვილები; პოლუქსი ზეგსმა უკვდავებით დააჯილდოვა, ხოლო კასტორი მოკვდავი იყო, ერთხელაც, როცა კასტორი დაილუპა მტერთან ბრძოლისას, ზეგსმა ნება დართო პოლუქსს, გაღიო ძმისთვის თავისი უკვდავების ნახევარი. მას შემდეგ ძმები ერთ დღეს მინისქეშა საუფლოში ატარებდნენ, ხოლო მეორე დღეს ოლიმპიუმზე, ღმერთებთან.

⁹ ბელვიუ – (ფრ. მშვენიერი ხედი) პარიზის გარეუბანი, სადაც ცხოვრობდა მაშინ მარინა ცვეტავა.

¹⁰ გალთა ქიმერები – პარიზი (ლუტეცია) გალიის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

¹¹ ბელვედერე – (იტ.) სასახლე ვრცელი დეკორატიული ბაღ-ნარით, შადრევნებითა და მდელოებით გარემოცული.

¹² ტატრები – მთის მასივები კარპატებში.


¹³ ოქროს ლუდოვიკო – იგულისხმება ლუდოვიკო XIV(1638-1715) საფრანგეთის მეფე 1643 წლიდან; მისი მეუბნების პერიოდში საფრანგეთის საზღვრები გაფართოვდა და მაღალი საზოგადოება ფუფუნებაში ცხოვრობდა.

¹⁴ ძღვენი – ანუ სეფისკვერი და ღვინო(ზიარებისთვის).

¹⁵ რონა – მდინარე შვეიცარიასა და საფრანგეთში.

¹⁶ რარონი – რილეკს დაკრძალვის ადგილი შვეიცარიაში.

გერმანულიდან და რუსულიდან თარგმნა
და შენიშვნები დაურთო ლულუ დადიანმა



რიჩარდ პერენბარტენი (დიდი პრიტანეთი)

რიჩარდ ბერენგარტენი თანამედროვე ინგლისელი პოეტის, რიჩარდ ბერნსის ფსევდონიმია. იგი 1943 წელს დაიბადა ლონდონში. სწავლობდა საუნივერსიტეტო კოლეჯში. პირველი პოეტური კრებული 70-იანი წლების მიწურულს გამოსცა. მისი პოეზია შსიფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, არს რამდენმე პრესტიული ეპ-როპული ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, თავად კი თარგმნის თანამედროვე ბერძენ პოეტებს. ბერენგარტენის სახელთან დაკავშირებულია 1975 წელს კემბრი-ჯის ინტერნაციონალური პოეტური ფესტივალის დაარსება და ხელმძღვანელობა, სხვა არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტი. ბერენგარტენის პოეზია ყოველდღიური ყოფითი ნიუანსების, პროზაული დეტალებისა და მოულოდნელი გამოცდილებების გადაკვეთაზე იქსოვება. ავტორის თეორიულ მანიფესტაციებში პოეზის უნივერსალურ ხასიათზე ლაპარაკი და ხაზგასმულია დედამინაზე სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში პოეტის განსაკუთრებული კულტურული როლი.

თეთრი ცხენი

სოჭატი ნი ჯუი გატაცებით
ამტკიცებს, რომ თეთრი ცხენი
ცხენი არ არის. ის იოლად და

დამაჯერებლად ეპაექრება
ყელა მნახველს. უარყოფების,
ქვეკატეგორიების და ჯიშების

რიგრიგობით გადამლახველი,
უსწრაფესად რკალავს მორიგ წრეს,
უძნელესი და

უჭკვიანესი მოკამათეც კი
უძლურია, გაეცალოს
გაღიმებული. მაგრამ როცა

ნი ჯუი თეთრ ცხენზე ამხედრებულა
და დასავლეთის ქალაქის ჭიშკარს
ჩაუქროლებს, იმპერატორის

სასაზღვრო დაცვის გუშაგები, როგორც ამას
სტანდარტული პროცედურა ითვალისწინებს,
მას ბეგრავენ. ცხენის ფლობისთვის.

თეთრ შესახვევები მომღერალი ქალი

ის რომ ამღერდა
გადახურული ხილის პაზრის
მიმდებარე თეთრ შესახვევში

ფართო ბლუზებში გამოწყობილა
შეველებმ და იოგურტის ჩამომსხმელმა
ამოიოხრეს

თავის მუყაოს ტახტევანზე შემაღლებულმა
ხეიბარმა მათხვარმა, კოლონადაზე
უცებ შეწყვიტა ტუჩების კვნეტა

ახალბედა ყასბის ხელში
მოსაქნევად შემართული ვეება დანა
მთელი ხუთი წამით გაშეშდა

გრუზათმიანი წითური კაცის თვალის ირისი
ჩევეულებრივ ყავისცერი
მწვანედ დაზოლილ ოქროდ აენთო

და იქვე მარწყვის
გამყიდველ ქალს ჩაცინა
თითქოს რაღაც გაახსენდაო

პეიმან გიგსონის სიკვდილის დღის მოსაზორებელი

მათ გახსნეს ცეცხლი
სანგრიდან და ჩვენ
ვუპასუხეთ. და როცა

ცეცხლის ჯერი შეწყდა, ჩვენ
ფარულად გადაგწვიტეთ თვალის შევლება.
ჩვენ იქ ცხრამეტი

მკვდარი დაგვხვდა, ერთი ჯერ კიდევ
ცოცხალი იყო და გმინავდა. ხოლო როცა ღამე
ჩამოწვა, მე ვთქვი, ვაპირებ წავიდე და

მასთან ჩამოვჯდე. ნუ იზამ,
მითხვეს. ის ალბათ უკვე
ხორცის მასაა. მაგრამ წავედი

ამ ყველაფრის მიუხედავად. იგი კარგი ინგლისურით
ლაპარაკობდა. ვიდრე სული არ დალია,
მასთან ვიჯექი. მან გადმომცა

ფოტოების ნაკრები და
მთხოვა, მისი ოჯახისთვის
გადამეგზავნა.

ჩაზარში მომღერალი ქალი

ბაზარში როცა
ამღერდა და მისი ხმა ირგვლივ
მიმოიღვარა

დაქირავებულმა მკულელმა პირი დაითუთქა
ყავის ყლურწვისას
მაგრამ მაინც არ შეუკურთხავს

შეიდმა ბეღურამ ალფროვანებით
შეავლო თვალი ჰაერის ტალღებს
და სადენზე განაგრძო ჯდომა

შებორკილმა და გაბრუებულმა
ხუთმა მონამ ჩაიარა და
ხუთივემ წედომით დახარა თვალი

ახალბედა ლოცვის ოსტატმა
ხელები ზეცად ალაპყრო და მისმა ბაგებ
სასოებით აღავლინა „ო“

და უცებ შედგნენ ფრთხილი ქარები
და ორკესტრულად
მიიქცნენ ზღვისკენ

სიკვდილის პოლემი

საბაქოს ჰოლის უკანა მხარეს
კაპინაში
გაიცემა შენოვის ნებართვა

სიკვდილის ქვეყნად
შენ უკვე
გელის

ცარიელი სკამი და იქვე
კარგად მოსახულ მაგიდასთან
შენი უსახო

მასპინძელი ზის
და შენს – ახლახანს ჩამოსულის –
გამოსაკითხად

უკვე მზად არის
ამ სკამზე კი შენი
სახელი

დატანილა
წარუშლელად
საჩინო მელნით

უოლტ შიტენეს სულისავეთაგით

სოფლებია და პატარ-პატარა
ქალაქებია, რაც მე ამ ქვეყნად
მთელი არსებით

მაინტერესებს, არა ქვეყნები –
ციცენა სოფლები ველ-მინდვრებით,
მდელოებით, უნახებით, ხეხილნარებით,

ფერდობებით, ტყეებით და კორომებით,
იალაღებით, საძოვარი საგანეებით,
სახელებით ხეთა და ხილთა,

ფრინველებით და ცხოველებით, მდინარეების,
ტბების და ზღვების თევზებით – მათი
საცხოვრისით და მოძრაობებით –

გუგუნი და ცვალებადობა
ამინდთა, ქართა,
განსაკუთრებით – ცის სახეები –

ტროპები და დიალექტები,
თითოეული უნიკალური, მშობლიური –
გინმესთვის სადმე.


ა) ხელები განსაჭრეტად და განსაჩიბად

ა) ხელები განსაჭრეტად და განსაჩიბად
იმ მერმისის ახლა რომ არის
იმ მერმისის უკვე რომ არის
იმ მერმისის ამგვარის და ასევითარის
იმ მერმისის დათესილის და დაბებილის

ა) ხელები განსაჭრეტად და განსაჩიბად
მერმისის ჯერაც უხილავის და შეუმდგარის
წინდანინ რომ არასოდეს მოიკვლევა-მოიკვალება
იმის რაც-მინყივ-არ-ყოფილია

მოულოდნელის

ინგლისურიდან თარგმნეს
ნინა გაჩაიძებ და ბექა ბარქაიძე



ქრისტიან კარლსონი (შვედეთი)

ქრისტიან კარლსონი დაიბადა შვედეთში, 1978 წელს. 1996 წლიდან აქტიურად მოღვაწეობს როგორც პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელი. არის რამდენიმე პოეტური კრებულის და ასევე საბავშვო წიგნების ავტორი. 2007 წელს ჩამოაყალიბა გამომცემლობა „სმოკალოლი“. ამ გამომცემლობაში ბევრი წიგნერი და საინტერესო მნირლის წიგნები დაიბეჭდა. იბეჭდება თარგმანებიც, მათ შორის, იმ უცხოენოვანი მნირლებისა და პოეტების, ვინც დღეს შვედეთში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

კარლსონი თავისი გამომცემლობის ვებგვერდზე წერს:

„2006 წლის ოქტომბერში ერთი დიდი გამომცემლობის მიერ შედარებით ახალგამოცემული პოეტური კრებულის კითხვისას მოთმინების საზღვარს გადავვდი და ერთი ლექსი, რომელიც საშინლად ცუდი იყო, მთლიანად გადავხაზი. ნამიკითხავს ძალიან კარგი პოეზიაც, ძალიან ცუდიც და საშუალოც. ნაცვლად იმისა, რომ იმ პოეტის კრიტიკა დამენებო, რომელმაც ჩემი მოთმინების ფიალა ააგსო, გადავწყვიტე, რომ რამე კონსტრუქციული გამეცეტებინა. მანამდეც ვთიქმირობდი გამომცემლობის დაარსებაზე და მიეცვდი, რომ ეს დღე დამდგარიყო. 2007 წელს გამომცემლობა დაარსდა, 2009 წლიდან დავიწყეთ წიგნების გამოცემა“.

ამ გამომცემლობაში გამოიცა ზურაბ რთველიაშვილის „პოეზიის დიქტატურის“ შვედური თარგმანიც. ქრისტიან კარლსონი ხშირად ანტობს სხვადასხვა ღონისძიებებს თავის პოეტ და მუსიკოს მეგობრებთან ერთად. ის შვედეთის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მრავალმხრივი და საინტერესო წარმომადგენელია. მისი ქრისტიან კარლსონის ლექსები ორიგინალობით და სიმართლით გამოირჩევა. მისი შეყველი ახალი კრებული მართლაც სიახლეა და ავტორის მაძიებელ ხასიათზე მეტყველებს. გთავაზობთ მისი რამდენიმე ლექსის თარგმანს.

* * *

დასჯილი უიღბლობა.
არახელსაყრელი ათვალწუნება.

ტოტალური ოსტატობა.
ქვეყნები, რომლებიც ტრილოგიებია.

კატატონური პროცესები.
მონოგრამპერმუტაციები.
საშვილოსნოსგარე ქორნინება.

სიმართლე მხოლოდ გამოაშეავებული ტყუილებია.
სინამდგრელე შეცდომა იყო.
ცვლილებები უუანგავისა.
უნდა გახსოვდეს, როგორც შენს თავს გადახდენილი.

რატომ არ ამშობ: მაპატიე?
რატომ იხდი მადლობას პატიების თხოვნით?

ბარაკები კერძო ბინების უბნისეკნ მიმავალ გზაზე.
სიცოცხლე ნახევრად სიკვდილია. სიკვდილი მთელი სიცოცხლეა.
ურთიერთგაგება დროს ატყუებს.
ორსახურავიანმა კამერამ დაკარგა ტაქტი.
კონცეპტუალური სინდისი.
რაც მსოფლიოში ყველაზე მეტად შეიცარიულია, ჩვენთვის გავიმეტე.
შეუახნის ზედა საზღვარმა ჩაახველა.
ახალი სიცრუები ბევრის მომცემია და ცოტა არ იყოს – თვალში საცემია.
ადამიანს მხოლოდ კლასიკური გზით შეუძლია სიკვდილი.

ყველა ჩემი ველურ-მხეცური ოცნება ზოლიან არსებებს ეხება.
პარალელურ ქანილებს.
სასწავლოდ განსაზღვრე, რა არის ტრიუმფი. ირონია პროცესია.
თანაბრად ვმუშაობ დამცხრალად და დაუცხრომლადაც.
ადამიანმა შეიძლება თავი იპოვოს საგნებში და საქმეებში.
მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, ადამიანმა თავს ჰკითხოს საგნებზე და საქმეებზე.
თუ შეგიძლია, რომ ჩამოართვა და შეინახო, ისიც უნდა შეგეძლოს, რომ მოიცვა და მოუარო.

* * *

|

სიზმრები ფაქტებია.
იქ არის პატიება და პატიება დაუმთავრებელი, და დანაშაულებრივი კათარზისი და,
დამატყვევებელი სიბრმავე ბოროტებისა და, არაფრი სარგებელი
და გვერდავლილი სერიოზული ნაკლოვანებები ბედნიერების ქრონოლოგიაში
ტბა სწოვს სიზმარში და ჰაერი კანკალებს სიზმარში
და არ არის ხმელეთი და სიმყარე სიზმარში
და სიზმარია ჩემი ყველაფერი. ამოიოხრე – უძილობა მჭირს,
ფარდული სიზმრებს გამოადგება. ფიჩხის ცოცხი სიზმრებში იბრჭყვიალებს.
კაკაჩა კვდება სიზმარში და სიტყვა იბადება ყინულის ტკაცანში.
დაბადება ჩემი სიკვდილის სიზმარია. დიდება დაბლდება სიკვდილისგან.

ცხოვრება სიზმრის მამოძრავებელი ძალაა. ამოიოხერე. უძილობა მჭირს.
 სიზმარი სუკვდილის ბოთლის ყელია, თევზი – კასტრაციის გრატიფიკაცია.
 მითები იმიტაციაა, გრძნობები იმიტაცია, იმპროვიზაციები და
 იმპულსურობა ინსტინქტებისგან გაკეთებული ცუდი სალათაა.
 სიზმრებმა ევოლუცია დააგვირგვინეს და დამატებით დარჩა ჩარჩო
 ვიტრინის ტანში. შემიძლია სიზმრების ნახვა და ამიტომ ვკვდები.
 ცხოვრება სიზმრების პერიფრაზა
 ძალლური ყოფა ძალლური ყოფა
 მხოლოდ სიზმარი მიუქცევს მეორე ლოცას, როცა ერთზე ფერი აელენება.

||

სიზმრის მოქმედების ძალა სიცილზე
 შოკოლადების ავტომატი ლტოლვილთა ბანაჟში
 ჩანასახი გვერდს მოინაცვლებს საათში თხუთმეტჯერ.

პატარა ისტორიაპილან:

*

აღმოჩნდა, რომ ცირკის ცხოველები ულმერთოები არიან. აღმოჩნდა, რომ სწავლულები ომის მომხრე კლოუნები არიან. მე აღმოვაჩინე, რომ კონფლიქტები აღმოჩენამდე ვერც კი შეედრებიან კონფლიქტებს აღმოჩნის დროს და აღმოჩენის შემდეგ. მცირეოდენი ნუგეში იქნებოდა იმის ცოდნა, რომ შეცდომის გამო ეს ყველაფერი პირიქით არის – ზუსტად არც კი მახსოვს, იქნებ სამხედროები არიან ულმერთო ცირკიც და სწავლული კლოუნცხოველებიც, ან იქნებ ყველა პოლიტიკოსი ომის მოსურნება, ანდა ნარმოშობით ცირკიდან არიან, ან მეცნიერლმერთები, ან იქნებ ყველა ძარცვა პოლიტიკური, თუ ყველა შეცდომა. თუ ყველა პოლიტიკოსი სჩადის ცხოველობას? თუ ყველა აღმოჩენა ცხოველია? თუ ნებისმიერი სუსტი ცირკიც ნუგეშა? თუ ლმერთი უჩემოს თუ უთავისო? თუ რომ არის როგორც? პარასკეობით დედა რეგავს და მიყენება კუნძულქვეყნების ახალ ამბებს, თუ ისინი კუნძულქვეყნებსაა. თუ ხუთაბათებისა? თუ ქალაქებისა? თუ კარადაში ნადგამი ძველი საჭმელისა? სუბიექტი ინსტიტუტია. თითოეული დედა გამოკვლევაა. ჭოჭინათი გამოვიქეცი დედაჩემის ბარგის სადგამიდან. სად გავრციგართ ყოველ გაქცევაზე? „სათამშო ადგილები მიმზიდველია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ორ წლის ბავშვი თავის ნებაზე გადაეშვას იქ სათამაშოდ“. რასაც ადამიანი სინდისით წააგებს, მოიგებს სიცილით? რა დროსაც დაკარგავ, დაეწევი იმას თამაშით? ყველა უთანასწორობა საათივით ზუსტად მუშაობს.

**

ჩემი მძიმე ხასიათი არა ჰგავს პაპაჩემისას. ის პაპაჩემი იყო. ვიცი, რომ ვბერდები და ვბოროტდები. დრო უფრო ცუდი მუურნალია, ვიდრე შეეკითხვები და შაირები. ასაკი ჭკუას არა მმატებს. ვიცი, რომ წყნარი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ეს უკაე ნელ-ნელა მავრწყდება. არაფერი მაქვს იმდენი, რომ ვიგრძნო სხვა რამ სიძულვილი, გარდა ოჯახური სიძულვილისა. ჩვენ ერთი ჩვეულებრივი ოჯახი ვართ და ალბათ ყველაფერი ჩემი ბრალია. მარტობასაც ხომ აქვს თავისი მოვალეობები.

სიმართლეები და მოღიციკაციები

ბ.

1. თეორია პრაქტიკაში პრაქტიკა.
2. სიცხადე საზოგადოებრივი საზოგადოა.
3. შორეულ ქვეყანები ახლოსაც შორს არის.
4. ცხრა მთას იქით ახლავე აქ იქნება.
5. ადვილად ვერთობი, მაგრამ იშვიათად.

ბ.

ლაპარაკი ბრინჯაოა.

დუმილიც ბრინჯაოა.

ფიქრი ვერცხლია.

ოცნება ოქროა.

თავს რომ გამოუტყდები, რომ მოგწონს, შეიძლება ეგაც ოქროა.

ხალხი რომ გადაადგილდება, როლები იცვლება.

ძილი და ლვიძილი სხვადასხვა დროის ოქროა.

მეტი ოქროც არსებობს?

იქნებ ნაკლები ოქრო არსებობს?

ფიქრი ვერცხლია.

ოცნება ოქროა.

რომ მიხვდები, რომ მოგწონს, შეიძლება ეგაც ოქროა.

გ.

რასაც გაცვლი, გაცვლილია და ალარასოდეს დაგიბრუნდება.


არ არის მართალი, ბატონი. საკუთარი მტკავლით ზომვა

მხოლოდ ბავშვებს გამოადგებათ. მაგრამ თვალი თვალის წილ და


კბილი კბილის წილ – ცოტა არ იყოს, ზედმეტად ადვილად დასადგენია.

შვედურიდან თარგმნა მანანა კობაიძემ

გამოცხადლობა „საუნჯე“ წარმოგილებით ახალ წიგნებს:



ქართული ზაღაური
სიტყვიერება
ბავშვებისათვის



შადრისნერი შადრები

თარიღი დამონაბეჭდი

ვი ჩილვინაძე

გნში შესულია ბავშვებისათვის შერჩეული ზაღაური სიტყვიერების საუკეთესო ბი. ლექსებსა და ზღაპრებთან თემატურად არსობრივად მისადაგებულია ანდაზები. რე გამოცემულთაგან განსხვავებით, წინამ- კრებული მთელ ქართველურ ენობრივ წის მოიცავს – მასში ქართულთან ერთად მოიცავს მეგრულ-ლაზურიდან და სვანურიდან ლებული საბავშვო ლექსები და ზღაპრები.

ტარიელ ნამორაძე

ცნობილი კარდიოლოგი ტარიელ ნამორაძე შესანიშნავი პროზაიკოსიცა, ლიტერატურული პრემიის ლაურეტიც გახდა და მკითველის სიმპა- თიაც დაიმსახურა. მის ახალ წიგნში გროტესკე- ბთან, ნოველებთან და მინიატურებთან ერთად მისგანვე თარგმნილი გამოჩენილი მწერლების მოთხოვნებიცა შესული. სადა ენით მოთხოვნი- ლი ამბები აუცილებლად მოხიბლავს მკითხველს. გამომცემლობა „საუნჯე“ ამჟერად ამ საინტერესო წიგნს გთავაზობთ.

**შურალი „ახალი საუნჯე“ 2015 წლის ბოლომდე
შეგიძლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე**

თითო ნომრის ფასი - 2 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებიძის ქ.49

elva@elva.ge

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;

2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774

ערכן

לטראטורה



ו. 72/
56



0134-9848
ISSN 0134-9848
9 770134 984002



130